



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
საგამომცემლო სახელმწიფო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული
სამეცნიერო პროექტი № SP-23 -1155

ნობელების ნავთობსარეწაო მოღვაწეობის
ტრადიციები საქართველოში და თანამედროვე
ნავთობსამრეწველო ტექნოლოგიები

ავტორები:

ნორა მამულაიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

ნანა ხახუტაიშვილი (პროექტის კოორდინატორი)

თეა ხითარიშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)

თბილისი 2024 წ.



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

Shota Rustaveli of Georgia National Science Foundation "Publishing state grant The winner of the competition is scientific Project . SP-23 -1155

The traditions of oil work of Nobels in Georgia and the modern technologies of the oil industry

Authors:

Nora Mamulaishvili (Scientific head of the project)

Nana Khakhutaishvili (project coordinator)

Tea Khitarishvili (young scientist)

Tbilisi 2024

მონოგრაფია, სამეცნიერო პროექტი № SP-23 1155

მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ეგიდით და სრული ფინანსური მხარდაჭერით.
[გრანტის ნომერი SP- 23 1155]

ნაშრომი შესრულებულია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ)

რედაქტორი:

გაიოზ ფარცხალაძე პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
რეცენზენტები:

თეიმურაზ გოჩიტაშვილი პროფესორი, საქართველოს ნავთობის და

გაზის კორპორაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნათია მაისურაძე სტუ-ს ასოცირებული პროფესორი, ნავთობის და გაზის

ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

გოჩა ჩავლეშვილი: პროფესორი ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გამომცემლობა „საჩინო“

საქართველო, თბილისი, 2024 წ. № 4

E-mail:

ISBN 978-9941-33-193-

<https://doi.org/10.52340/978994133193>

აბსტრაქტი.

მონოგრაფია მომზადდა და დაიბეჭდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო საგრანტო პროექტის SP-23-1155, ფარგლებში.

მონოგრაფიის გამოცემა მიზნად ისახავს საქართველოში ნობელების საქმიანობის ბაზაზე საინჟინრო მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას. მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ავტორების მიერ შედგენილია და პირველადაა წარმოდგენილი ნობელების მოღვაწეობის ამსახველი ქრონოლოგიური სქემები. ნაჩვენებია ის სამუზეუმო ექსპონატები და საინჟინრო მოწყობილობები, რომელსაც იყენებდნენ ძმები ნობელები საქართველოში პირველი სარკინიგზო და ნავთობსარეწაო მილსადენის გაყვანის დროს. განხილულია ნობელების სამეცნიერო მიღწევები, პატენტები, ნობელების ფონდი, და ნობელიანტები.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში წარმოდგენილია, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო პერსპექტიული პროექტები, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტირების ტექნოლოგიები, საზღვაო პორტების და ნავთობ-ტერმინალების სტრუქტურა, მახასიათებელი პარამეტრები. განხილულია, საქართველოში ძველი საბადოებიდან ნავთობის მოპოვების სირთულეები, მათი დამუშავების თანამედროვე მეთოდები. კვლევის შედეგები ასახულია სამეცნიერო სტატიებში, რომელთა ორიგინალი ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილია დანართის სახით.

მონოგრაფია გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის, სწავლების ყველა საფეხურზე. საინტერესოა ფართო აუდიტორიისთვის და მნიშვნელოვანია არა მარტო საინჟინრო, არამედ ისტორიული და ეკონომიური თვალსაზრისითაც.

Abstract.

The monograph was prepared and printed within the framework of the publishing grant project SP-23-1155 of the Rustaveli National Science Foundation.

The publication of the monograph aims to popularize engineering and scientific knowledge based on the activities of the Nobel in Georgia. Based on the found materials, the authors have drawn up and presented the chronological scheme of the work of the Nobel . Museum exhibits and engineering equipment, which were used by the Nobel brothers during the laying of the first railway and oil pipeline in Georgia, are shown. Scientific achievements of Nobels, patents, Nobel Foundation, and Nobelists are discussed.

The second part of the monograph presents the international transit systems operating in Georgia, prospective projects, mirror and sea transportation technologies, structure of marine transport and oil terminals, characteristic parameters. The difficulties of extracting oil from the old deposits in the Sakha region, the modern methods of their processing are discussed. The results of the research are presented in scientific articles, the original of which is electronic. The files are presented in the form of an appendix.

The monograph is intended for students at all levels of education. It is interesting for a wide audience and is significant not only from an engineering point of view, but also from a historical and economic point of view.

შინაარსი:

შესავალი. პროექტის აქტუალურობა, მიზანი და მნიშვნელობა	11
ნაწილი 1. ნობელების ნავთობსარეწაო მოღვაწეობის ტრადიციები საქართველოში	16
თავი 1. წარსული და კულტურული მემკვიდრეობა. 1865-1905წ.	17
1.1. საქართველოში მოღვაწე პირველი, ქართველი და უცხოელი ნავთობ-მეწარმეები	17
1.2. ბათუმის ნავთობ-მრეწველობა (1878-1905 წ.) პონტო-ფრანკო.....	23
1.3. ნობელების ჩამოსვლის ბიზნეს-ინტერესები კავკასიაში	27
1.4. ძმები ნობელების ამხანაგობის „branobel“-ის შექმნა ბაქოში	29
1.5. პირველი მინი-ნავთობსადენი: ბალახანი - ბაქო	34
1.6. სამეცნიერო მიღწევები ნავთობმრეწველობის განვითარების საწყის ეტაპზე. (1866 -1896 წ)	37
თავი 2. „branobel“-ის ნავთობ-სატრანზიტო საქმიანობა ბათუმში	43
2.1. კომპანია „branobel“-ის ამოცანები და მათი განხორციელების გზები	43
2.2. ბაქოს ნავთობის სარკინიგზო ტრანზიტი ბაქო-თბილისი-ბათუმის მიმართულებით.....	45
2.2.1. პირველი სასაწყობო მეურნეობა და ნავთობ-საცავი.....	49
2.3. უცხოელ მეწარმეთა ფინანსური კონკურენცია საქართველოში	51
2.4. პირველი მაგისტრალური მილსადენი ბაქო-ბათუმი და ნავთის ექსპორტი ევროპაში	54
2.5. პირველი ნავთობმზიდი საზღვაო ტანკერი	58
2.6. პირველი ნავთობტერმინალი ბათუმში.....	61
თავი 3. ნობელების ბიოგრაფია და სამეცნიერო მიღწევები	64
3.1. ემანუელ ნობელი.....	65
3.2. რობერტ ნობელი	66
3.3. ლუდვიგ ნობელი.....	69
3.3.1. ემანუელ ნობელი (ლუდვიგის ვაჟი).....	71
3.4. ალფრედ ნობელი.....	73
3.5. ნობელის ფონდი და ნობელიანტები	80

ნაწილი 2. თანამედროვე ნავთობსარეწაო ტექნოლოგიები 86

**თავი 4. საქართველოს ნავთობის და გაზის კოორპორაცია და
საერთაშორისო სატრანზიტო სისტემა 87**

- 4.1. ნავთობის და გაზის ტრანზიტის საერთაშორისო მაგისტრალური მილსადენებით..... 87
- 4.2. ნავთობის მოპოვებელი და გადამამუშავებელი ნავთობკომპანიები 94
- 4.3. საერთაშორისო და შავი ზღვისპირა პორტები 97
- 4.4. საქართველოს საერთაშორისო პერსპექტიული პროექტები 100

თავი 5. სატრანზიტო ნავთობის გადაზიდვის ტექნოლოგიები..... 105

- 5.1. სარკინიგზო გადაზიდვის თანამედროვე ტექნოლოგიები 105
 - 5.1.1. ბათუმის ნავთობტერმინალის სატრანზიტო მომსახურება..... 106
 - 5.1.2. სატრანზიტო ნავთობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, დანაკარგების ზღვრული ნორმები შენახვის პირობებში 111
- 5.2. საზღვაო გადაზიდვის თანამედროვე ტექნოლოგიები 115
- 5.3. გადაზიდვის ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები..... 118
- 5.4. ზღვაში დაღვრილი ნავთობის კერების ლოკალიზაცია 121
- 5.5. ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხერხი..... 122
- 5.6. სორბციული ბალიშები. მათი გამოყენება ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის შეგროვების მიზნით 126

**თავი 6. ნავთობის მოპოვების და საბადოს დამუშავების
ტექნოლოგიები 129**

- 6.1. ნავთობის მოპოვების ტრადიციული მეთოდები 129
- 6.2. ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები 133
- 6.3. საბადოს ულტრაბგერითი და კავიტაციური დამუშავება 135
- 6.4. პროდუქტიული ფენის CO₂ -ით დამუშავების შედეგები 137
- 6.5. პროდუქტიული ფენის დამუშავების რეაგენტული მეთოდები..... 139
 - 6.5.1. ფენის დამუშავება ტუტე და ქაფწარმოქმნელი ხსნარებით..... 140
 - 6.5.2. ფენის დამუშავება ზან-ის და პოლიმერული ხსნარებით 141
- 6.6. სირთულეები ნავთობის მოპოვების დროს და მათი ლიკვიდაცია..... 146
 - 6.6.1. მილსადენში წარმოქმნილი მარილოვანი ნადები..... 146
 - 6.6.2. პარაფინის წარმოქმნის პირობები და ინჰიბირების მეთოდები 148
 - 6.6.3. ნანოსითხეები და ნანო ხსნარები. მათი გამოყენება მილსადენში წარმოქმნილი ნადების ლიკვიდაციის მიზნით 152
- 6.7. ნარჩენი ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაცია ტექნოლოგიური სითხეების გამოყენებით..... 155
 - 6.7.1. საბადოს დამუშავების ჰიდროდინამიური მეთოდი 163


თავი 7. ნედლი ნავთობის მომზადება ტრანსპორტირებისა და გადამუშავებისათვის	165
7.1. ნავთობური ემულსიის დამუშავება დეემულგატორის და მაგნიტური ველის ზემოქმედებით	165
7.2. ნავთობის დეემულგირების ტექნოლოგიური სქემის შემუშავება	167
7.3. სუფსის ნედლი ნავთობის დეემულგირების კვლევის შედეგები	169
დანართი 1. ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის ექსპონატები	174
დანართი 2. საარქივო მასალები	190
დანართი 3. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში	200
დასკვნები	233
ბიბლიოგრაფია	235

Content:

Introduction. Relevance, purpose and importance of the project.....	11
Part 1. The traditions of Nobels' work in the oil field in Georgia	16
Chapter 1. Past and cultural heritage. 1865-1905.....	17
1.1. The first Georgian and foreign oil entrepreneurs working in Georgia	17
1.2. The Naval Industry of Batumi (1878-1905) Ponto-Franco	23
1.3. Business interests of the arrival of the Nobel Prize winners in the Caucasus	27
1.4. Creation of "branobel" of the Nobel brothers' fellowship in Baku.....	29
1.5. The first mini-oil pipeline: Balakhan – Baku	34
1.6. Scientific achievements of oil industry development in the initial stage. (1866 -1896).....	37
Chapter 2. "branobel" oil transit activities in Batumi	43
2.1. Tasks of "branobel" company and ways of their implementation	43
2.2. Baku oil rail transit in the direction of Baku-Tbilisi-Batumi	45
2.2.1. The first warehousing farm and oil storage	49
2.3. Financial competition of foreign entrepreneurs in Georgia	51
2.4. The first trunk pipeline Baku-Batumi and oil export to Europe	54
2.5. The first oil-carrying sea tanker.....	58
2.6. The first oil terminal in Batumi	61
Chapter 3. Biographical references and scientific achievements	64
3.1. Emmanuel Nobel	65
3.2. Robert Nobel	66
3.3. Ludwig Nobel.....	69
3.3.1. Emmanuel Nobel. (Ludwig's son)	71
3.4. Alfred Nobel.....	73
3.5. Nobel Foundation and Nobel Laureates	89
Part 2. Modern technologies of the oil industry	82
Chapter 4. Georgian Oil and Gas Corporation and International Transit System.....	87
4.1. Oil and gas transit international highway with pipelines.....	87
4.2. Oil producing and refining oil companies	94
4.3. International and Black Sea ports	97
4.4. International prospective projects of Georgia	100
Chapter 5. Transit oil transportation technologies	105
5.1. Modern technologies of railway transportation.....	105
5.1.1. Batumi oil terminal and transit service.....	106
5.1.2. Qualitative indicators of transit oil, limit norms under storage conditions.....	111
5.2. Modern technologies of sea transportation	115
5.3. Digital and information technologies of shipping.....	118


5.4. Localization of oil spilled in the sea	121
5.5. Method of cleaning surface and surface water from oil and oil pipelines (patent)	122
5.6. Sorption pads. Their use for the purpose of collecting oil spilled into the sea	126
Chapter 6. Oil extraction and field processing technologies	129
6.1. Traditional methods of oil extraction	129
6.2. Digital and information technologies	133
6.3. Ultrasonic and cavitation treatment of deposits.....	135
6.4. Results of CO ₂ treatment of the productive layer	137
6.5. Reagent methods of productive layer processing.....	139
6.5.1 Treatment of the layer with alkaline and foaming solutions.....	140
6.5.2 Treatment of the layer with ZAN and polymer solutions	141
6.6. Difficulties during oil extraction and their elimination	146
6.6.1. Salt deposits formed in the pipeline.....	146
6.6.2. Paraffin production conditions and inhibition methods	148
6.6.3. Nanofluids and nanosolutions. Their use for the purpose of liquidating the deposits formed in the pipeline.....	152
6.7. Intensification of waste oil flows using process fluids	155
6.7.1. Hydrodynamic method of deposit processing	163
Chapter 7. Preparation of crude oil for transportation and processing.....	165
7.1. Treatment of petroleum emulsion with a demulsifier and under the influence of the magnetic field	165
7.2. Development of a technological scheme for oil demulsification	167
7.3. Results of research on deemulsification of crude oil in Sufs (Lit)	169
Appendix 1. Exhibits of Batumi Technological Museum	174
Appendix 2. Documentation of archival materials	190
Appendix 3. Scientific papers published in international indexed journals	200
Conclusion.....	233
Reference.....	235

შესავალი. პროექტის აქტუალობა, მიზანი და მნიშვნელობა.



მეცნიერულ სფეროში ყველაზე ღირსეული ჯილდო ნობელის პრემიაა და იგი უკავშირდება ალფრედ ნობელის სახელს. ის იყო შვედი ინჟინერი და ქიმიკოსი, მეცნიერი და გამომგონებელი, 300-ზე მეტი პატენტის მფლობელი და ქველმოქმედი. ნობელის სახელობის პრემია, რომელიც პრესტიჟულია მთელ მსოფლიოში დააფუძნა ალფრედ ნობელმა 1895 წელს და თავის ანდერძში მიუთითა, რომ მისი შემოსავლის ნაწილი გადაეცეს შვედეთის სამეფო აკადემიის სამეცნიერო ფონდს, საიდანაც ყოველწლიურად გაიცემა ნობელის პრემია, ფულადი ჯილდოს (1 მილიონი დოლარის) სახით 5 სამეცნიერო სფეროს: ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურის, მედიცინის და მშვიდობიანობის მიმართულებით. სტოკჰოლმში 2-დან 30-ი ოქტომბრის ჩათვლით, ყოველწლიურად ტარდება ნობელის კვირეული. სადაც ნობელიანტებს საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ ნობელის პრემია.

16 .11. 2023 რ. 16:47



ძმები ნობელების მემკვიდრეობის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბაქოში, აზერბაიჯანის შვედეთის საელჩოში, 16.11.2023 წ. ჩატარდა საიუბილეო შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციის სახით, პირველი წიგნი და საეცნიერო-დოკუმენტური ფილმი, ნობელების ცხოვრების შესახებ. პრეზენტაციაზე ითქვა, რომ: რობერტი პირველი იყო ნობელებისგან, ვინც კავკასიაში ჩამოვიდა. რობერტის ვიზიტმა ხანძრებისა და ქარების ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის განვითარებას. ასევე აზერბაიჯანსა და შვედეთს შორის ორმხრივ ურთიერთობებს“. - განაცხადა შვედეთის ელჩმა. მისი თქმით, მნიშვნელოვანი ინიციატივა აზერბაიჯანში ძმები ნობელების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად ერთი წლის წინ გაჩნდა, როდესაც გადაწყდა მათ შესახებ წიგნის აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა, ასევე დოკუმენტური ფილმის გადაღება. თავის მხრივ, წიგნის ავტორმა, **ბენგტ ჯანგფელდმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ წიგნის წერა მისთვის სასიამოვნო იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ წერდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ შვედურ ოჯახზე, არამედ მან დაინახა ბაქოსთან და საერთოდ აზერბაიჯანთან ურთიერთობების პერსპექტივა.

Bengt Jangfeldt (ბენგტ ჯანგფელდი). შვედი მწერალი და ისტორიკოსი. დაიბადა: 1948 წლის 22 ნოემბერს სტოკჰოლმში, მას არა ერთი ბიოგრაფიული წიგნი აქვს დაწერილი, მათ შორის: „**ემანუელ ნობელი და ბიჭები**“, 2020, ასევე „**ნობელების ოჯახი და შვედი გენიოსები მეფის რუსეთში**“, 2023 წ.: (ლიტ. 29. **Jangfeldt Bengt**. The Nobel Family: Swedish Geniuses in Tsarist Russia Bloomsbury Publishing (US) <https://www.bloomsbury.com> › nobel-family-97813503... Sep 21, 2023). წიგნის ავტორი, დასმულ კითხვებზე პასუხობს, რომ წიგნში, სხვა სიახლეებთან ერთად, რობერტის როლი უფრო ცენტრალურია, ვიდრე ვინმე სხვისი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის მჭიდრო სოლიდარობა და ურთიერთობა ოჯახის შიგნით და თაობებს შორის. ძმებს შორის ურთიერთობები, წარმოდგენილია საინტერესოა და იშვიათი. ლუდვიგის, რობერტის, ემანუელისა და ალფრედს შორის უამრავი წერილია მიმოწერილი, რომელთა უმეტესი ნაწილი. დაცულია ლუნდის პროვინციულ არქივში, შვედეთის ეროვნულ არქივში და ნობელის ფონდში.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში, 2009 წ. პროფესორ არკადი მელუას რედაქტორობით, პირველად გამოქვეყნდა დოკუმენტები და მოკლე კომენტარები, მე-19 საუკუნეში მოღვაწე ნობელების ოჯახის საქმიანობასთან დაკავშირებით.



ნობელები. 1. იმანუელ ნობელი-მამა (1801–1872), 2. რობერტ ნობელი, შვილი (1829-1896) 3. ლუდვიგ ნობელი-შვილი (1831-1888); 4. ალფრედ ნობელი შვილი (1833-1896), 5. ემილ ნობელი-შვილი (1843-1864); 6. იმანუელ ნობელი შვილისშვილი (1859–1932), (ლიტ. 35. Melua Arcadi. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. – St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. – 480 pp.).

დოკუმენტურ მასალებში (რუსულ და ინგლისურ ენებზე) გადმოცემულია ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების ისტორიის საკითხები, განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობა და სამხედრო საქმეები. დოკუმენტები მთლიანად ასახავს რუსული და ევროპული საზოგადოების კულტურულ გარემოს, სადაც უხდებოდა ცხოვრება ნობელის ოჯახის წევრებს.

ალფრედ ნობელის მიერ შეიქმნა ნობელის ფონდი, მეცნიერების პროგრესისა და მშვიდობისკენ სწრაფვის მიზნით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო ალფრედ ნობელის ინიციატივათა შორის. ცნობილი ხდება ნობელის ოჯახის წევრთა ზოგიერთი სტრუქტურული და ტექნოლოგიური ინოვაცია, რომლებიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას და კვლავაც მოთხოვნადია სამეცნიერო და საინჟინრო ინდუსტრიის მიმართულებით.

შვედ გამომგონებელთა დინასტიის, მათ შორის “ნავთობის მეფეებად” წოდებული ძმები ნობელების საქმიანობა რთული, მშფოთვარე და მრავალმხრივ საინტერესოა. მათ დიდი წვლილი მიუძღვით კაცობრიობის მეცნიერებისა და ინჟინერიის განვითარების ისტორიაში. გარდა ნობელის პრემიისა, რაც დიდი სტიმულია მეცნიერების არაერთი დარგისათვის, აღსანიშნავია, ასევე, მათი მიღწევები ნავთობმრეწველობაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიის, მათ შორის ბათუმის სამრეწველო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებაზე.

The Russian Rockefellers - ასე მოიხსენიებს ამერიკელი მეცნიერი და პუბლიცისტი რობერტ ტოლფი. ნობელების მოღვაწეობას ნავთობის მსოფლიო ინდუსტრიაში. (ლიტ. 30. Robert W. Tolf The Russian Rockefellers: The Saga of



შვედი სტუმრების ვიზიტი ბათუმის საარქივო სამმართველოში

ნობელების მოღვაწეობის, დოკუმენტური მასალების გაცნობისა და დათვალიერების მიზნით, 2018 წლის 20 ოქტომბერს ბათუმის საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ ნობელის შთამომავლები: შვედეთის ბიზნეს ცენტრის წარმომადგენელი ვადიმ აზბელი, ნობელების ოჯახის ასოციაციის თავმჯდომარე თომას ტიუდენი, და მწერალი და პუბლიცისტი ბენგტ ჯანფენგლდი. სტურები მიიღო საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე რამაზ ბოლქვაზე, სამსახურის უფროსი თამაზ ფუტყარაძე და სხვები. სტუმრებს აინტერესებდათ ნობელების ბათუმში მოღვაწეობის საკითხები. დაათვალიერეს ნობელების ბათუმში მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ასოციაციისა და საარქივო სამმართველოს ურთიერთობის საკითხებზე და დასახეს მომავლის თანამშრომლობის პერსპექტივები. დასასრულს გადაიღეს ერთობლივი სამახსოვრო ფოტოები.

ნობელების სამეწარმეო მოღვაწეობის ისტორიები ბათუმში განხილულია არაერთ სხვადასხვა გამოცემებში, როგორცაა: 1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, მე-4 ტომი, 1878 -1920 წ. 2. ახელსურგულაძე და მალხაზ სიორიძე პორტო-ფრანკო ბათუმში. 3. ვ.სიჭინავა ბათუმის ისტორიიდან 1958 წ. 4. Батуми и его окрестности 1906 г.

5. ე. ავდალიანი საქართველოს სამეწარმეო ისტორიიდან 1918წ. აღნიშნული გამოცემები ზოგადია და არა საონჟინრო-ტექნოლოგიური. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მონოგრაფიის ფართო პროფილით გამოცემა. სადაც წარმოდგენილი მასალები დოკუმენტალურად ასახავდა ნობელების

ნავთობ სატრანზიტო საქმიანობას. მშენებელი 1883 წელს ბათუმის ნავთობის პირველი სარკინიგზო ტერმინალი, პირველი მიწისქვეშა მაგისტრალური ნავთობსადენი ბაქო-ბათუმი, ასევე სარკინიგზო სატრანსპორტო ქსელი ბაქო-ბათუმი. რომელიც წარმოადგენდა უმოკლეს სატრანსპორტო გზას ევროპისაკენ. ამ გზით ხორციელდებოდა ბაქოს ნავთობის ტრანზიტი ევროპაში. ბათუმი გახდა ცნობილი, მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი მსოფლიოში. მონოგრაფიაში ნობელების ნავთობსარეწაო მოღვაწეობის პარალელურად განხილულია საქართველოს შავი ზღვისპირა, თანამედროვე საზღვაო ტერმინალები, ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტრანზიტი. ასევე განიხილება, საქართველოში ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

პროექტის მიზანია: ნობელების საქმიანობის ბაზაზე საინჟინრო მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაცია და ტრადიციების გაცნობა ნავთობის მოპოვების, შენახვის, გადამუშავების და ტრანსპორტირების მიმართულებით; სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაფართოება და მათი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩართულობა,

ასევე შემოქმედებითი ტრადიციების და მეცნიერული მიღწევების გაცნობა და გაანალიზება, ქვეყნის ეკონომიკის და ევროპული ინტეგრაციის გათვალისწინებით.

ნობელების ფართომასშტაბიანი სატრანზიტო ინდუსტრია, ნავთობის მოპოვების და გადამუშავების დარგში, გვავალდებულებს, გავითავისოთ და კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საუკუნის წინ დამკვიდრებულ ნავთობსარეწაო ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმიანობის ტრადიციებს, ქვეყნის შემდგომი აღორძინებისა და კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

ნაწილი 1

ნობელების ნავთობსარეწაო მოღვაწეობის
ტრადიციები საქართველოში

თავი 1. წარსული და კულტურული მემკვიდრეობა (1865-1905 წწ.)

1.1. საქართველოში მოღვაწე პირველი ქართველი და უცხოელი ნავთობ-მეწარმეები

სახელმწიფოს სიძლიერეს განსაზღვრავს ეკონომიკა. ჩამორჩენილი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია მეწარმეზე. მეწარმე ეძებს პროდუქტის რეალიზაციის ახალ ბაზრებს, ეძებს იაფ ნედლეულსა და მუშახელს. ამიტომ წარმოება გადააქვს სხვა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. რაც ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს ბიზნესის წარმატებას და მოგებას. ქართული კულტურისა და ეროვნული ეკონომიკის გადარჩენა და აღორძინება უშუალოდ არის დაკავშირებული, მე-19 საუკუნის იმდროინდელი ქართველი მეწარმეების და მეცენატების საქმიანობასთან.

საქართველოში ნავთობის მოპოვება და საბადოების დამუშავება, 1865-70-იან წლებში დაიწყო. კახეთში, მირზაანში, თელეთსა და შირაქში. საბადოს დამუშავება ხდებოდა იჯარით, უცხოელი მეწარმეების მიერ, 1875 წელს კახეთის ნავთობის საბადოებიდან ძმები სიმენსების (უცხოელი მეწარმეების) მიერ ამოღებული იქნა 173 ათასი ბიდონი ნავთობი. **(ლიტ. 28. ჯოლბორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ ვაჟა შუბითიძის რედაქტორობით მერიდიანი, 2016 - გვ.: 5-57; 271-324; 344-362; 375-437)**

კონსტანტინე ზუბალაშვილი, წარმატებული მენავთობე. 1860-იან წლებში ბაქოში შეიძინა ნავთობიანი მიწის ადგილები, ხოლო 1873 წ. იყიდა მიწები ბიბიეიბათში, სადაც ნავთის ამოსვლის იმედი მაშინ არავის ჰქონდა. კონსტანტინემ თავის მეუღლესთან ერთად ბაქოდან გაემგზავრა საფრანგეთში, ბასკეტში სამკურნალოდ, ლურდის ბალნეოლოგიურ კურორტზე. სადაც შეიძინა სასწაულმოქმედი წყალი და ჩამოიტანა ბიდონებით თბილისსა და ბაქოში. ბაქოში, უმოქმედო ჭაბურღილი დაამუშვეს ჩამოტანილი წყლით და იმავე დამით ნავთობმა ამოხეთქა, რითაც კონსტანტინე ზუბალაშვილმა დიდი მოგება ნახა, გამდიდრდა და თავის ძმებთან ერთად მრავალი საქველმოქმედო პროექტი განახორციელა **(ლიტ. 28. ჯოლბორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ ვაჟა შუბითიძის რედაქტორობით მერიდიანი, 2016 - გვ.: 5-57; 271-324; 344-362; 375-437).**

ძმები ზუბალაშვილები. ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, როგორც ქველმოქმედები. მათ მიერ აგებულია ხუთი კათოლიკური ეკლესია; მათ შორის ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (ყოფილი კათოლიკური ეკლესია), უნივერსიტეტის მშენებლობისათვის გაღებული აქვთ 100 000 მანეთი, კონსერვატორიის ასაშენებლად - 10 000 მანეთი; მეცენატმა ძმებმა გახსნეს უპოვართა სასადილო „სამადლო“, სადაც ყველა გაჭირვებულს შეეძლო უფასოდ დაპურება. რამდენიმე წლის წინ აზერ-ბაიჯანის მთავრობამ საქართველოს გადმოსცა ბაქოს ცენტრში მდებარე, XIX საუკუნის მიწურულს აგებული, ზუბალაშვილებისეული სახლი. პარიზში, ლუვრში, ერთ-ერთი დარბაზის კედელზე განთავსებულ მარმარილოს დაფაზე, ამოტვიფრულია ექსპოზიციის შემომწირველთა სახელები, რომელთა შორისაც იკითხება იაკობ ზუბალაშვილის სახელ-გვარი (ლიტ. 28. **ჯოლბორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ ვაჟა შუბითიძის რედაქტორობით მერიდიანი, 2016 - გვ.: 5-57; 271-324; 344-362; 375-437).**

ქართველმა მეცენატმა და მეწარმემ სტეფანე ზუბალაშვილმა მხატვრები და არქიტექტორები იტალიიდან მოიწვია და ეკლესია დედის ხსოვნას მიუძღვნა.. მისი აგება ძმები **ზუბალაშვილების** დედის, ელისაბედის ოცნება ყოფილა.. გარდაცვალების წინ დედას სტეფანესთვის სიტყვიერად უთხოვია ბათუმში „წმინდა ტაძრის აგება“. ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის (ყოფილი კათოლიკური ეკლესია), მშენებლობა 1897-1902წ. ძმებმა **ზუბალაშვილებმა** დააფინანსეს. მშენებლობის ღირებულებამ 250 ათას რუბლს მიაღწია. (<https://ka.wikipedia.org/wiki/>)

1873 წელს ბაქოში პირველად ძმებმა **ჯაყელებმა** დააფუძნეს კასრების ქარხანა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის, რისთვისაც საჭირო დანადგარები მარსელიდან ჩამოიტანეს. მათ 1880 წელს დააარსეს ნავთობ-სამრეწველო და სავაჭრო ამხანაგობა, რომელიც ნავთსაც იღებდა და ახდენდა მის ტრანსპორტირებასაც (ლიტ. 6. **ერქომიაშვილი გულნაზ, მინაშვილი რუსუდანი, „მეწარმეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში“, 2022 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“).**

აკაკი ხომტარია. მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს, აზერ-ბაიჯანისა და განსაკუთრებით, ირანის საგარეო ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარებაში.

1907 წელს ხომტარიამ უფლება მიიღო სპარსეთის შაჰისგან ეწარმოებინა ნავთობის ჭაბურღილის ბურღვა ირანის 5 პროვინციაში. მას ნამდვილ ქართველ მილიონერს უწოდებდნენ. კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში სამეწარმეო საქმიანობის პარალელურად ეწეოდა ქველმოქმედებას. მისი დაფინანსებითა და უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა ახალი ათონის ცენტრალური პარკი, იალტის მთავარი ბაღი, ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი და მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი.



სურ. 1.1. ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შენობა.

აკაკი ხომტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ირანში წარმართავდა სავაჭრო ოპერაციებს. კომპანიაში გაერთიანდნენ ნავთობის ინდუსტრიის ცნობილი მრეწველ-კაპიტალისტები. (ლიტ.6. ერქომაიშვილი გულნაზ, მინაშვილი რუსუდან, „მეწარმეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში“, 2022 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“).

აკაკი ხომტარიამ ირანში გაიყვანა პირველი რკინიგზა. მანვე პირველმა შეიყვანა ავტომობილები ირანში, ხომტარია აფინანსებდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მთელ რიგ პროექტებს, აშშ-სა და იტალიაში შეიძინა 4 გემი და გადასცა საქართველოს მთავრობას, საზღვაო ფლოტის შესაქმნელად, ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით მან გაიყვანა რკინიგზის ხაზი ფოთიდან მშობლიურ აბაშაში. მანვე მნიშვნელოვანი თანხები გაიღო ქართული

უნივერსიტეტის (თსუ) და თეატრისთვის (50 ათასი მანეთი). აკაკიმ პარიზში შეიძინა ლადო გუდიაშვილის და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და აჩუქა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. აკაკი ხომტარია, 59 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა (ლიტ. 1. ავდალიანი ემილ, ქართული მეწარმეობის ისტორიიდან XIX-XX სს. მიჯნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2018წ.).

ნავთობპროდუქტების წარმოებით დაკავებული იყო ასევე თბილისელი ი. პითოევი, რომელსაც საკუთარი ნავთობ-კომპანია ჰქონდა და ახდენდა ნავთობის ტრანზიტს, გემებით კასპიის ზღვიდან. 1901 წელს თავისი სახსრებით ააშენა ულამაზესი შენობა, რომელსაც "პითოევის სახლს" უწოდებდნენ და აქ ახლა განთავსებულია რუსთაველის სახელობის, თბილისის სახელმწიფო თეატრი.

ალექსანდრე მანთაშევი. როტმილდებსა და ნობელებს ნავთობის მოპოვების საქმეში საკმაო კონკურენციას უწევდა თბილისში დაბადებული და გაზრდილი ალექსანდრე მანთაშევი. მან ბათუმში ააშენა თუნუქის ქარხანა და გახდა 200 ვაგონციტერნის მფლობელი (მისი კაპიტალი 22 მლნ მანეთს შეადგენდა) მანვე ბათუმში ააშენა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის გადამამუშავებელი ქარხანა. ალექსანდრე მანთაშევის საწარმოებში 1800-მდე კაცი მუშაობდა, იგი ასევე გამორჩეული იყო საქველმოქმედო საქმიანობით. მისი ფინანსებით გაიხსნა: თბილისის სავაჭრო სკოლა, მოხუცებულთა სახლი, სასტუმრო "ზო-მონდი", ინტერნატი მცირეწლოვანი დამნაშავეებისათვის, კერძო ბიბლიოთეკები, გაიყვანა სატელეფონო კაბელი სოლოლაკიდან დიდუბეში, 1887 წელს ეწეოდა საკმაო რაოდენობით ნავთობის ექსპორტს. 1899 წლის 11 ივნისს შეიქმნა სააქციო და სანავთობო საზოგადოება

ნავთობკომპანიის „ა.ი.მანთაშევი და კომპანია“ დამფუძნებლები იყვნენ თბილისში მცხოვრები ა. მანთაშევი და მ. არამიანცი. საერთო კაპიტალი შეადგენდა **22 მილიონ** მანეთს, ანუ სულ **88 000** აქცია, სადაც თითოეული **250** მანეთად ფასობდა. მიღებული დებულების მიხედვით კომპანიას მართავდა ხუთი დირექტორისგან შემდგარი საბჭო, რომლის არჩევაც აქციონერთა საერთო კრებით ხდებოდა. ამ კომპანიაში მიქაელ არამიანცს **25%-იანი** წილი ჰქონდა.

მ. არამიანცის ნავთობსაწარმოო საქმიანობა უფრო ფართოვდებოდა. აფშერონის ნახევარკუნძულზე კომპანიის საკუთრებაში იყო ნავთობით მდიდარი 174 ჰექტარი მიწის ფართობი. (ლიტ. 1. ავდალიანი ემილ, ქარ-

თული მეწარმეობის ისტორიიდან XIX-XX სს. მიჯნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2018 წ.).

მ. არამიანცს ასევე ეკუთვნოდა ნავთობის ქარხანა, საქაჩი სადგურები, სპეციალურად მოწყობილი ნავმისადგომი და უამრავი სახელოსნო. სხვადასხვა მონაცემით. არამიანცს წარმომადგენლობა ჰქონდა გახსნილი სმირნაში(თანამედროვე თურქეთში მდებარე ქალაქი იზმირი) სალონიკში (საბერძნეთი), კონსტანტინოპოლში (თანამედროვე სტამბოლი),

არამიანცი საკუთარი სახსრებით ინახავდა შენობას, ავადმყოფების მკურნალობის საფასურს იხდიდა და თანამშრომლების ხელფასებსაც თავად უზრუნველყოფდა. ე.წ. „არამიანცის საავადმყოფოში“ ევროპიდან რენტგენის აპარატიც კი ჩამოიტანეს, რომელიც იმდროინდელ რუსეთში რთულად თუ მოიპოვებოდა. უახლესი სამედიცინო ტექნიკის ყიდვა 250 000 მანეთი დაჯდა (ლიტ.ქართული მეწარმეობის ისტორიიდან XIX-XX სს. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2018 წ.) (ლიტ. 1. ავდალიანი ემილ, ქართული მეწარმეობის ისტორიიდან XIX-XX სს. მიჯნა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2018 წ.).

საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეები.

1880-იანი წლებიდან აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობის მოპოვება-დამუშავება უფრო მოიმატა.. ნავთობსადენის მილის გაყვანით დაინტერესდნენ **ძმები ნობელები**. ლუდვიგ ნობელმა შექმნა სინდიკატი და ითხოვდა ნავთობის სურამის 4-კილომეტრიან გვირაბში გატარებას, რაშიც მას მხარს უჭერდა დიდი ქიმიკოსი დიმიტრი მენდელეევი. 1903 წლისთვის ეს ნავთობსადენი აშენდა (835 კმ. სიგრძის 19 სატუმბო სადგურით). მილსადენის გამტარუნარიანობა შეადგენდა წელიწადში 900 ათას ტონას. სამუშაოებზე გამოიყენეს ნობელის პრემიის დამაარსებლის, ალფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი. ნობელის მიერ დამონტაჟებული ავზები დღესაც დგას ბათუმში, ხოლო მათ მიერ აშენებულ შვედეთ-ნორვეგიის საკონსულოს შენობაში, ბათუმში განთავსებულია ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმი. ნობელებს სპეციალური კანტორა ქონდათ ხაშურშიც, ამჟამინდელი სტადიონის გვერდით, მალე ნობელებმა ბაქოს ნავთობის მოპოვებაზე მონოპოლია მოიპოვეს და ადგილობრივ და რუს კაპიტალისტებს ჩაგრავენ. ეს არ გამოეპარა ნიკო ნიკოლაძის მახვილ თვალს და ჯერ დაწერა, მერე მოხსენება წარადგინა პეტერბურგში და ბოლოს ნობელებს როტმილდები დაუპირისპირა, რომლებიც მისი მოწვევით ჩამოვიდნენ საქართველოში (რობერტ ნობელი პირველად მოიწვია საქართველოში **თავადმა დადიანმა**. ნობელს სურდა კაკ-

ლის მერქნის შექმნა იარაღის კონდახის დასამზადებლად). როტმილდებმა ამ საქმეში 10 მილიონი დოლარი ჩადეს და გამოყვეს კრედიტები. ბათუმში ნავ-
 თობდაგამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად. მათ დააარსეს "კასპიისა და
 შავი ზღვის ნავთობის კომპანია" და 1889 წელს პირველებმა დაიწყეს ნავთის
 გატანა ტანკერებით.(მანამდე ნავთი თუნუქის ბიდონებით და ხის კასრებით
 გაჰქონდათ.)



სურ. 1.2. ბარონი ალფონს დე როტმილდის სახლი ბათუმში 1883 წ., ძველი შენობა

„კასპია-შავი ზღვის ნავთობ სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაცია“ - ასე
 ეწოდებოდა ფრანგ „ალფონს როტმილდის კომპანიას, რომელსაც თავდა-
 პირველად ნავთის ბიდონების ქარხანა ჰქონდა ბათუმში. იქიდან გამო-
 მდინარე, რომ როტმილდი ბათუმში საქმიანობდა, მე-19 საუკუნეში სახლიც
 აიშენა და აქ გააგრძელა მოღვაწეობა. ხოლო როტმილდის სახლში, რომლის
 ასაშენებლად ბარონმა აგური საფრანგეთიდან ჩამოატანინა და მუშებიც
 იქიდან ჩამოიყვანა, ამჟამად ბათუმის სამშობიარო სახლია განთავსებული. ეს
 სახლი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენობა-ნაგებობაა მთელ ქალაქში.
 ჟიულ ნაპოლეონ ნეის მოგზაურობის ჩანაწერებში, სადაც იგი
 იმდროინდელი ბათუმის შესახებაც გვაწვდის ცნობებს (ლიტ. 14. „ფრანგი
 ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“ ნაჭყებია ირინას
 რედაქციით). “ბათუმიდან გასვლისას შესანიშნავი ხედი იყო. ქალაქის
 მიდამოებს მეტად ცოცხალ იერს სძენდა ნავთობის გადამამუშავებელი
 საწარმოები, როტმილდის სახლის ყუთების დიდი ფაბრიკა და თეთრად
 შეღებილი მრავალი ცისტერნა, უამრავი წითელი აგურის ყაზარმა და

ვრცელი მოედანი მანევრირებისათვის.” -სწორედ აქ, აღნიშნული, როტ-შილდის სახლია დღეს რუსთაველზე მდგარი შენობა. 1886 წელს როტშილდების პარიზის საბანკო სახლმა შეიძინა „**ბათუმის ნავთობისა და ვაჭრობის საზოგადოება**“ 6 მილიონი კაპიტალით.. ბათუმში როტშილდების ქარხნის დირექტორი იყო ფრანგი გიონი, რომელიც სამუშაოზე იღებდა მხოლოდ ქართველებს. მისი აზრით, ქართველები ყველაზე კეთილსინდისიერი მუშეები იყვნენ და ყოველთვის დროულად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს. ქარხანაში სულ 2650 მუშა იყო დასაქმებული (**ლიტ. 28**. ჯოლბორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ ვაჟა შუბითიძის რედაქტორობით მერიდიანი, 2016 წ.).

1870 წ. შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი ამერიკული ნავთობ კომპანია “**Standard Oil**”-ი, რომლის დამფუძნებლები იყვნენ ამერიკელი როკველერები. 1878 წელს ბაქოში ძმებმა ნობელებმა შექმნა ყველაზე მსხვილი ნავთობ კომპანია: „ძმები ნობელების ამხანაგობა - **Branobel**“.

მსოფლიოში პირველი ნავთობის ჭაბურღილი. გაიხურდა 1858 წლის 27 აგვისტოს,ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატში.. , რომლის წარმოების სიმძლავრე იყო მხოლოდ 25 ბარელი დღეში. თუმცა, უფრო ადრე 1847 წლის 14 ივლისს, ბაქოს მახლობლად, ბიბიბატის რაიონში, ნავთობი ამოიღეს 21 მეტრის სიღრმის ჭაბურღილიდან, ხის შტანგიანი სირღმული ტუმბოთი.

1.2. ბათუმის ნავთობ-მრეწველობა (1875-1905 წწ.) პორტო- ფრანკო

აჭარის რეგიონი, კერძოდ ბათუმის ნავსადგური, წარმოადგენდა და წარმოადგენს კარიბჭეს ევროპაში ნავთობპროდუქტების წარმოებისა და სატრანზიტო გადაზიდვის სფეროში. ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ისტორია, თავის სათავეს რომის იმპერიიდან იღებს, რაც განპირობებულია მისი გეო-პოლიტიკური და გეოგრაფიული უპირატესობით. ნავსადგური მდებარეობდა ღრმა წყლოვან უბეში, რაც იძლეოდა დიდტონაჟიანი გემების მიღების შესაძლებლობას.

ქალაქის სახელწოდება „ბათუმი“ მოდის სიტყვიდან (ბერძ. Bathus) — „ბათუსი“, რაც **ღრმას** ნიშნავს. პირველად ის მოხსენიებული აქვს რომაელ მწერალ ილინიას (23-79), რომელიც კოლხეთის მდინარეების ჩამოთვლისას ასახელებს მდინარე „**Bathys**“. ბათუმის პორტი თავისი მახასიათებლებით

აბსოლუტურად აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს, მაგრამ ეს იყო ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში. ინდუსტრიული ინტერესები მოითხოვდნენ ბათუმის რუსეთს გადაცემას. ამრიგად, ბათუმი-ბაქო ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში რუსეთის საკუთრება გახდებოდა და ნავთობის ბაქოდან ევროპაში ბათუმის გავლით ექსპორტი დაბრკოლებებისა და ზედმეტი ხარჯების გარეშე განხორციელდებოდა.



სურ. 1.3. ბათუმის ძველი ნავსადგური

1878-1895 წლების განმავლობაში. ქალაქ ბათუმისა და ნავსადგურის განვითარების მთავარი ფაქტორი გახდა ბაქოდან ბათუმში რკინიგზით ტრანსპორტირებული ნავთობი. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ძმები ნობელები და როტმილდების ოჯახი. Nobel Brothers Petroleum Production Company, ანუ მოკლედ Branobel, დაარსდა 1879 წელს. იმ დროს ეს იყო ყველაზე დიდი ნავთობკომპანია. ბაქოში ნავთობის მოპოვებამ და გადამუშავებამ დღის წესრიგში დააყენა, საკუთარი სატრანსპორტო ქსელის აშენების აუცილებლობა. რაც გულისხმობდა ნავთობსადენების, ტანკერების, ვაგონების, ნავთობის საწყობების (მიდგომებითა და სარკინიგზო ლიანდაგებით) ორგანიზებას და შექმნას.

ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუწყო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა, რომელიც დასრულდა სან-სტეფანოს ზავით და ბათუმის „პორტო ფრანკოს“ გამოცხადებით (ლიტ.19. სიორიძე მ. ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918 წწ.). ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1995წ.).

ამრიგად, ბათუმი გადაიქცა მნიშვნელოვან საპორტო და ინდუსტრიულ ქალაქად, რითაც დაიბრუნა თავისი მნიშვნელობა, როგორც უძველესი აბრეშუმის სავაჭრო გზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვანძი და დღემდე შეინარჩუნა თავისი ადგილი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

პორტო-ფრანკო, სიტყვა-სიტყვით **თავისუფალი ნავსადგური.** ასე უწოდებდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ბათუმს 1878-1886 წლებში. ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადების იდეა ინგლისს ეკუთვნოდა. ინგლისელმა დიპლომატებმა ბერლინის კონგრესზე მოითხოვეს ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება და თავისი გაიტანეს კიდეც. ბერლინში დადებული ხელშეკრულების მერვე პუნქტის მიხედვით, რუსეთს ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა (**ლიტ. 18.** სურგულაძე ა.; სიორიძე მ. (1996): პორტო-ფრანკო ბათუმში). რუსეთის იმპერიაში ბათუმი მესამე პორტო-ფრანკო იყო, ოდესისა და ვლადივოსტოკის შემდეგ.

პორტო-ფრანკოს წესდების საფუძველზე, ბათუმში დაშვებული იყო უცხოური საქონლის თავისუფალი შემოტანა. ეს შეღავათები არ ვრცელდებოდა რუსული წარმოების საექსპორტო საქონელზე. დადგინდა პორტო-ფრანკოს საზღვრები. იგი იწყებოდა მდინარე სარი-სუდან (თანამედროვე ბათუმის პორტის შენობის ცენტრალური შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია), გადიოდა დაუსახლებელ, დაჭაობებულ ვაკეზე (დაახლოებით თანამედროვე პუშკინის ქუჩა) და მთავრდებოდა თანამედროვე ჯავახიშვილისა და გრიბოედოვის ქუჩების გასწვრივ... ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსით რუსი ვაჭრებიც უკმაყოფილონი იყვნენ. ზოგიერთი მათგანი პორტო-ფრანკოს გაუქმების მომხრე იყო. თავის დროზე თავს მოხვეული პორტო-ფრანკო არც იმპერიას უნდოდა და 1886 წლის ზაფხულში საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმი თავისუფალი ნავსადგურის სტატუსით სარგებლობდა, ცალმხრივად შეწყდა. ბათუმმა **„პორტო-ფრანკოს“ სტატუსი დაკარგა 1887 წ.**

ბათუმი იზიდავდა სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, რასაც ხელი შეუწყო ქალაქის ფრანკოს პორტად გამოცხადებამ. ნობელებს, მანთაშევს და სხვა ფირმებს მონოპოლიური მისწრაფებები ჰქონდათ. მსხვილი მრეწველების მონოპოლისტურმა ტენდენციებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მცირე მეწარმეებს. სწორედ ამიტომ იყო მოთხოვნა ანტიმონოპოლიური კანონის მიღების შესახებ. ნ.ნიკოლაძე აშკარად დაუპირისპირდა ნობელს, „რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებას“ კრებაზე (1882 წლის 15 ოქტომბერი) ნ.ნიკოლაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ნობე-

ლი არ უშვებს მცირე მეწარმეებს ბაზარზე და ამ თემაზე სტატიაც კი გამოაქვეყნა. მან აღნიშნა მონოპოლიის მანკიერი ასპექტები და უსამართლოდ მიიჩნია მომხმარებლების მიერ ნობელისგან მთელი ენერგორესურსების მიღება, მისი აზრით, მონოპოლია გააუარესებს პროდუქციის ხარისხს, გაზრდის ფასს, რითაც იმოქმედებს მიუხედავად ამისა ნობელის წარმოებამ დაიწყო გაფართოება. ამ მიზნით ნობელებმა გადაწყვიტეს ბათუმში ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის აშენება და სასაწყობო მეურნეობის განთავსება.

აჭარის საარქივო განყოფილებაში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ნობელის კომპანიამ ბათუმში ქარხნის ასაშენებლად და რეზერვუარების განსათავსებლად თავისუფალი სივრცის ძებნა დაიწყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბაქოს ნავთობის ყურადღების ცენტრში მოექცა, ფრანგი მეწარმეები, როტშილდები, რამაც ბუნებრივია განაპირობა მათი ბიზნეს ინტერესები ბათუმში. ეს ინტერესი დიდწილად განპირობებული იყო როტშილდების კონკურენციით მეორე ებრაულ ფინანსურ კლანთან - როკფელერებთან, რომლებიც დასახლდნენ ამერიკის შერთებულ შტატებში. ბაქოს მდიდარი მრეწველობა როტშილდებს დიდ უპირატესობას მისცემდა, მაგრამ ამ ინდუსტრიების უბრალოდ ხელში ჩაგდება საკმარისი არ იყო. როტშილდებს სჭირდებოდათ იაფი და მოსახერხებელი გზა ნავთობის ევროპაში გასატანად, ნავთობპროდუქტების საკვანძო ბაზარზე.

ბათუმის სატრანზიტო გადაზიდვების მონაცემები.

1899 წლისათვის ბათუმში ირიცხებოდა 366 საწარმო. მათი მესაკუთრეები იყვნენ ბერძნები, თურქები, სპარსელები, პოლონელები, ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელებიც კი. 1902 წლის მონაცემებით ბათუმიდან 285 ნავთითა თუ ნავთობით დატვირთული გემი გავიდა, რაც ჯამში 54 573 000 ფუტს შეადგენდა. 1908 წლის ტვირთბრუნვის მიხედვით ბათუმი პეტერბურგისა და ოდესის პორტების შემდეგ 42,9 მილიონი ფუტის ტვირთბრუნვით მესამე ადგილზე იყო რუსეთის იმპერიაში.

1902 წლისთვის ბათუმში ოპერირებდა გემით მომსახურე 24 საზოგადოება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისური, ფრანგული თუ გერმანული წარმომავლობის იყო. თუმცა იყვნენ ისეთებიც, როგორც არის „ბელგიური ანონიმური საზოგადოება“ თუ როტერდამიდან ნავთმზიდი ამერიკული საზოგადოება.

1901 წლისთვის ბათუმში აკრედიტებული იყო თურქეთის, ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიისა და სპარსეთის საკონსულოები. გარდა

ამისა, ბათუმში წარმომადგენლები ჰყავდათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბელგიას, გერმანიას, ნიდერლანდს, ავსტრია-უნგრეთსა და ნორვეგია-შვედეთს. 1903 წელს ამერიკაში, ტეხასში, აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადოები, ასევე ინდოეთში, ბირმასა რამაც ბათუმის მომავალი განვითარება შეაფერხა.

1.3. ნობელების ჩამოსვლის ბიზნეს-ინტერესები კავკასიაში

ნობელები წარმოშობით შვედები იყვნენ და მათი კავკასიაში ჩამოსვლის ინტერესი უკავშირდებოდა ბაქოს ნავთობის წარმოების ბიზნესს. ბაქოს ნავთობის ბიზნესით არა ერთი უცხო კომპანია იყო დაინტერესებული და კომპანიებს შორის ხშირად ადგილი ჰქონდა კანონდარღვევებს, რაც იწვევდა ხანგრძლივ სასამართლო გარჩევებსა და ამით ბიზნესის განვითარების ტემპების შენელებას. შეთანხმებები იდებოდა ნობელებსა და როტშილდებს შორის, როკველერებსა და როტშილდებს შორის, ხან ნობელებსა და როკველერებს შორისაც კი. ყველაფერი კეთდებოდა მესამე მხარის შესასუსტებლად. სამი ოჯახის ეს ორთაბრძოლა ისტორიაში ეგრეთ წოდებული „ოცდაათწლიანი ომის“ სახელით არის ცნობილი (ლიტ. 28. ჯოლბორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ ვაჟა შუბითიძის რედაქტორობით მერიდიანი, 2016 - გვ.: 5-57; 271-324; 344-362; 375-437).

ნობელებმა რუსეთში ბიზნესი ჯერ კიდევ 1840-იან წლებში წამოიწყეს, 1833-ს შვედი გამომგონებელი ემანუელ ნობელი გაკოტრდა. კრედიტორები-საგან თავის დაღწევის მიზნით ფინეთის გავლით პეტერბურგში ჩავიდა. აქ მან თავისი გამოგონება, წყალქვეშა ნადმი, რუსეთის სამხედრო საზღვაო უწყებას მიჰყიდა, კრედიტორები გაისტუმრა და ოჯახით სანკტ-პეტერბურგში დასახლდა. აქ მან პატარა საწარმოები გახსნა, რომელის ბაზაზეც შემდგომ მისმა შვილებმა მძლავრი მეწანიკური ქარხანა ააშენეს. წარუმატებელი ბიზნესის გამო ემანუელ ნობელი იძულებული იყო დაეტოვებინა სანკტ-პეტერბურგი, ხოლო მისმა შვილებმა, ლუდვიგმა და რობერტმა, დარჩენა ამჯობინეს (ალფრედი ევროპაში დაბრუნდა ნიტროგლიცერინზე სამუშაოდ). (ლიტ.2. ამერიკისმცოდნეობა, ტ. IV. ქუთაისი. 2008, გვ. 1-7. 47.).

1873 წ. ქალაქ იჟევსკის იარაღის ქარხანაში წარმოებული თოფების კონდახისათვის საჭირო გახდა კაკლის ხის მასალა, რომელიც ძვირად შემოჰქონდათ გერმანიიდან. მისი შეძენის მიზნით, 1873 წელს რობერტ ნობელი მისი

ძმის ლუდვიგის დავალებით კავკასიაში გაემგზავრა. რობერტ ნობელი კავკასიაში გაემგზავრა (ბაქოს გავლით). ბაქოში მან ნავთობის სარეწები ნახა, დაინტერესდა და გადაწყვიტა მის ძმასთან, ლუდვიგთან ერთად შეესყიდა ბალახანში, პატარა ნავთობიანი მიწის ფართობი. 1875 წელს ბაქოში „ტფილისის საზოგადოებისაგან“ „ფოტოგენური ქარხანა“ და ნავთობით მდიდარი ტერიტორიები 8000 მანეთად შეიძინა.

რობერტი პირველი იყო ნობელებისგან, ვინც კავკასიაში ჩამოვიდა რუსეთში ნავთობინდუსტრიის ფუძემდებლად რობერტი და მისი ძმა ლუდვიგი სახელდებოდა. რობერტი ცდილობდა დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება ნობელების მიერ ახლად გამოგონებული დინამიტის ეფექტურობაში, როგორც რკინიგზის გაყვანისა და მთიანი რეგიონების გაწმენდისას, ასევე მისი წყლის ქვეშ გამოყენებისას. რობერტ ნობელი თხოვნით მიმართავდა მთავრობას, ნება მიეცათ საქართველოში უბაჟოდ 500 ფუთი დინამიტის შემოეტანა. 1876 წლამდე ნავთობპროდუქტების გადაზიდვის მთავარი საშუალება იყო ეტლზე დამაგრებული სპეციალური კასრები (ინგლისურად - ახლა უკვე კარგად ცნობილი ბარელი). **ბარელი** (ამერიკული მოცულობის ერთეული) 1 ბარელი = 42 გალონს \approx 158,988 ლიტრს. = 0,158988 მ³



მუდმივმა ხანძრებმა და საცხოვრებელი უბნების დაბინძურებამ ჭკარტლით აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება ნავთობის გადამუშავების ქარხნები ქალაქიდან უფრო შორს ე.წ. შავ ქალაქში ეწარმოებია. იქ ყველაფერი ნავთობის ფერი იყო, ჩიტებიც კი. მრავალი წლის შემდეგ, მ. გორკიმ, რომელიც ეწვია ბაქოს ნავთობის საბადოებს, წერდა: „ნავთობის საბადოები ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ბრწყინვალედ შესრულებული ბნელი ჯოჯოხეთის სურათი.“ 1877 წელს საბადოსთან ერთი ფუნტი ნავთობი 3 კაპიკი ღირდა, ხოლო მისი მიტანა ბალახანიდან შავ ქალაქში 20 კაპიკი ჯდებოდა. 1863 წელს, როცა დ.ი. მენდელეევი ეწვია ბაქოს, მან რეკომენდაცია გაუწია მილსადენის გაყვანას, ნავთობის საბადოებიდან ნავთობის

გადამამუშავებელ ქარხანამდე. რაც, მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს.

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ნობელები ბაქოდან საზღვარგარეთ ნავთობის გატანას ფოთისა და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან აწარმოებდნენ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და საუკეთესო ვარიანტად ბათუმი განიხილებოდა,

ვითარება შეიცვალა 1877-1878 წლებში რუსეთის თურქეთთან ომში გამარჯვების შემდეგ და ბათუმის შემოერთებით. 1883 წელს ბათუმ-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი ბაქოსთან დააკავშირა, რამაც გაზარდა საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები. ამ პროცესებს ასევე ხელი შეუწყო 1878 წელს გამართულმა ბერლინის სამშვიდობო კონგრესმა და ბათუმის „porto franco“-დ გამოცხადებამ. ნობელების, როტმილდების, ინგლისური თუ გერმანული კაპიტალი უხვად მოაწყდა ბათუმს.

1.4. ძმები ნობელების ამხანაგობის „Branobel“-ის შექმნა ბაქოში

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ბაქოს რეგიონი ნავთობის ბუმმა მოიცვა. ბაქოს ოლქები ბალახანი, საბუჩანი და რამანი იზიდავდა ათასობით მეწარმეს, რომლებიც ცდილობენ გამდიდრებას ნავთობის მოპოვებითა და გადამამუშავებით. ნავთობის წარმოების ყველაზე ცნობილ არეალად ითვლებოდა შაიტან ბაზარი, სადაც 120 ჭაბურღილი იყო გაყვანილი და 110 კომპანია მუშაობდა დაახლოებით 150 ჰექტარ ფართობზე.

1878 წლის მაისში იმპერატორ ალექსანდრე II-ის დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა რუსეთის იმპერიაში ყველაზე მსხვილი ნავთობ კომპანია: “Branobel”-ის, „ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა“ რომლის საწყის კაპიტალი შეადგენდა 3 მლნ რუბლს.

1879 წ. კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობსამრეწველო ამხანაგობა ძმები ნობელები იგივე „Branobel“-ი დაარსდა ბაქოში. 1879 წლის 25 მაისს (ახალი სტილით 6 ივნისს) 145 წლის წინ.

სურ.1.5. გამოსახულია „Branobel“ ლოგო, რომელიც უძველესი რელიგიის, ზოროასტერიზმის სიმბოლოა და სათავეს იღებს ირანიდან. მისი მთავარი არსი გამოიხატება ორი დიდი ძალის სუკეთის და ბოროტების მუდმივ ჭიდილში, მისი სახელწოდება მქადაგებელ ზარატუშტრას უკავშირდება,

მთავარ როლს რიტუალში ასრულებს ცეცხლი. სიმბოლოურად დღესაც ყველა მოქმედი საბადოს კომპლექსზე გიზგიზებს „მარადიული ცეცხლი“.



სურ. 1.5. კომპანია „Branobel“ ლოგო.(1879წ.)

ამხანაგობის დააარსების იდეის ავტორები იყვნენ სამი ძმა ნობელები: ლუდვიგი, რობერტი, ალფრედი და მათი მეგობარი, არტილერიის პოლკოვნიკი პეტრე ალექსანდრეს ძე ბილდერლინგი. მათ შორის ნავთობის მიმართ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იჩენდა ლუდვიგ ნობელი, რომელიც პირველივე საორგანიზაციო კრებაზე სხდომის თავჯდომარედ აირჩიეს და შემდგომშიც იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომპანიის საქმიანობაში. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი 3 მლნ. მანეთს შეადგენდა, რომელიც შემდეგი თანაფარდობით იყო წარმოდგენილი:

1. ლ. ნობელი 1610 000;
2. პ. ბილდერლინგი 930 000;
3. ი.ზაბელსკი 1350005;
4. ა. ნობელი 115000;
5. რ. ნობელი 100000;
6. ა. ბილდერლინგი 50000;
7. ფ. ბლიუმბერგი 25000;
8. მ. ბელიამინი 25000;
9. ა. სუნდგრენი 5000; და
10. ბ. ვუნდერლიხი 5000.

კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ: ლუდვიგ ნობელი, რობერტ ნობელი, ალფრედ ნობელი, პეტრე ბილდერლინგი.

ასოციაციის პირველი თავჯდომარე იყო: ლუდვიგ ნობელი. ძირითადი კაპიტალი დაარსების დროს იყო 3 მილიონი რუბლი 5000 რუბლის აქციებით. აქციის დიდი ნაწილი გამიზნული იყო საფონდო ბირჟის სპეკულაციის შეფერხებისთვის. აქციების 50%-ზე მეტი ეკუთვნოდა ნობელების ოჯახს.

ნავთობის ბიზნესის წამოწყების იდეის ავტორი იყო რობერტ ნობელი, რომელმაც პირველად ნახა ბაქოს ნავთობის საბადოები ბალახანში 1873 წელს.

1875 წელს რობერტმა კომპანია „ტფილისის საზოგადოებისგან“ 25 ათას რუბლად იყიდა ნავთის პატარა ქარხანა „შავ ქალაქში“ და ასევე საბუნჩის რაიონში რამდენიმე ნავთობიანი მიწის ნაკვეთი შეიძინა. კომპანია მხოლოდ 1890-იან წლებში გახდა ჭეშმარიტად მომგებიანი ბიზნესი. მანამდე ის რამდენჯერმე მიუახლოვდა გაკოტრებას, რისგანაც ის იხსნა ალფრედ ნობელმა, რომელიც კომპანიას საკუთარი ფინანსებით უჭერდა მხარს.




სურ. 1.5. რობერტის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა შავ-ქალაქში. (ბაქოში)

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაქოში იწყება ნავთობმრეწველთა გაერთიანება და მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას.

1872 წელს ბაქოში ფუნქციონირებდა 57 ნავთობის სახდელი ქარხანა, რომელთა შორის იყო ნობელების ქარხანაც. ქარხანა აღჭურვილი იყო იმდროინდელი ტექნიკით. გარდა ნობელებისა მუშაობდა ტაგიევის, ნაგიევის ქარხნები.

ნობელების საქმიანობის ქრონოლოგია ბაქოში.



სურ. 1.4. ნობელების საქმიანობის ქრონოლოგია ბაქოში

შავი ქალაქი ასე ეწოდება ქალაქს ბაქოს აღმოსავლეთ უბანში, რომელშიც კონცენტრირებული იყო ძმები ნობელების ნავთობის ინდუსტრიის საწარმოები. 1880 წლისთვის ახალ რაიონში უკვე 118 საწარმო იყო. აქ იყო ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების უმეტესი ნაწილი.

ქარხნის შენობების ჭვარტლისა და კვამლის შავი ფერის გამო ამ ტერიტორიამ „შავი ქალაქის“ სახელი მიიღო.



სურ. 1.6. ნავთობის ფანტანი შავ ქალაქში

მენავთობე მუშების უმეტესობა შავ ქალაქში ცხოვრობდა. აქ იყო ნავთობის საწარმოები, სახელოსნოები და მუშათა სახლები. საცხოვრებელი პირობები ძალიან ცუდი იყო. მდიდარი მოქალაქეები ცხოვრობდნენ ბაქოს ცენტრში, სადაც ნავთობის მოპოვება და ნავთობის გადამუშავება სასტიკად აკრძალული იყო.



სურ. 1.7. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნავთის (კეროსინის) განყოფილება, რეზერვუარები ნავთობპროდუქტის შენახვისათვის

პროექტის საზღვრებში არსებული შავი ქალაქის ტერიტორიის რესურსების ამოწურვის შემდეგ ნავთობის მფლობელებმა დაიწყეს ახალი საექსპლუატაციო მიწების ძიება. შავ ქალაქთან ყველაზე ახლოს იყო სოფელ

კიშლის მკვიდრთა მიწები, რომლებზეც მალევე გაჩნდა კიდეც ერთი ინდუსტრიული ქალაქი - თეთრი ქალაქი, რომელიც აღმოსავლეთიდან შავი ქალაქის გაგრძელება გახდა.

1876 წელს ძმებმა ნობელებმა დააარსეს ნავთობკომპანია: **ნავთობის მოპოვებისა და გადამამუშავებისთვის**. რობერტ ნობელმა დაიწყო ისეთი ადამიანის ძებნა, ვინც საწარმოს ტექნოლოგიურ ნაწილს უხელმძღვანელობდა.

1883 წელს, შავი და თეთრი ქალაქების საზღვარზე, ძმებმა ნობელებმა კომპანიის თანამშრომლებისთვის ააშენეს. საოჯახო რეზიდენცია და სოფელი ვილა პეტროლეა. ამჟამად რეზიდენცია აღდგენილია და მასში განთავსებულია ძმები ნობელების მუზეუმი <https://www.google.com/search?q>

1.5. პირველი მინი-ნავთობსადენი: „ბალახანი - ბაქო“


დ.ი. მენდელეევი ნავთობის წარმოებაში, სატრანზიტო მომსახურების შემაფერხებელი მიზეზების გაცნობით და ხარვეზების აღმოფრვის მიზნით შეიმუშავა დაა გამოაქვეყნა რუსეთში ნავთობის ბიზნესის რეორგანიზაციის პროგრამა. რომლის ძირითადი პუნქტებია:

1. უძველესი ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებების ლიკვიდაცია.
2. ნავთობსადენების მშენებლობა.
3. ნავთობის შესანახად რკინის ავზების მშენებლობა.
4. ნავთობის ტრანსპორტირებისთვის მცურავი გემების მშენებლობა.
5. ტუმბოების გამოყენება ნავთობის გასაფილტრად.
6. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა.

თავდაპირველად ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის მთავარი საშუალება იყო არბა ორბორბლიანი ეტლი, რომელსაც ცხენი ატარებდა. ეტლზე და დამაგრებული იყო სპეციალური ბიდონები ნავთობის ჩასასხმელად. ჭაბურღილებიდან მოპოვებული ნავთობი ისხმებოდა ქილებში და ხის ბოთლებში. იმავე ბოთლებით ნავთობი გადაჰქონდათ ურმით და ინახებოდა ღია ორმოებში. ეს ყველაფერი აისახებოდა ხარჯებზე და პროდუქტის ხარისხზე.



სურ. 1.8. ნავთობპროდუქტების გადაზიდვის მთავარი საშუალება არბა.
(ლიტ. 35. A.I. Melua. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 /
Edited by Prof. A.I. Melua.)



სურ. 1.9. ნობელების სარეწაო ჭაბურღილი (უკან) და მოპოვებული ნავთობის
გადატვირთვა სარკინიგზო ლიანდაგით, ცხენის მეშვეობით.
(ლიტ. 35. A.I. Melua. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 /
Edited by Prof. A.I. Melua.)

1876 წელს ავშერონის ნახევარკუნძულზე მოგზაურობის შედეგებზე დაყრდნობით, ლუდვიგ ნობელმა დაწერა ანალიტიკური ჩანაწერი, რომელშიც მან განსაზღვრა ბიზნესის განვითარების შემდეგი მიმართულებები:

1. უარის თქმა ნავთობის ცხენებით გადაზიდვაზე,
2. მილსადენების მშენებლობა საბადოდან გადამამუშავებელ ქარხანამდე;
3. რკინის ავზების მშენებლობა ნ/ნავთობპროდუქტების შესანახად;
4. რუსეთში ნავთობპროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის სტრუქტურის შექმნა.

ორი წლის შემდეგ, **1878 წელს, ძმებმა ნობელებმა ააშენეს პირველი ნავთობსადენი რუსეთის იმპერიაში 10 კმ სიგრძის. იგი გადაჭიმული იყო ბალახანიდან შავ ქალაქამდე რაიონი სადაც მდებარეობდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნეოდა ნავთობის წარმოების ყველა მიმართულებით: ნავთობის გადამამუშავებაში, ტრანსპორტირებასა და ნავთობის შენახვაში. Branobel” -ის კომპანიის დაარსების დასაწყისში, მუხედავად კრიტიკისა, რომელიც თან ახლდა ნობელების, ინოვაციურ საქმიანობას. რობერტ და ლუდვიგ ნობელმა მიიღო გადაწყვეტილება აეშენებინათ მილსადენი ნავთობის ჭაბურღილიდან ქარხანამდე.**



სურ. 1.10. პირველი მინი -ნავთობსადენი (10 კმ) „ბალახანი - ბაქო“

საველე მილსადენების მშენებლობის პარალელურად, განიხილებოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შორ მანძილზე, მაგისტრალური მილსადენური ტრანსპორტირების საკითხი რადგან ბაქოში ნავთობის მოპოვების

მატებასთან ერთად, უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა პრობლემები ნავთობისა და ნავთის სხვა რეგიონებში გაგზავნასთან დაკავშირებით. მილსადენის იდეა მუდმივად განიხილებოდა

ბალახანი-ბაქოს მილსადენი აშენდა 1878 წელს და ექსპლუატაციაში შევიდა 1879 წელს. ისტორიაში, შევიდა როგორც რუსეთში პირველი ნავთობსადენის მშენებლობის წელი, და თავად მილსადენი იყო მაგისტრალური მილსადენების გიგანტური ქსელის წინაპარი, რომელიც ამჟამად არის ექსპლუატაციაში.

ნავთობსადენის უპირატესობა ლ.ნობელის კონკურენტებმა სწრაფად შეაფასეს და ბარის ოფისმა მიიღო შეკვეთები ახალი ნავთობსადენების მშენებლობის შესახებ. უკვე 1879 წელს ექსპლუატაციაში შევიდა მეორე ნავთობსადენი ბალახანი - შავი ქალაქი, 12,9 კმ სიგრძით, 70 მმ დიამეტრით.

1.6. სამეცნიერო მიღწევები ნავთობმრეწველობის განვითარების საწყის ეტაპზე.(1866-1896წ.)

ნავთობსადენის სატრანსპორტო მეურნეობის განვითარებაში. რომელსაც აფინანსებდა და ხელმძღვანელობდა მძებნი ნობელების ნავთობკომპანია, “Branobel”-ი, დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მეცნიერმა და **ინჟინერმა ვლადიმერ შუხოვმა**. პროექტის განხორციელებაში ასევე ჩართული იყო სხვა მრავალი რუსი მეცნიერი, ინჟინერი და გამომგონებელი. 1877 წელს ბაქოში გაიხსნა ინჟინერ ა.ვ.ბარის სამშენებლო ოფისის ფილიალი. „ბარი“, რომლის მთავარი სამმართველო მდებარეობდა მოსკოვში. ამ ოფისის დამფუძნებელი და მფლობელი იყო ტექნიკური წარმოების ორგანიზატორი ა. ვ. ბარი, ხოლო ოფისის მთავარი ინჟინერი გახდა ვ. გ. შუხოვი, პერსპექტიული ახალგაზრდა ინჟინერი, რომელიც ადრე მუშაობდა ვარშავის ოფისის სამშენებლო ბიუროში. ნავთობის წარმოებაში ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების ათვისების საქმეში

ალექსანდრე ბარი, რომელიც დაიბადა პეტერბურგში, სწავლობდა ციურისში, მუშაობდა ამერიკაში, სადაც დაუმეგობრდა ინჟინერ ვლადიმერ შუხოვს, რომელიც სამეცნიერო დელეგაციის შემადგენლობაში გაეცნო აშშ ინდუსტრიის. მიღწევებს. ჯერ კიდევ მოსკოვის საიმპერატორო ტექნიკურ სკოლაში სწავლისას შუხოვმა დააპატენტა თავისი პირველი გამოგონება - ორთქლის საქმენი, რომელიც საწვავად იყენებდა მძიმე ნავთობს, რომელიც

ადრე ნავთობის წარმოების ნარჩენად ითვლებოდა და აბინძურებდა მიწასა და წყალს.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ბარი პირველი ორი წელი მუშაობდა ძმები ნობელების ფირმაში მთავარ ინჟინრად. ისინი ცდილობდნენ დაეპროექტებინათ და აეშენებინათ 10 კილომეტრის სიგრძის ნავთობსადენი, ბალახანი -ბაქო. 1878 წელს პროექტში აქტიურად ჩაერთო და მშენებლობას ხელმძღვანელობდა ოცდახუთი წლის ინჟინერი ვლადიმერ შუხოვი.რომელიც აგვარებს ნავთობის შენახვის პრობლემას . ის აპროექტებს ცილინდრული ტიპის ფოლადის ტანკებს. რადგან მათ აქვთ დამატებითი სიმტკიცე და შედარებით მსუბუქი წონა, რაც საშუალებას აძლევს მათ განთავსდეს მსუბუქ საძირკველზე. მილსადენის მშენებლობა დიმიტრი მენდელეევის მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ბაქოს ნავთობის ირგვლივ დიდი ვნებათა ღელვისა და სკანდალების ფონზე ალფრედ ნობელი დაინტერესდა ბაქოს ნავთობის მიმართ. თავისი ძმისთვის - ლუდვიგისთვის გაგზავნილ დეპეშაში ის წერდა, რომ პარიზში საქმიანი წრეები ახსენებდნენ ბაქოს ნავთობს და რომ როტმილდები ცდილობდნენ დაიპყრონ საუკეთესო მიწის ნაკვეთები ბაქოში. ამასთანვე სურთ ძმები ნობელების განდევნა ამ ტერიტორიიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე 1876 წელს ლუდვიგ ნობელი გადასახლდა ბაქოში. ხოლო რობერტ ნობელმა 1876 წლის აპრილში საბუნჩუში ნაყიდ მიწაზე ააგო. პირველი ჭაბურღილი.

ა.ვ. ბარი და ვ.გ. შუხოვი ეცნობიან Nobel Brothers-ის კომპანიის ხელმძღვანელს ლუდვიგ ნობელს, რომელიც ძალიან აქტიური იყო ბაქოს ნავთობის ბაზარზე. მოლაპარაკებებმა გამოავლინა კომპანიის მთავარი პრობლემა - ნავთობის ტრანსპორტირება საბადოებიდან შავი ქალაქის ქარხანამდე. ბარი აფორმებს კონტრაქტს ნავთობის სარეწაო მილსადენის მშენებლობაზე, ბალახანის საბადოებიდან შავი ქალაქის L. Nobel-ის ქარხანამდე, რომლის სიგრძეზე ნავარაუდები იყო 10 კმ და გამტარუნარიანობა 80 ათასი ფუნტი ნავთობი დღეში. ვ.გ. შუხოვი იღებს მოქმედების სრულ თავისუფლებას ამ მილსადენის დიზაინისა და მშენებლობისთვის.

გამოცდილების მისაღებად შუხოვი მიემგზავრება ამერიკაში. ამერიკელებმა პრაქტიკულად განახორციელეს დ.მენდელეევის იდეა. მენდელეევი, რომელიც თვლიდა, რომ უკიდურესად აუცილებელია, მილსადენის გაყვანა და ნედლი ნავთობის გადატანა საზღვაო ტრანსპორტით.

1881 წელს ვ.გ. შუხოვი აქვეყნებს თავის ნაშრომს „მილსადენები და მათი გამოყენება ნავთობის მრეწველობაში“, რომელიც მრავალი ათწლეულის

განმავლობაში გახდა მილსადენის დიზაინის მთავარი სახელმძღვანელო. ამ ნაშრომში ვ.გ. შუხოვმა დაადგინა კავშირი სითხის ნაკადსა და მის სიბლანტეს შორის, შესთავაზა მილსადენში წნევის ვარდნის გამოთვლის ფორმულა სითხის ნაკადის რეჟიმიდან გამომდინარე და მისცა მეთოდი მილსადენის ყველაზე ხელსაყრელი დიამეტრის, სითხის სიჩქარისა და მილის კედლის სისქის დასადგენად. მის მიერ შემუშავებული შუალედური სატუმბი სადგურების განთავსების გრაფიკულ-ანალიტიკური მეთოდი დღესაც გამოიყენება. ბარის ოფისი, ნავთობსადენების დიზაინსა და მშენებლობასთან ერთად, 1881 წელს აშენდა 130-ზე მეტი ფოლადის ტანკი V.G.-ის დიზაინის მიხედვით. შუხოვა. მუშაობს დიზაინის განყოფილებაში, ვ.თ. **შუხოვა შექმნა მილსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სამეცნიერო თეორია.**

ხანგრძლივი და შრომატევადი მუშაობის შედეგი იყო სტატია „ნავთობის მილსადენები“, რომელიც გამოქვეყნდა „ინდუსტრიის ბიულეტენში“ 1884 წელს. ვ.გ. შუხოვი პირველი იყო, ვინც მეცნიერულად გამოიკვლია ნავთობისა და გაცხელებული მაზუთის მოძრაობა მილებში და საფუძველი ჩაუყარა ნავთობის ჰიდრავლიკას. 1896 წელს გროზნოს მახლობლად აშენდა იმ დროს სამი დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. მათ ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა საიმედო ტრანსპორტის უქონლობა. 1896-1898 წლებში ინტენსიური იყო ნავთობსადენების მშენებლობა ძველი საბადოებიდან ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებამდე. გაყვანილია ხუთი ნავთობსადენი, რომლებიც ეკუთვნოდა სხვადასხვა ნავთობკომპანიას.

1891 წელს შუხოვმა შეიმუშავა ნავთობის და მაზუთის გადამამუშავების მაღალტემპერატურული პროცესი ე.წ. კრეკინგი. ძირითადი პროცესი ითვალისწინებდა ნავთობის გაცხელებას მაღალ ტემპერატურაზე კატალიზატორების თანდასწრებით (**ლიტ. 91.Шухов Владимир Григоревич., избранные труды, том 3).**


დანადგარის პრინციპიალური სქემის აღწერილობა. იხ. ნახ. 1.11

1. ნავთობი ან მაზუთი მილით R და ტუმბო B , თი, მიეწოდება C მილს, და კლავნილა გამაცხელებელს. გამაცხელებლიდან სითხე მიეწოდება ცილინდრულ რეზერვუარს A , სადაც მიმდინარეობს თერმული დაშლის პროცესი. იგი დამოკიდებულია წნევაზე, და რეგულირდება M და P . ვენტილებით.

2. წარმოქმნილი ორთქლისა დისტილატის ნარევი ექვემდებარება განცალკავებას, სითხე რჩება ქვემოდ, ხოლო ორთქლი, *E* მილის საშუალებით მიეწოდება სახდელ გამაცივებელ აპარატს (იხ. ნახ. 2. მარჯვნივ.).

3. *ნარევის სრული განცალკავების მიზნით*. რეკომენდირებულია აპარატი შეივსოს შემავსებლით, მაგ., ფოლადის ან კოქსის ნატეხებით.

4. დანადგარი ითვალისწინებს პროცესის ჩატარებას ორი მიმართულებით: ა) *P* ვენტილის გამოყენებით შესაძლებელია ჩვეულებრივი გამოხდა, ხოლო ბ) ტუმბო *B*-ს და *Q* ვენტილის მეშვეობით შესაძლებელია თერმული კრეკინგის ჩატარება. ნახ.1.11.




სურ. 1.11. თერმული კრეკინგის პირველი დანადგარი მსოფლიოში (ლიტ. 91. Шухов Владимир Григоревич, избранные труды, том 3).

5. გათვალისწინებულია ასევე ნახადი სითხის გატარება *D* მილით ორთქლის დეფლემაციისათვის. ასევე *t* მილით მსუბუქი ფრაქციების მიწოდება, რათა არ მოსდეს ნავთობში შემავალი მძიმე კომპონენტების გამოლეკვა...

6. ნახადი აირსითხის ნარევი *h* მილის გავლით მიეწოდება, *F* აპარატს, სადაც გამაცივებელი სითხე (აგენტი) მიეწოდება *K* და *n*.კლავნილა მილების მეშვეობით.

7. პატენტში, მითითებულია, რომ გამაცივებელ აგენტის სახით იყენებენ წყალს, რათა მოხდეს ნავთის, კეროსინის ფრაქციის კონდენსირება.

8. არაკონდენსირებული ორთქლი *E2* მილის მეშვეობით მიეწოდება *N* მოცულობას, სადაც ექვემდებარება აირსითხის საბოლოო განცალკავებას, მაღალი სიმკვრის მქონე სითხე გამოდის ქვემოდან, *S*, მილით ხოლო მსუბუქი სითხე ზემოდან *m* მილით. შუხოვის ნავთობის კრეკინგის მეთოდმა, საშუალება მისცა მოპოვებულიყო ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ბენზინი, ნავთი, საპოხი მასალები. და სხვა. ნედლეულად გამოყენებულია ნავთობი. რომელიც ცხელდება 300°C -მდე და მიეწოდება სარექტიფიკაციო სვეტს, თავდაპირველად ნავთობის გამოხდის შედეგად მიიღება საწვავი ფრაქციები და ნარჩენი პროდუქტი მაზუთი.



სურ. 1.12. ნავთობის სახდელი დანაგარი

ნახაზზე 1.12 ნაჩვენებია ნათელი ფრაქციების და საწვავი დისტილატებია მიღება. საბოლოო პროდუქტი მაზუთი ისევ უბრუნდება გამათმობელ ლუმელს. სახდელი კუბი და ჭრილში ნაჩვენებია კუბის შიგა მოწყობილობა, როგორიცაა საკონტაქტო თევზები,სადაც წარმოებს ურთიერთ კონტაქტი წყლის ორთქლსა და გაცხელებულ ნავთობთან რის შედეგად წარმოიქმნება აირსითხის ნარევი, რომელიც შემდგომი კონდენსირება დისტილატების სახით. 1891 წელს ვ.უ. შუხოვმა და ს.პ. გავრილოვმა 27.11.1891 წ, მიიღეს რუსეთის ვაჭრობისა და წარმოების დეპარტამენტისაგან პრივილეგია (პატენტი) № 12926 რომელსაც ეწოდა „მოწყობილობები ნავთობისა და მსგავსი სითხეების უწყვეტი ფრაქციული დისტილაციისთვის“.

1870-იანი წლებიდან 1920- წლების ჩათვლით, ამ პერიოდისათვის ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „branobell“-ი დაინტერესებული და ჩართული იყო როგორც ბიზნესის, ასევე სამეცნირო საქმიანობის მიმართულებით...

XIX საუკუნის 70–80-იან წლებში ბაქოში ნავთობმრეწველობის სწრაფმა განვითარებამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპანია ”branobell“-მა, აუცილებელი გახადა გასაღების არეალის გაფართოება. იმ დროისათვის ბათუმი შავი ზღვის ერთადერთი, ყველაზე მოსახერხებელი ნავსაყუდელი იყო, რომელმაც მიიქცია ძმები ნობელების ყურადღება. სწორედ ბათუმის საშუალებით ბაქოს კომერციული ნავობპროდუქტები გასცდა კასპიის ზღვის აუზს და სათავე დაუდო ნავთობით ვაჭრობის საერთაშორისო კონკურენციას. ეს ის პერიოდია, როცა ნავთობი აყალიბებს ახალ გეოპოლიტიკურ სტრატეგიებს საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში და ბაქო-ბათუმის სატრანსპორტო კავშირები დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ღებულობს. ძმები ნობელების კომერციულმა ალლომ სწრაფად და კარგად შეაფასა ბაქოს ნავთობის პერსპექტივები. შესაბამისად დიდი იყო მათი ინტერესი ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის, მილსადენისა და ბათუმის პორტის მიმართ. (ლიტ.19. ტუნაძე თემურ. ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „ბრანობელი“. კრებული „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, ბათუმი, 2009, გამომცემლობა ბსუ).

იმდროინდელი სამთავრობო ხელისუფლების მიერ 1888 წლისათვის, გაიცა ნებართვა ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანაზე. ეს გარემოება მნიშვნელოვანი წინსვლა და უპირატესობა იყო ნობელებისათვის ნავთობის ტრანსპორტირებაში. ბაქო-ბათუმის რკინიგზამ და 1883 წელსვე, ბათუმში ნობელების ნავთობტერმინალის ამოქმედებამ, დააჩქარა ბათუმის პორტის განვითარების საკითხი. ლუდვიგ ნობელი არაერთხელ იყო ბათუმში 1883-1885 წლებში, დაათვალიერა პორტის ტერიტორია, შეადგინა გეგმა სადაც გათვალისწინებული იყო პორტში ნავთობპროდუქტების მიღებისა და ტრანზიტის პრაქტიკული საკითხები.

ნავთობის გადამუშავების გარდა, კომპანია ეწეოდა დამხმარე რეაქტივების წარმოებას, კერძოდ, დაარსდა სოდისა და გოგირდმჟავას წარმოება.


თავი 2. „branobel“-ის ნავთობ-სატრანზიტო საქმიანობა ბათუმში

2.1. კომპანია “branobell”-ის ამოცანები და მათი განხორციელების გზები

შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ყურეში, სადაც ბათუმი მდებარეობს, ძველთაგანვე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მშვიდმა და მოსახერხებელმა საზღვაო ნავსადგურმა. ქალაქის განაშენიანების ერთ-ერთი წინაპირობაც გახდა. ბათუმის, როგორც საპორტო ადგილის მნიშვნელობა განსაკუთრებით ვითარდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ბათუმი შავი ზღვის ერთადერთი ყველაზე მოსახერხებელი ნავთსაყუდელი იყო, რომელმაც მიიქცია ძმები ნობელების ყურადღება. სწორედ ბათუმის საშუალებით გახდა შესაძლებელი ბაქოს ნავთის ჩართვა, ნავთობ-პროდუქტებით ვაჭრობის საერთაშორისო კონკურენციაში. ამ პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა 1883 წლის აპრილში ძმები ნობელების ამხანაგობის საანგარიშო მოხსენება აქციონერთა საერთო შეკრებაზე, სადაც ხაზგასმით აღნიშნულა, რომ კომპანია ფლობს მნიშვნელოვან უპირატესობას ბაქოს ნავთობზე ამერიკელების წინაშე და, რომ რუსულ ნავთს აქვს ფართო არეალი კომპანიის ამოცანას წარმოადგენდა გაემეგებინა ამერიკული ნავთი რუსული ბაზრიდან, ხოლო შემდგომ დაეწყო რუსული ნავთის გატანა საზღვარგარეთ. ბათუმისა და ნავთობით ვაჭრობის თემა მრავალ ასპექტს მოიცავს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე სოციალური და კულტურული თვალსაზრისით.

1886 წლის 31 ოქტომბერს ბაქოს ნავთობმომპოვებლები მიმართავდნენ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ა. მ. დონდორუკ-კორსაკოვს, რომ ბაქოს ნავთობის წარმოებამ მიაღწია განვითარების იმგვარ ტემპებს, როცა მას თავისუფლად შეუძლია მოამარაგოს განათებისა და საპოხი საშუალებებით, არა მარტო მთელი რუსეთი, არამედ ევროპის დიდი ნაწილი, მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობით. XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ევროპის ბაზარზე რუსული ნავთის წილმა 43,9 % შეადგინა. აფშერონიდან ეგ. წ. „რუსული ნავთის“ საზღვარგარეთ ექსპორტის ძირითადი დასაყრდენი ბათუმი იყო. 1900-1902 წლებში ბათუმის პორტის ექსპორტში ნავთობს 88 % ეკავა, რომლის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთზე მოდიოდა (ლიტ. 5. **გოგოლიშვილი ო.**, ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარება XX ს-ის I ათწლეულში, ბათუმი, 2006).




სურ. 2.1. ნობელების მოღვაწეობა ბათუმში 1875-1931 წ.

რუსული და ამერიკული კეროსინის (ნავთის) მახასიათებელი პარამეტრების შედარებითი ცხრილი

ცხრილი 2.1.

დიტილატი	რუსეთის კეროსინი ნავთი; კუთრი წონა 0.871 გ/სმ			ამერიკის კეროსინი ნავთი; კუთრი წონა 0.87		
	%	სიმკვრივე	ფეთქ. T=°C	%	სიმკვრივე	ფეთქ. T=°C
100—125	2,6	0,763	16° C	2,2	—	16° C
125—150	12,8	0,776	16° C	2,2	—	16° C
150—170	16,8	0,793	25° C	13,5	0,758	29° C
170—190	14,8	0,808	41° C	21,3	0,768	43° C
190—210	14,4	0,821	55° C	18,0	0,777	57° C
210—230	12,7	0,831	72° C.	15,0	0,786	75° C
230—250	7,5	0,840	98° C	10,0	0,795	99° C
250—270	7,0	0,850	120° C	9,2	0,806	111° C
270—290	5,0	0,858	—	4,8	0,840	
ნარჩენი	5.5	0,878		5,2	0,854	



სურ. 2.2. კეროსინის (ნავთის) წარმოების ტექნიკური მოწყობილობა.

1. ნავთის სახდელი კუბი; 2-3. მაცივრები; 4. აპარატი გადახურებული წყლის ორთქლის მიღებისათვის; 5. სახდელი კუბი; 6. გამაცხელებელი მილები; 7. სახდელი აპარატის საერთო ტექნოლოგიური სქემა; 8-9 უწყვეტი ქმედების ნავთობის სახდელი აპარატი; 10-ნავთობის წყლისაგან განცალკავების აპარატი; 11. მომრევი მოწყობილობა; 12. მომრევი მოწყობილობის სისტემა ჰაერის ჩაბურვით.

2.2. ბაქოს ნავთობის სარკინიგზო ტრანზიტი ბაქო-თბილისი-ბათუმის მიმართულებით

1882 წელს ნავთობბაზის გადაიარაღების მიზნით რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და გაყვანილ იქნა პირველი, ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალი. ჩრდილოეთის გზა ძირითადად ემსახურებოდა ჩრდილოეთ ევროპას და აღმოსავლეთ გერმანიას. ამიტომაც შემდგომში ამხანაგობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო ბათუმს. ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებამდე, გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, ბაქოს ნავთობი ძირითადად ემსახურებოდა რუსეთის შიდა ბაზარს. რუსეთის ხელისუფლება მიემხრო ნავთობმრეწველთა ინტერესებს და

თავდაპირველად ამოქმედდა ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზი, რომელიც შეუერთდა თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალს. 1883 წლიდან კი სამტრადია-ბათუმის რკინიგზით შეიკრა ბაქო-ბათუმის მონაკვეთი.

2 ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზით დაკავშირებამ დღის წესრიგში დააყენა ბათუმის პორტის მოწყობის საკითხი. ამ მიზნით შეიქმნა კომისია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სმეკალოვის (1838-1890) ხელმძღვანელობით. ამ კომისიაში ლუდვიგ ემანუელის ძემ განსაკუთრებული როლი შეასრულა. მან შემოიარა ბათუმის პორტის შემოგარენი, დაათვალიერა რეიდი და გაეცნო ყველა შესაძლო პირობას, რაც კი სასარგებლო იქნებოდა საექსპორტო ვაჭრობისათვის. მის წინადადებებსა და რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებდა კომისია დიდი პატივისცემით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიტანეს გეგმაზე ნავთობის საწყობები, რომლებიც დაყოფილი იყო უზნებად ქუჩების აღნიშვნით; სარკინიგზო ხაზები და მათი განშტოებები და ა.შ. ლუდვიგის მიერ შეთავაზებული გეგმა კომისიამ მოიწონა, მაგრამ შედეგად, საბოლოო ჯამში, პორტის მოწყობა განსხვავებული გეგმით განვითარდა და მნიშვნელოვნად დაცილდა თავდაპირველ, მიზანმიმართულ საპროექტო ვარიანტს. 1885 წელს ლუდვიგი ხელახლა ჩამოვიდა ბათუმში და თავისი შეხედულებები გააცნო მაშინდელ კავშირგაბმულობის (მინისტერსტხო პუტეი სოობშენია) მინისტრს, რეიდის გაწმენდის, სარკინიგზო ესტაკადების მშენებლობის და ა.შ. შესახებ. ამჯერად ლუდვიგის წინადადებები მხედველობაში იქნა მიღებული.

სარკინიგზო მარშრუტი. ბათუმის საექსპორტოდ გამოყენებას ასევე ემხრობოდნენ ძმები ნობელები. ლუდვიგი ბაქოდან პეტერბურგში თავის ძმებს, ალფრედსა და რობერტს, წერდა: „ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების ყველა შესაძლო მარშრუტს შორის რეკომენდაციას გაძლევთ, აირჩიოთ მარშრუტი, რომელიც საქართველოზე გადის, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას შორის, სიახლოვის გარდა, გაითვალისწინეთ მეგობრობისა და ერთმანეთისადმი ერთგულების სრულიად განუმეორებელი გრძნობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობს აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის. ჩვენთვის, უცხოელებისთვის, ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა დანარჩენი მარშრუტი დაკავშირებულია გაცილებით უფრო დიდ რისკებთან, ვინაიდან არსად არის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ბაქოსა და თბილისში, ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორად ეს მარშრუტი უნდა ავირჩიოთ“. ნახშირწყალბადის ევროპაში ექსპორტირებისთვის მიიღეს ლუდვიგის

არჩევანი – ნავთობის გადატანა განხორციელებულიყო ბაქო-თბილის-ბათუმის გზით, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რკინიგზის აშენებაში 10 მილიონი ამერიკული დოლარი როტშილდებმა ჩადეს. მათ ასევე გამოყვეს კრედიტები მცირე ნავთობ გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად.



სურ. 2.3. სარკინიგზო მარშრუტი და ვაგონცისტერნები ნავთობის გადაზიდვისათვის.

1888 წლისათვის ამხანაგობა „ბრანობელ“-ი ფლობდა 465 კერძო ვაგონს, რომლებიც ბაქო-ბათუმის რკინიგზისათვის იყო გათვლილი.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ნავთობის ტრანსპორტირება. მოპოვებული ნავთობი ივსებოდა კასრებში, შემდეგ კი გემით იგზავნებოდა ასტრახანში, სადაც იტვირთებოდა სარკინიგზო ვაგონებზე. პრობლემები რუსეთში და სხვა ქვეყნებში გაგზავნილი კასრების გადმოტვირთვამაც შექმნა. ნობელებს სურდათ შეემცირებინათ ნავთობის ტრანსპორტირების ღირებულება, რათა ბაზარზე სხვა კონკურენტი არ ჰყოლოდათ.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობა რუსეთის იმპერიამ 1865 წელს დაიწყო. 1871 წელს ფოთი-ყვირილას მონაკვეთზე გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა, 1872 წლის 10 ოქტომბერს კი ფოთიდან თბილისში პირველი მატარებელი ჩავიდა. ამის შემდეგ დაიწყო რკინიგზის განშტოებების და ახალი ხაზების მშენებლობა. 1877 წელს გაიხსნა რკინიგზის განშტოება რიონი-ქუთაისი. საქართველოს რკინიგზის მშენებლობის მეორე ეტაპს განეკუთვნება თბილისი-ბაქუს სარკინიგზო ხაზი, რომელიც 1883 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, ამავე წელს გაიხსნა სამტრედია-ბათუმის ხაზი. რკინიგზით ერთმანეთს დაუკავშირდა კასპიისა და შავი ზღვები, რაც რუსეთის იმპერიას ხელს უწყობდა ბაქოს ნავთობის ექსპორტში.



სურ. 2.4. სურამის მშენებარე გვირაბთან 1888წ. 13.10
(საქართველოს ეროვნული არქივი.).

აღნიშნული სარკინიგზო ხაზის მნიშვნელობა შეუცვლელი გახდა, მაგრამ სატრანზიტო ტვირთების მოცულობას აფერხებდა რკინიგზის დაბალი გამტარუნარიანობა. რასაც ლიანდაგების სიმცირესთან ერთად განაპირობებდა სურამის უღელტეხილი. ამ სირთულის დასაძლევად ნობელებმა გადაწყვიტეს გაეყვანათ **სურამზე ნავთის საკუთარი მილსადენი. მიხაილოვიდან (ხაშური) ყვირილამდე**. მისი სიგრძე 62 კილომეტრი იყო, რომლის მშენებლობა ამხანაგობას 650 ათასი მანეთი დაუჯდა. ეს იყო ნავთობის მილსადენის პირველი წარმატებული მშენებლობა უფრო დიდი მანძილისა და სიმაღლის გათვალისწინებით. შემდგომში ეს მილსადენი ამხანაგობამ დაშალა და ნავთობმწველობის სხვა საჭიროებისათვის გამოიყენა. 1883 წელს ბაქო-ბათუმის რკინიგზამ ბაქოს ნავთობს გზა გაუხსნა დასავლეთისკენ. „branol“ ქარხნული საქმიანობა 1879 წლიდან 1904 წლამდე გამოიხატა 1 მილიარდ 195 მილიონი ფუნტის საკუთარი და შეძენილი ნავთობის გადამუშავებაში კომპანია ფლობდა: ნავთობის საბადოებს ბაქოს მახლობლად, ბალახანში, ბოშში, საბუნჩისა და ბიბი-ჰეიბათში, კუნძულ ჩელეკენზე კასპიის ზღვის სანაპიროზე და ბერიქსში (დაღესტნის რეგიონი)

და ა.შ.; კომპანიის დაქვემდებარებაში შედიოდა: შვიდი ქარხანა ბაქოს მახლობლად, შავ ქალაქში, საწყობებსა და ბაზებს რუსეთში და საფრანგეთში. შვეიცარიაში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქალაქებში.

2.2.1. პირველი სასაწყობო მეურნეობა და ნავთობ-საცავი

ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზი 1883 წელს დასრულდა, თავდაპირველად კომპანიას არ ჰქონდა საკუთარი ვაგონების გამოყენების უფლება. ასეთი ნებართვა გაიცა მხოლოდ 1888 წელს. აღნიშნული რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა 5 მლნ ფუტს შეადგენდა. ერთი მიმართულებით ტვირთის გადატანას ეშელონი, რომელიც 9 ვაგონ-ცისტერნისაგან შედგებოდა, ანდომებდა 60-70 საათს (ლიტ. 3. ბენდიანიშვილი ალ., სარკინიგზო ტრანსპორტი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008).

ნობელებს სასაწყობო მეურნეობა ჰქონდათ არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ რუსეთში ქ. ასტრახანში, ციცერინში, ფინეთის საპორტო ქალაქებში ასევე ბაქოში, შავ ქალაქში ყველგან, სადაც საჭირო იყო ნავთობის და ნავთის უსაფრთხოდ შენახვა.



სურ. 2.5. ნავთობის პირველი სასაწყობო მეურნეობა ბათუმში.

(ლიტ. 30. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. –St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. –480pp.)

ლუდვიგ ნობელი არაერთხელ იყო ბათუმში 1883-1885 წლებში, დაათვალიერა პორტის ტერიტორია, შეადგინა გეგმა, სადაც გათვალისწინებული

იყო პორტში ნავთობპროდუქტების მიღებისა და ტრანზიტის პრაქტიკული საკითხები. ბათუმის პორტიდან ნავთი და საპოხი ზეთები ძმებ ნობელებს, გარდა თავად რუსეთის იმპერიისა, გაჰქონდათ თითქმის მთელი ევროპის მიმართულებით.

ნავთობის და ნავთობპროდუქტების შენახვისათვის ყველა სასაწყობო საცავისათვის ნობელებს შემუშავებული ჰქონდათ ტერიტორიის და კლიმატის შესაბამისი წესდება და მკაცრად ითხოვდნენ ამ წესების და რეკომენდაციების დაცვას.

რეზერვუარი, რომელშიც ნავთობი და ნავთობპროდუქტები უნდა იყოს შენახული, მზადდებოდა შერჩეული მასალის სისქის მიხედვით. რეზერვუარი, გამოყენებამდე გარედან და შიგნიდან შეღებილი იყო სპეციალური ანტიკოროზიული საღებავებით.




სურ. 2.6. ნავთობის შესანახი პირველი რეზერვუარი (საარქივო მასალები)

თავდაპირველად რეზერვუარი ივსება წყლით, რათა დაედგინათ რეზერვუარის ჰერმეტიულობა. შემდეგ ცარიელი რეზერვუარი ივსება ნავთობით გარკვეულ დონეზე, თან გათვალისწინებული უნდა იქნეს ცარიელი ადგილი ნავთობის გაფართოებისათვის.

თბილ სეზონზე წარმოქმნილი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ავზი აღჭურვილია გაზის გასასვლელი უსაფრთხო მილით.

რეზერვუარის ფსკერის ქვეშ არის პლატაზე დამზადებული ე.წ მყარი რკინის ფურცელი, რომელიც განკუთვნილია რეზერვუარის ჰერმეტიულობის დადგენისათვის. საწყობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე იყრება თიხა, რათა დაიცვას გარემო ტერიტორია ნავთობის გაჟონვისაგან. (ლიტ.30.

Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. – St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. – 480 pp.).



სურ. 2.7. ასტრახანის სასაწყობო მეურნეობა, სადაც ხდებოდა ნავთობის ტრანზიტი ბაქოდან ჩრდილოეთის სატრანზიტო მარშრუტით. (ლიტ. 30. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. – St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. – 480 pp.).

2.3. უცხოელ მეწარმეთა ფინანსური კონკურენცია საქართველოში

1870 წლებში რუსმა ნავთობმეწარმეებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ბაქო-ასტრახან-ვოლგის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაიწყეს. რადგან პროექტი დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ხოლო სამუშაოები საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, ისინი ფრანგ როტშილდების საგვარეულოს დაუკავშირდნენ. ისინი ათწლეულების განმავლობაში ჩართული იყვნენ სარკინიგზო ბიზნესში და ევროპაში პირველი ხაზების აშენება სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული. როტშილდების უშუალო ინტერესებში შედიოდა არა შემოვლითი გზის აშენება, არამედ ამ ნედლეულის ბათუმის გავლით პირდაპირ ევროპაში გატანა.

ნობელები ევროპის ყველაზე დიდი ფინანსურ ძალას ვერ გაუმკლავდებოდნენ. როტშილდების ინტერესები არა მენეჯერული, არამედ ძირითადად საბანკო და საინვესტიციო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ნობელეებისთვის ასეთი სპეკულაციები უცხო იყო და ამიტომაც ორი ბიზნეს-

ფილოსოფიის ჯახი გარდაუვალი აღმოჩნდა. ვითარება დაიძაბა 1882 წელს, იმპერატორ ალექსანდრ II-ის მკვლელობის შემდეგ, როდესაც საიმპერატორო დეკრეტით ებრაელებს რუსეთის ტერიტორიაზე მიწის ყიდვა ან დაქირავება აკრძალათ. ამ კანონს დიდი გავლენა არ მოუხდენია როტშილდების გეგმებზე და 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ როტშილდებმა დააარსეს ნავთობ-კომპანია: „Société Commerciale et Industrielle de Naphte Caspienne et de la Mer Noire” (კასპიისა და შავი ზღვის ნავთობის კომპანია), უფრო ცნობილი რუსული აბრევიატურით – БНІТО. (ლიტ. 20. ტუნაძე თ., მჟავანაძე ე., ევრაზიულ-ამერიკული ნავთობის კონკურენციის ისტორიიდან. ქუთაისი, 2008) ბათუმმა ნამდვილი ბიზნეს-ცენტრის სტატუსი მოიპოვა. ტანკერებად გადაკეთებული ბრიტანული გემებით ნედლეული მარსელსა და ფიუმეში გადაჰქონდათ. ბათუმში როტშილდებს ნავთისა და ნავთობის გადასაზიდი კონტეინერების ყველაზე დიდი ქარხანა ჰქონდათ. მათს საქმიანობას ნაწილობრივ ხელი შეუშალა 1886 წელს რუსეთის მიერ ბათუმისთვის „porto franco”-ს სტატუსის გაუქმებამ, რითაც ქალაქი კვლავ სამხედრო ნავსაყუდელად გადაიქცა. ნობელებს არ სურდათ სასიკვდილო ომში ჩართულიყვნენ როტშილდებთან. ალფრედს კარგად ესმოდა, თუ რით შეიძლება დამთავრებულიყო ყოველივე ეს მისი ძმებისათვის. მისი ძალისხმევით პარიზში, 1884 წლის მაისში, მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც ორი ოჯახი თანამშრომლობაზე შეთანხმდა. როტშილდებს სურდათ ნავთის გატანა ევროპაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ როკფელერების Standard Oil-ით მარაგდებოდა. იმავე აზრის იყვნენ ნობელებიც.

ლუდვიგ ნობელს სურდა საკუთარი კომპანიის მეოთხედის მიყიდვა როტშილდებისათვის, რათა მათი დაფინანსებით მოეხერხებინა ბათუმში ბუნჯისა და პალაშკოვსკის „ბათუმის ნავთობისა” და „სავაჭრო კომპანიის” 1,5 მილიონ მანეთად ყიდვა. მას ასევე სურდა აეგო ნავთის გადასაზიდი კონტეინერების ქარხანა და გაეყვანა ნავთობსადენი სურამის ქედზე გავლით. როტშილდებმა უარი თქვეს, თუმცა აქ გამოჩნდნენ როკფელერები, რომლებმაც ლუდვიგთან მოლაპარაკებები გამართეს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ როკფელერები ამავდროულად ინფორმაციას აწვდიდნენ როტშილდებს ნობელებთან მოლაპარაკებების შესახებ. ამ ოჯახებს შორის უთანხმოების გასაღვივებლად. ორი უმძლავრესი ოჯახის შემოტყვევისგან თავის დასაღწევად ლუდვიგს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ახალი კონტრაქტები უნდა დაედო. მან შავ ზღვაში საკუთარი პოზიციების გა-

სადღიერებლად ბათუმში შემოიყვანა 286 ფუტის სიგრძის ტანკერი “CBET”-ი, რომელსაც 17000 ტონა ნავთი ინგლისში უნდა გადაეზიდა. როკველერების Standard Oil-ისთვის ეს დიდი მარცხი გახლდათ. კომპანია, რომელიც აკონტროლებდა ამერიკის ექსპორტის 90%, ინგლისის ბაზარს საკუთარ მონოპოლიად მიიჩნევდა. ნობელების ნავთმა კი ინგლისის სამომხმარებლო ბაზრის 30% დაიკავა – მაშინ როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო. არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდების გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას.

მილსადენის. მთავარ დაბრკოლებას სურამის ქედი წარმოადგენდა. ლუდვიგ ნობელი ჯერ კიდევ 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანისას აცნობებდა ადგილობრივ მთავრობას სურამის ქედის გავლით სადენის გატარების აუცილებლობას, თუმცა კონცესიაზე უარი მიიღო. მიზეზი: ნავთის დიდი რაოდენობა და როკველერებთან ეფექტიანი კონკურენცია შესაბამისად გამოიწვევდა ნობელების მიერ ბაქოს იაფ ნედლეულზე ფასების მომატებას. საბოლოოდ პროექტის დამტკიცება მოხერხდა, რის შემდეგაც 1903 წელს აშენებულ იქნა 835-კილომეტრიანი ნავთსადენი. **აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოების განმავლობაში საჭირო იყო ალფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი.** პროექტის საერთო ღირებულება 12 მილიონი მანეთი გახლდათ. ნობელებმა ბათუმში ნავთის უზარმაზარი ტერმინალი ააგეს. მათ მიერ შექმნილი ზოგი ავზის ნახვა დღემდე, თითქმის 120 წლის შემდეგაც არის შესაძლებელი. შენდებოდა ასევე სახლები მენეჯერული გუნდისთვის. ნობელების მთავარი შენობა ასევე კავკასიაში შვედეთ-ნორვეგიის სამეფოს საკონსულოს სათავე ოფისსაც წარმოადგენდა. საქართველოს საისტორიო არქივში ინახება 1897 წლის 5 ივნისით დათარიღებული მიმართვა ბათუმში ძმები ნობელების ობიექტების დირექტორის, გუსტავ ავგუსტ ჰაგერის, შვედეთ-ნორვეგიის ვიცე-კონსულად დანიშვნის შესახებ. ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა 2007 წელს ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმად გადაიქცა. ნობელები 1917 წლამდე საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ.

1919-1920 წლებში ბრიტანეთმა საქართველოში, შავი ზღვის პორტებზე – ბათუმსა და ფოთში კონტროლი განახორციელა. ეს იყო ადგილები, საიდანაც აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო.

ბრიტანეთის პოლიტიკური დოკუმენტების მიხედვით მათი მიზანი იყო კასპის ზღვის გადაყვანა ბრიტანეთის იმპერიის მფლობელობაში და მდინარე ვოლგაზე ნავიგაციის გაკონტროლება. უფრო ადრე – 1918 წლის სექტემბერში თურქებმა დაიკვეს ბაქო, მაგრამ შემდგომ, ნოემბერში ბრიტანელებმა გააძევეს თურქები ბაქოდან და შეეცადნენ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის აღდგენას.


1919 წელს Standart Oil გააფორმა ხელშეკრულება აზერბაიჯანთან, სადაც იგი მილიონის მესამედს იხდიდა ჭაბუღილისათვის. ნობელებმა სცადეს თავიანთი წილი მიეყიდათ ინგლისურ-პრუსიული ნავთობკომპანიისათვის, მაგრამ საბოლოოდ 1920 წლის 12 აპრილის შეთანხმებით Standart Oil-ის შეთავაზება მიიღეს.

პირველი მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად ბათუმში ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები ან იხურება ან ახალი მფლობელების ხელში გადადის, მაგრამ რეგიონში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო ამ დროიდან ბაქოს ნავთობის მონაწილეობა საერთაშორისო ბაზარზე უმნიშვნელო ხდება (ლიტ.19. **სიორიძე მ.**, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918). ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ბათუმი, 1995).

2.4. პირველი მაგისტრალური მილსადენი ბაქო-ბათუმი და ნავთის ექსპორტი ევროპაში

სარკინიგზო გადაზიდვის შეზღუდულმა სიმძლავრემ და რთულმა ოპერაციულმა პირობებმა სერიოზული პრობლემები შექმნა კერძოდ, 1895 წლის ოქტომბერში, მდინარე მტკვრის წყალდიდობისა და სარკინიგზო ლიანდაგებისა და ხიდების დაზიანების გამო, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება შეჩერდა. ორი თვე.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აგების იდეა ლუდვიგმა რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1884 წელს შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. შემდგომში თავად ლუდვიგმა სურამის უღელტეხილის ხაშური-ყვირილას მონაკვეთზე, 62 ვერსის ნავთსადენი მილი გაიყვანა, ეს იყო პირველი წარმატებული ცდა ნავთის გადაქაჩვისა, რომელმაც შემდგომში ხელი შეუწყო უდიდესი ნავთობსადენის შექმნას ბაქო- ბათუმის მიმართულებით.



სურ. 2.8. პირველი მაგისტრალური მილსადენი ბაქო-ბათუმი
(ლიტ. 30. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. – St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. – 480pp.)

ბაქო-ბათუმის ნავთსადენის პირველი პროექტი, რომელიც შეიმუშავა ვლადიმერ შუხოვმა 1884 წელს, ითვალისწინებდა მილსადენის შემდეგ პარამეტრებს: მილის დიამეტრის 6 დიუმი, საერთო სიგრძით 883 კილომეტრი; 35 სატუმბი სადგურით (PS). პროექტის განხილვასა და დამტკიცებას 12 წელი დასჭირდა.

1896 წლის მაისში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა ბაქო-ბათუმის მაგისტრალური ნავთის მილსადენის აშენება, რომელიც დასავლეთის რკინიგზის გასწვრივ უნდა გასულიყო. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ლუდვიგ ნობელმა, რომელიც იმ დროს განაგებდა უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ და გადამამუშავებელ კომპანიას. და ფინანსთა მინისტრმა სერგეი ვიტემ. ნავთის მილსადენის პროექტზე პასუხისმგებლობა და მართვა დაევალა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს ნიკოლაი შჩუკინს. აშშ-ში ვიზიტისა და ამერიკული გამოცდილების შესწავლის შემდეგ, შჩუკინმა მოკლე დროში დაასრულა მილსადენის ჰიდრავლიკური გაანგარიშება, და შეიტანა ცვლილებები მილსადენის პარამეტრებში. მილის შიდა დიამეტრი იქნებოდა 204 მმ (8 დიუმი) და სატუმბო სადგურების რაოდენობა შეამცირა. გახდა 16 ნაცვლად 35-ისა. რამაც უზრუნველყო ნავთის წლიურ მოცულობის გაზრდა 980 ათასი ტონით.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მილებს დაამზადებდნენ მხოლოდ მარიუპოლის, სოსნოვიცისა და ეკატერინოსლავის შიდა ქარხნებში. მილების

სიგრძე იყო არანაკლებ 4,5 მ. ნავთობის სატუმბი სადგურისთვის ორთქლის დგუმის ტუმბოებს აწვდიდა ამერიკული კომპანია Worthington. თითოეულ სატუმბო სადგურს ჰქონდა ორი მომუშავე და ერთი სარეზერვო ტუმბო 110 კვტ სიმძლავრით. გარდა ამისა, სადგურებთან დამონტაჟდა სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარები 7-დან 14 ათას ტონამდე. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჩატარდა ხელით, მიღები შეაერთეს ხრახნიანი შეერთების გამოყენებით, დაფარული ანტიკოროზიული იზოლაციით, მარშრუტის გასწვრივ სატელეფონო ხაზი დაიდო. ყველა კონსტრუქცია მაღალ ტექნიკურ დონეზე იყო განხორციელებული, გამოყენებული იყო ორიგინალური ტექნიკური გადაწყვეტილებები - მაგალითად, მდინარე მტკვრის გადაკვეთისას მილსადენი შეჩერდა სარკინიგზო ხიდზე.

მშენებლობის დროს ბევრი სირთულე იყო - მაგალითად, აზერბაიჯანის ქალაქ ევლახის მიდამოში მშენებლობა მხოლოდ ზამთარში მიმდინარეობდა, რადგან ზაფხულში ამ მხარეში მალარია მძვინვარებდა. მშენებლობის დასასრულს - სატუმბი სადგურზე დაიწყო აღჭურვილობის დამონტაჟება, რომელიც წარმოებულია ძირითადად შიდა საწარმოებში, ოთხ სატუმბო სადგურზე დამონტაჟდა 4 ორცილინდრიანი დიზელის ძრავა, თითოეული დამზადებულია კოლომენსკის და სანქტ-პეტერბურგის ლუდვიგ ნობელის ქარხანაში. ამავდროულად, დიზელის ძრავა აღმოჩნდა ბევრად უფრო ეკონომიური და საიმედო, ვიდრე ორთქლის. 882 კმ სიგრძის ნავთის მილსადენი 16 ნავთობის სატუმბო სადგურით ოფიციალურად ამოქმედდა 1907 წლის ივნისში. ექსპლუატაციის პირველივე დღეებიდან ამიერკავკასიის ნავთის მილსადენი სტაბილურად მუშაობდა, მალე მნიშვნელოვნად გადააჭარბა დაგეგმილ ნორმას. 1907 წლის ბოლოსთვის მილსადენში 1 მილიონ ტონაზე მეტი ნავთი გადაიქაჩა. ბაქო-ბათუმის მაგისტრალური ნავთის მილსადენის მშენებლობაზე რუსეთის მთავრობამ 21 მილიონი რუბლი დახარჯა, პროექტის ხარჯები სრულად 4 წელიწადში დაიფარა.

ბაქო-ბათუმის მაგისტრალური მილსადენი ერთ-ერთი პირველი ნავთობმილსადენია მსოფლიოში. ბათუმი ხდება რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო ვაჭრობის ცენტრი. ბათუმში ნავთობმრეწველობის დასაწყისი დაკავშირებულია ძმები ნობელების სახელთან. 1873წ. ნავთობის ტრანზიტისათვის ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობის მიზნით ლუდვიგ ნობელი რამდენჯერმე ჩამოვიდა ბათუმში. მან დაათვალიერა ბათუმის ნავსადგური და როგორც ტექნიკისა და მანქანათმშენებლობის მცოდნე, უშუალოდ იყო ჩართული ნავსადგურის და ტერმინალის პროექტირებაში.



სურ. 2.9. საექსპორტო ნავთის შესანახი რეზერვუარები ვარშავაში. (ევროპაში)

მილსადენის მშენებლობის ეტაპები.

1896 წლის 23 მაისს რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რკინიგზის გასწვრივ მილსადენის მშენებლობის შესახებ და იმავე წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. პირველ ეტაპზე აშენდა ბათუმი-მიხაილოვო (ხაშური) მონაკვეთი, რომელიც დასრულდა 1906 წელს. ოფიციალური გახსნა შედგა 1907 წლის 24 ივლისს ტფილისში. **პირველი მილსადენი იყო ნავთის მილსადენი** საერთო სიგრძით 885 კმ (550 მილი) და 16 სატუმბი სადგური. მილსადენის დიამეტრი ძირითადად იყო (200 მმ), მაგრამ ზოგიერთ ნაწილს ჰქონდა დიამეტრი (250 მმ) და (300 მმ). მილები იწარმოებოდა მარიუპოლის, სოსნოვიცისა და ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნიპრო) ქარხნებში. მილსადენის საწყისი სიმძლავრე იყო 980 000 ტონა ნავთი წელიწადში. სატუმბი სადგურები აღჭურვილი იყო Worthington Corporation-ის დგუმის ტუმბოებით, რომლებიც ამოძრავებდნენ ორთქლისა და დიზელის ძრავებით. მილსადენი იმ დროისთვის ყველაზე გრძელი მილსადენი იყო მსოფლიოში. **1925 - 1931 წელს მაგისტრალური ნავთსადენის ხაზის რეკონსტრუქცია მოხდა და ნავთის მილსადენი გადაკეთდა ნავთობსადენად.**

1943 წელს, გერმანული ჯარების გარღვევის საფრთხის გამო, ნავთობსადენი დაიშალა და მისი მილები გამოიყენეს ასტრახან-სარატოვის პროდუქციის მილსადენის მშენებლობისთვის. ომისშემდგომ წლებში ნავთობსადენი აღდგა და უსაფრთხოდ ემსახურებოდა 1999 წლამდე, სანამ

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი ამოქმედდა. ამრიგად, ბაქო-ბათუმის მილსადენი გამართულად მუშაობდა 90 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც აბსოლუტური მსოფლიო რეკორდია.

ახალი მილსადენის პროექტი (მეორე ხაზი) შემოთავაზებული იქნა 1924 წელს. 1925 წელს საბჭოთა კავშირმა აწარმოა მოლაპარაკებები ფრანგულ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოს შექმნის მიზნით ბაქო-ბათუმის ნედლი ნავთობსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. განზრახვა იყო ნავთობსადენის გამოყენება ევროპაში, ძირითადად საფრანგეთში ნავთობის ექსპორტისთვის. მშენებლობა დაიწყო 1928 წლის მაისში და მილსადენი გაიხსნა 1930 წლის 30 აპრილს. იგი ძირითადად ამარაგებდა ბათუმის გადამამუშავებელ ქარხანას.

ნედლი ნავთობსადენის დიამეტრი (250 მმ) იყო და სიგრძე 834 კილომეტრი (518 მილი). მილსადენს ჰქონდა 13 სატუმბი სადგური, თითოეული აღჭურვილი იყო სამი დიზელის ტუმბოთი 360 ცხ.ძ. მილსადენმა გამოიყენა გერმანული წარმოების 60000-ზე მეტი მილი, რომელთა წონა სულ 54000 ტონაზე მეტია. მილსადენის დიზელები შეძენილი იქნა MAN AG-სგან, ტუმბოები Crossley-დან და გენერატორები თეოდორ ბერგმანისგან.

სამშენებლო სამუშაოები სამ მონაკვეთზე ერთდროულად მიმდინარეობდა. უმაღლესი წერტილი იყო ზღვის დონიდან 823 მეტრი (2700 ფუტი). პირველი 21 კმ (13 მილი) მონაკვეთი ბათუმი-მიხაილოვო (ხაშური) დასრულდა 1929 წლის 13 თებერვალს, მეორე 363 კმ (226 მილი) მონაკვეთი მინგეჩაური (მინგაჩევირი)-მიხაილოვო (ხაშური) დასრულდა 1929 წლის 15 დეკემბერს. მესამე 248 კმ (154 მილი) მონაკვეთი ბაქო-მინგეჩაური (მინგაჩევირი) დასრულდა 1930 წლის 13 თებერვალს. მილსადენი დაჯდა 49 მილიონი უბლი.https://en.wikipedia.org/wiki/Baku%E2%80%93Batumi_pipeline ნავთის მილსადენი.


2.5. პირველი ნავთობმიწიდი საზღვაო ტანკერი

კომპანია „branobel“-ის მნიშვნელოვანმა წარმატებებმა რუსეთის იმპერიის შიდა ბაზარზე, დღის წესრიგში დააყენა ბაქოს ნავთისა და სხვა ნავთობპროდუქტების ექსპორტის საკითხი საზღვარგარეთ. ამ კუთხით ნობელები არასდროს არ გამორიცხავდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელობას, მაგრამ სანამ ეს სარკინიგზო ქსელი ჩამოყალიბდებოდა, მანამდე ნობელებს ნავთის ექსპორტის რამდენიმე პროექტი ჰქონდათ.

ნავთობის გადაზიდვას მცურავი საშუალებებით საუკუნენახევრიანი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 60 -იან წლებში, როცა პენსილვანიის შტატში დაიწყო ნავთობის მასობრივი მოპოვება კომერციული მიზნებისა, მისი გადაზიდვისათვის გამოიყენებოდა ნავებსა და ბარუებზე მოთავსებული 150ლ (40 გალონი) ტევადობის ხის კასრები. ტრანსპორტირების ეს ხერხი თითქმის 50%-ით აძვირებდა ნავთობის ღირებულებას ძვირადღირებული და მძიმე კასრების მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების გამო.

პირველი იალქნიანი ნავთობმზიდი სანაოსნო საშუალება 1863 წელს, ხოლო პირველი საოკეანო ტანკერი Vaderland აშენდა 1873 წელს დიდ ბრიტანეთში. 1877 წელს ტანკერად გადააკეთეს მსხვილი იალქნიანი ხომალდი Lindesnaes.

თანამედროვე ნავთობის ტანკერის პროტოტიპები იქმნებოდა 1877 წლიდან 1885 წლამდე პერიოდში.



სურ. 2.9. პირველი ნავთობმზიდი ტანკერი. "ზორასტერი" 1877წ.

ლუდვიგ ნობელმა ალექსანდერ ალმკვისტთან ერთად დააპროექტა და 1878 წელს განახორციელა მსოფლიოში პირველი წარმატებული ტანკერის „ზორასტერის“ პროექტი. „ზორასტერის“ დიზაინი საფუძვლად დაედო კიდევ ორი ანალოგიური ტანკერის კონსტრუქციას. ტანკერს შეემლო 246 ტონა, ორ რეზერვუარში განთავსებული ნავთის გადატანა ბაქოდან ასტრახანამდე. მისი სიგრძე 56 მ, სიგანე 8,2 მ, მაქსიმალური დაძირვა კი 2,7 მ-ს შეადგენდა.

მსოფლიოში პირველი ნავთობმზიდი ტანკერი, **ზორასტერი**. იგი აშენდა 1877 წელს ძმები ნობელების დაკვეთით და დაერქვა ზორასტერი,

რაც ზოროასტრიული რელიგიის ძველი ირანელი წინასწარმეტყველის, ცეცხლის თაყვანისცემის სახელი. აღნიშნული გემის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ნავთის გადაზიდვა კასპიის ზღვიდან, ბაქოდან ცარიცინამდე. (ახლანდელი ვოლგოგრადი) და ასტრახანამდე.

ლუდვიგ ნობელის დიზაინის მიხედვით. გემის კორპუსი ფოლადისგან იყო დამზადებული, ტანკები კი რკინისგან. ტანკერი იყო 56 მ სიგრძით, 8,2 მ სიგანით. "ზოროასტერი" ამოქმედდა ბაქოში 1878 წელს. მოგვიანებით გამოჩნდა ნავთობტანკერს "ემანუელ ნობელი" და "რობერტ ნობელი". ასე რომ, ნობელები გახდნენ პირველი, შემდეგ კი მსოფლიოში უდიდესი ტანკერების ფლოტის მფლობელები. გემის კორპუსი შეიცავდა 21 ლითონის ავზს, რომლითაც შეიძლებოდა 242 ტონა ნავთის ან ნავთობის შევსება. მისი სიგრძე იყო 56 მ, სიგანე 8,2 მ.

1880 წელს ნობელმა შეიმუშავა ერთკორპუსიანი ტანკერის კონსტრუქცია, რომელშიც გემის კორპუსი თანადროულად ნავთობის რეზერვუარის კედელს წარმოადგენდა. მომდევნო წლის განმავლობაში ბრანობელმა შვიდი ასეთი დიზაინის ტანკერის დამზადება დაუკვეთა. ძმები ნობელების კომპანიის მიერ ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის (1897-1907 წლებში) დასრულების შემდეგ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტვირთბრუნვა ნავთობით 25% შეადგენდა. ამავე პერიოდი ემთხვევა მაგისტრალური მილსადენების ინტენსიური მშენებლობა კავკასიაშიც 1897-1907 წლებში, ძმები ნობელების მიერ დაარსებული კომპანიის ინიციატივით აშენდა 883 კმ საერთო სიგრძის (443 კმ საქართველოს ტერიტორიაზე) მილსადენი ბაქოდან ბათუმამდე, რომელიც გათვალისწინებული იყო წლიურად 960 ათას ტონამდე (მოგვიანებით კი ნედლი ნავთობის) მისაწოდებლად აზერბაიჯანის ნავთობის სარეწებიდან საქართველოს საზღვაო პორტამდე.

1885 წ. ლუდვიგმა, შავ ზღვაში, ბათუმის საზღვაო პორტში, საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად შემოიყვანა ტანკერი ,89.5 მ. სიგრძის . და სიგანე 11.6 მ. ,სახელწოდებით "Свет"-ი, რომელსაც 17000 ტონა ნავთი უნდა გადაეზიდა ბათუმიდან ინგლისში. ტანკერი აშენდა ნავთობკომპანია ძმები ნობელების დაკვეთით და დაფინანსებით. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ევროპაში გადაზიდვის მიზნით ბაქოდან ბათუმის გავლით. შავი ზღვის პირველი ტანკერის ეკიპაჟში 50 მეზღვაური შედიოდა. (ლიტ. ვიკიპედია).

როკფელერების ნავთობ-კომპანიის Standard Oil-ისთვის ეს დიდი მარცხი გახლდათ. კომპანია, რომელიც აკონტროლებდა ამერიკის ექსპორტის

90%, ინგლისის ბაზარს საკუთარ მონოპოლიად მიიჩნევდა. ნობელების ნავთმა კი ინგლისის სამომხმარებლო ბაზრის 30% დაიკავა – მაშინ როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო. არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდების გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას. აუცილებელი იყო სახმელეთო და საზღვაო ტერმინალების განვითარება.

2.6. პირველი ნავთობტერმინალი ბათუმში

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ისტორია იწყება რომის იმპერიის დროიდან, როდესაც ბათუმის ნავსადგური იყო რომაული სავაჭრო ქსელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერტილი ანდრიანე მესამეს დროს. ათუმის ნავსადგურის ისტორია დასაბამს 1878 წლიდან იღებს, როდესაც მას პორტო-ფრანკოს ანუ თავისუფალი ნავსადგურის სტატუსი მიენიჭა. იმ დროს ბათუმში ცნობილი მეწარმეები – როტმილდები, მანთაშევეები და ძმები ნობელები მოღვაწეობდნენ.

ძმები ნობელები ნავთობმომპოვებელი საბადოების, ათობით ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ნავთობგადამზიდი ტანკერების, კარპაჭების, რკინიგზებისა და სასტუმროებს ფლობდნენ. 1878 წელს ბაქოში დაარსდა “ძმები ნობელების ნავთობმწარმოებელი ამხანაგობა”, რომელიც ბაქოდან ბათუმის გავლით ევროპაში

ნავთობის ტრანსპორტირებას ახდენდა. **1883 წელს ძმებმა ნობელებმა ბათუმში ნავთობტერმინალი ააშენეს.** იმავე წელს დასრულდა ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზის სამშენებლო სამუშაოები. 1892 წელს ბათუმის ნავსადგურში პირველმა ბრიტანულმა ტანკერმა – Murex-მა ჩაუშვა ღუზა, რომელიც ბათუმის ნავსადგურიდან კასპის ნავთობის გადასაზიდად სპეციალურად ააგეს. ბათუმის პირველი ნავთობტერმინალი, რომელიც შეიქმნა ძმები ნობელების მიერ 1883 წელს ბათუმში აშენებული იყო პირველი ნავთობსაცავის ბაზაზე, რამაც საფუძველი დაუდო ქალაქის დღევანდელი ნავთობტერმინალის ისტორიას.

პრაქტიკულად ბათუმის ნავთობტერმინალი არის კავკასიის რეგიონის ლოჯისტიკური ცენტრის ფორმირების ისტორია, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი. ბათუმის პორტი


მნიშვნელოვანი როლია ევროპა-კავკასია-აზიის დერეფანში, რომელიც აკავშირებს ევროპას აზიასთან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გლობალური ეკონომიკური ქსელის ჩამოყალიბების დროს ბათუმის ნავსადგურმა 1878-1885 წლებში მიიღო „პორტო ფრანკოს“ (თავისუფალი პორტის) სტატუსი. 1884 წლის ბოლოს შეიქმნა ნავსადგურის შემდგომი განვითარების პროექტი, რომლის განხორციელებაც 1885 წელს დაიწყო. ნავთობი იყო განვითარების მთავარი ფაქტორი საწყის ეტაპზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. ექსპორტირებული ნავთობის მოცულობის ინტენსიურმა ზრდამ განაპირობა შესაბამისი საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა. კომპანიის მიერ აშენებული ზოგიერთი სტრუქტურა, როგორცაა ნავთობის შესანახი აუზები ახლაც გამოიყენება. ნავთობსაცავებში. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ღირებულებასა და მიმზიდველობას ანიჭებდა. ბათუმი 1878 წელს ბათუმი პორტო ფრანკო გამოცხადდა. ეს პროცესები, თავის მხრივ, მომზადდა ინდუსტრიული ეპოქის ინდუსტრიული მოთხოვნილებებით, რომელთა შორის ნავთობმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 1878 წლის შემდეგ ნავთობი და ბათუმი მჭიდროდ იყო დაკავშირებული. სევასტოპოლის შემდეგ ბათუმს ჰქონდა ყველაზე ღრმა და მოსახერხებელი ნავთობის საწყობი შავ ზღვაზე. 1883 წელს ბათუმი რკინიგზითაც დაუკავშირდა ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელს; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს;

ნობელების, მონოპოლიური მისწრაფებები გამოიკვეთა ბათუმში, სადაც დონდუკოვა-კორსაკოვას (ახლანდელი ვ. გამსახურდია) და ბულვარის (ახლანდელი ნინოშვილის) ქუჩების კუთხეში, პოლიციის No1 განყოფილების No2 კორპუსში, საუენსკის მიწის ნაკვეთზე 415 კვ. მეტრზე, ძმები ნობელების ნავთობის მუშაკთა პარტნიორობის ოფისი იყო განთავსებული.

ნობელების ნავთობკომპანია Branobel-ი იყო პირველი წარმატებული ნავთობკომპანია რუსეთის იმპერიაში, რომელსაც ჰქონდა სრული ტექნოლოგიური ციკლი. მოიცავდა ტანკერებს, აუზებსა და სასაწყობო მეურნეობებს ნავმისადგომებითა და სარკინიგზო ხაზებით. ნობელებმა გადაწყვიტეს ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება და ტანკების (რეზერვუარების) განთავსება, აჭარის საარქივო განყოფილებაში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ნობელის კომპანიამ ბათუმში, იმ პერიოდში, ქარხნის ასაშენებლად და ნავთობსაცავის, განთავსებისთვის თავისუფალი სივრცის ძებნა დაიწყო. ნობელებთან ერთად ძნებმა როყშილდებმაც შექმნეს

კასპია შავი ზღვის ნავთობკომპანია, ააშენეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობის საწყობები.




სურ. 2.30. პირველი ნავთობტერმინალის მშენებლობა ბათუმში.

ამრიგად, ბათუმი გადაიქცა მნიშვნელოვან საპორტო და ინდუსტრიულ ქალაქად, რითაც დაიბრუნა თავისი მნიშვნელობა, როგორც უძველესი აბრეშუმის სავაჭრო გზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი და დღემდე შეინარჩუნა თავისი კრიტიკული მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

თავი 3. ნობელების ბიოგრაფია და სამეცნიერო მიღწევები

ნობელების მთელი ოჯახი ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას და ფლობდნენ პატენტებს. (პრიორიტეტებს.) რუსეთში 1844 წლიდან 1915 წლამდე პერიოდში გამოგონების პრივილეგიები მიენიჭა ემანუელ ნობელს (1801–1872), მის ვაჟებს ალფრედს (1833-1896), ლუდვიგს (1831-1888), რობერტს (1829-1896) და ლუდვიგის ვაჟს ემანუელს (1859–1932).



სურ. 3.1.ნობელის ოჯახის წევრები. 1.ემანუელ ნობელი-მამა. 2. რობერტ ნობელი,შვილი; 3.ლუდვიგ ნობელი-შვილი; 4. ალფრედ ნობელი- შვილი; 5. ემილ ნობელი-შვილი. 6. ემანუელ ნობელი-შვილისშვილი. (ლიტ. 30. Melua Arcadi. Documents of Life and Activity of the Nobel Family. 1801 – 1932 / Edited by Prof. A.I. Melua. Volume 1. – St. Petersburg: J.S.C. Humanistica Publishers, 2009. – 480 pp.).

3.1. ემანუელ ნობელი



სურ. 3.2. ემანუელ ნობელი (1801-1872 წ.)

ნობელის დინასტიის **დამაარსებელი ემანუელ** ნობელი, დაიბადა 1801 წელს, შვედეთის ქალაქ ევლეში. მან დაიწყო კარიერა, მატროსად სავაჭრო გემზე, სწავლობდა მშენებლობას და მუშაობდა სამშენებლო კონტრაქტორად სტოკჰოლმში, ემანუელ ნობელი 1837 წელს ბარონ ჰარტმანმა მიიწვია პეტერბურგში. ბარონსა და დიდ ჰერცოგ მიხაილ პავლოვიჩს ნობელმა აჩვენა წყალქვეშა მაღაროს მოქმედება, ააფეთქა ძველი გემი მათი თანდასწრებით, რის შემდეგაც მან მიიღო მთავრობის ბრძანება მაღაროს ქარხნის მშენებლობის შესახებ. 1842 წელს ემანუელ ნობელი და მისი ოჯახი საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდნენ და 13არალელურად სწავლობდა ხელოვნების სამეფო აკადემიასა და აკადემიურ მექანიკურ სკოლაში. 1827 წელს ის დაქორწინდა. მას რვა შვილი შეეძინა, მაგრამ მხოლოდ ოთხმა მიაღწია ზრდასრულობას: რობერტი, ლუდვიგი, ალფრედი. და ემილი. 1833 წელს მისი სამშენებლო ბიზნესის წარუმატებლობის გამო გაკოტრდა და გადავიდა ფინეთში, რომლის დიდი საჰერცოგო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო იმ დროს რუსეთს ექვემდებარებოდა.

1837 წელს რუსეთის ელჩის მიწვევით გადავიდა რუსეთში. 1838 წელს მან პეტერბურგში გახსნა მცირე მექანიკური სახელოსნო, ხოლო 1840-იანი წლების დასაწყისში ეს სახელოსნო გადაიქცა ქარხანად, რომელიც აწარმოებდა ორთქლის მანქანებს, მანქანებს, ლითონის კონსტრუქციებს.

1842 წელს ნობელმა შეიმუშავა საზღვაო-სამხედრო მოწყობილობა. 1842 წელს რუსეთი ყიდულობს ამ მოწყობილობის პატენტს 25 ათას ვერცხლად, ხოლო 1851 წელს შექმნილი ფირმა "ნობელი და ვაჟები" იწყებს ფოკუსირებას სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის წარმოებაზე და სხვა სამხედრო შეკვეთების შესრულებაზე. 1859 წელს ემანუელ ნობელი ბრუნდება სამშობლოში, შვედეთში.

ემანუელ ნობელის სამეცნიერო მიღწევები.

მას ჰქონდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისა:

1843 წლის 17 თებერვალს მიენიჭა პრივილეგია № 8. ნაშრომისათვის: „მანქანები ბორბლების მექანიკური წარმოების ათვის.“.

1846 წ. ააშენა პეტერბურგში მექანიკური ქარხანა.

1852 წ. მან მიიღო მეორე პრივილეგია. № 10 „რკინის რაფტერების მოწყობილობა, ფანჯრის ჩარჩოებისათვის და კიბეების მოაჯირებისათვის.“ წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით“ No 10.

3.2. რობერტ ნობელი



სურ. 3.3. რობერტ ნობელი(1829-1896)

ემანუელ ნობელის უფროსი ვაჟი. განათლება სახლში მიიღო და ქიმიას სწავლობდა, რისთვისაც ბავშვობიდან დიდი მიდრეკილება ჰქონდა. მამის თქმით, ის "სპეკულაციისკენ იყო მიდრეკილი". 1859 წელს მათი კომპანია Emmanuel Nobel and Sons გაკოტრდა. მას შემდეგ რობერტი ცხოვრობდა პეტერბურგში, მუშაობდა ლუდვიგ ნობელის მექანიკურ ქარხანაში, რომელიც ეკუთვნოდა მის ძმას ლუდვიგს. სხვა ძმასთან, ალფრედთან ერთად, მან იქირავა პატარა ბინა, სადაც მოკრძალებული ცხოვრების წესს ეწეოდა. იყო დაკავებული კრილოვის ორთქლის გემის რეკონსტრუქციით და ჩაატარა ექსპერიმენტები ცეცხლგამძლე აგურის შესაქმნელად. 1861 წელს იგი დაქორწინდა ფინელი ვაჭრის, პაულინა სოფიას, კაროლინა ლენგრენის ქალიშვილზე და გადავიდა ჰელსინგფორსში, სადაც გახდა Aurora მაღაზიის თანამფლობელი. იქ იგი ეწეოდა ნავთობისა და ნავთის ვაჭრობას.

1864 წელს, რობერტმა, ვერ გაუძლო კონკურენციას, დახურა თავისი ბიზნესი და ოჯახთან ერთად გადავიდა სტოკჰოლმში, სადაც დაეხმარა მამასა და ძმას ალფრედს შორის დავის მოგვარებაში, თუ ვინ უნდა მართავდეს ნიტროგლიცერინის კომპანიას - მაშინ ეს იყო მსოფლიოში პირველი საწარმო, რომელიც აწარმოებდა ნიტროგლიცერინს. რობერტი დაინიშნა კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, თუმცა მას ჯერ კიდევ მწვავედ აწუხებდა ოჯახში არსებული კონფლიქტი და გარკვეული სირთულეები ჰქონდა წარმოების ორგანიზებასთან დაკავშირებით. თავის ძმას, ლუდვიგს, ერთ-ერთ წერილში ის წერდა შემდეგს: „...ჩვენ ვცხოვრობთ ვულკანზე, უფრო მეტიც, მთვრალეებით გარემოცულნი... ფხიზელი მუშის პოვნაც რომ მოვახერხოთ, ის აღმოჩნდება სრული იდიოტი.“ მალე, 1871 წელს, მან ნებით უპასუხა ძმის ლუდვიგის თხოვნას, დაეკისრა მისი სანქტ-პეტერბურგის ქარხნის მართვა, ხოლო თავად ლუდვიგი თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ედლესთან ერთად გაემგზავრა ერთწლიანი თავლობის თვეზე. იქ მან დაამტკიცა, რომ ნიჭიერი ადმინისტრატორი იყო, მაგრამ ამავე დროს დირექტორის ხელფასი საექვო საწარმოებში ინვესტიციებზე დახარჯა. ამ მიზეზით, იგი არ მონაწილეობდა როგორც აქციონერი ლუდვიგის მთავარ საქმეებში.

1873 წელს რობერტი ძმამ მივლინებით გაგზავნა კავკასიაში კაკლის ტყეების მოსამუშაოდ, რათა მოემზადებინა მასალა ბერდანის თოფების კონდახებისთვის, საიდანაც 200 ათასი ცალი აიღო. თუმცა, რობერტი თვლიდა, რომ კავკასიური კაკლის ხეები ან ძალიან ახალგაზრდაა ან ძალიან ძველი იმისთვის, რომ იარაღის მარაგები გაეკეთებინათ. უსარგებლო ძიებებზე დახარჯული დროის საკომპენსაციოდ, ლუდვიგმა რობერტს 25 ათასი მანეთი მისცა. ამ თანხით იგი ვოლგის გასწვრივ წავიდა ბაქოში, სადაც შეიძინა ნავთობის საბადო და მცირე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. რობერტმა აღმოაჩინა ნავთობის საბადოები მხოლოდ ოცდახუთი მეტრის სიღრმეზე ჩელეკენის კუნძულზე (ახლანდელი ნახევარკუნძული ქალაქ ბაქოში).

რობერტ ნობელის სამეცნიერო მიღწევები

რობერტ ნობელის ქარხანა თავდაპირველად ბაქოს 120 მცირე კერძო საწარმოდან მხოლოდ ერთ-ერთი იყო. მრავალი უსიამოვნების დამღვევის შემდეგ ნობელმა ნავთობის გამოხდის მოწინავე მეთოდები დანერგა. დასაწყისისთვის მან ააგო რვა დისტილაციის კუბი ასი ფუნტის ტევადობით. საშუალოდ ბაქოში გამოხდის დროს სასარგებლო პროდუქტების გამოსავლი-


ქარხნები სინგაპურში, ტაილანდში, სამხრეთ კორეასა და აშშ-ს კალიფორნიისა და მისისიპის შტატებში, ფოკუსირებულია თანამედროვე, ნათელი ნავთობპროდუქტების მაქსიმალურ გამოსავალზე მომუშავე ტექნოლოგიებზე და აწარმოებენ კომპანიის ჯამური მწარმოებლურობის 90%-ზე მეტს.

ბრიტანული ნავთობისა და გაზის მულტინაციონალური კომპანია BP-ს (BPPLC) ჯამურმა შემოსავალმა \$222,7 მლრდ, საბაზრო კაპიტალიზაციამ კი \$105,3 მლრდ შეადგინა. BP-ოპერირებს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მოპოვებისა და მიწოდების ბიზნესში. მისი ცნობილი ბრენდებია Castrol, Aral და Amoco. BP-აქტიურად არის ჩართული ნავთობისა და გაზის რეგიონულ ბიზნესში. კერძოდ იგი თანამფლობელია და ოპერირებას უწევს აზერბაიჯანული გაზის მსხვილ შაჰ დენიზისა და ნავთობის აზერიჩირალ-გიუნემლის საბადოებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალურ ნავთობსადენს, ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიურ გაზსადენს და სხვა. ნავთობკოორპორაცია მარათონი (Marathon Petroleum Corp), სათავო ოფისით ფინდლიში (ოჰაიოს შტატი), ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრებს ემსახურება. მისმა წლიურმა შემოსავალმა 2022 წელს \$173 მლრდ, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაციამ 57,1 მლრდ შეადგინა. მარათონი მფლობელია ან საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე ათასობით კმ ნავთობსადენების ოპერირებას ახორციელებს.

ენერგეტიკული კორპორაცია ვალერიო (Valerio Energy Corp), წლიური შემოსავლით \$170,5 მლრდ და საბაზრო კაპიტალიზაციით \$47,3 მლრდ, წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს დამოუკიდებელ ნავთობპროდუქტების მწარმოებელსა და წამყვან მოთამაშეს განახლებად ენერგეტიკაში. მისი კუთვნილი 15 ნავთობგადამამუშავებელი 2ქარხანა და 33 ქარის სადგური ფუნქციონირებს აშშ-ში, კანადასა და დიჟდ ბრიტანეთში. აღსანიშნავია, რომ კომპანიის ერთწლიანი შემოსავლების ზრდამ რეკორდულად მაღალ, 78%-იან დონეს გადააჭარბა.

შემოსავლების მიხედვით მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობისა და გაზის კომპანიების ოცეულში ტრადიციულად შედიან Rosneft, Gazprom და Lukoil (სამივე რფ) Philips 66 (აშშ) JXTG Holding (იაპონია), Relians Industries (ინდოეთი) Indian Oil Corporacion (ინდოეთი) Eni (იტალია), PTT public Go Ltd (ტაილანდი), Equinor (ნორვეგია), Petrobras (ბრაზილია). **(ლიტ. 5. თ.გოჩიტაშვილი. ნავთობისა და გაზის მოპოვება, ტრანსპორტირება, გადამამუშავება და გამოყენება, თბილისი, 2024)**

4.3. საერთაშორისო და შავიზღვისპირა პორტები.

სინგაპურის პორტი. სინგაპურის პორტი მიეკუთვნება საერთაშორისო დანიშნულების საკონტეინერო პორტების სახეობას და შედის მსოფლიოს 4 უმსხვილეს პორტის შემადგენლობაში. როგორცაა: ჰონკონგი, პოტტერდამი და შანხაი. 2005 წლის მონაცემებით, ტვირთბრუნვის მიხედვით სინგაპურის პორტი მსოფლიოში. იკავებს პირველ ადგილს. სინგაპურის პორტი აღჭურვილია რამდენიმე ნავმისადგომით და ემსახურება 250 მარეგულირებელ ხაზს. ყოველდღიურად სინგაპურის პორტი ღებულობს 150 გემს და უზრუნველყოფს მის საკონტეინერო მომსახურეობას უსაფრთხო პირობებში უახლესი ციფრული ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. სინგაპურის პორტის საერთო ფართობი შეადგენს 436 ჰექტარს, ტვირთბრუნვა 28431, ნავიგაცია- დღეღამურია, მართვის ფორმა-სახელმწიფოებრივი, ნავმისადგომის რაოდენობა 67; ამწე კრანების რაოდენობა 143.

სინგაპურის პორტი იყოფა რამდენიმე კლასტერად:

1. ჩრდილოეთით- სამბავანგი

2. სამხრეთით; ტანდჟონგ პაგარი, კაპელი და ბრანი

3 კუნძული - სამხრეთ დასავლეთით. დჟურონგ და დჟურონგის კუნძული. პორტის ტერიტორიაზე განლაგებულია შემდეგი საკონტეინერო ტერმინალები.:

3.1.საკონტეინერო ტერმინალი კუნძულზე . **Brani.**

3.2.საკონტეინერო ტერმინალი კუნძულზე **on Keppel Island.**

3.3.საკონტეინერო ტერმინალი კუნძულზე **on the island of Pasir Panjanghe.**

3.4.საკონტეინერო ტერმინალი კუნძულზე **Tanjong Pagare.**

3.5.საკრუიზო ცენტრი **Marina Bay**

3.6.ნავმისადგომები: **Pasir Panjanghe**, working since 1984

3.7.პორტი **Port Juronga.**

3.8.ნავმისადგომი **Sembavange wharf**, სადაც განლაგებულია, ომპანია Singapore Petroleum-ის, ნავთობპროდუქტების შესანახი ტერმინალი

4. ცალკეულ ნავთობ ჩამოსასხმელ ტერმინალებს მიეკუთვნება სინგაპურის შემდეგი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები:

4.1. Singapore Petroleum / Chevron, რომელიც მდებარეობს კუნძულზე -Джуронг და ფუნქციონირებს 1973 წლიდან.

4.2.Royal Dutch Shell, მდებარეობს კუნძულზე ბუკუმზე და ფუნქციონირებს 1974 წლიდან..

4.3.ExxonMobil, მდებარეობს კუნძულზე დჟურონგა და მუშაობს 1973 წლიდან.

დუბაის საერთაშორისო საზღვაო პორტი . დუბალ-ალი . ერთ- ერთი უმხვილესი პორტი მსოფლიოში მდებარეობს დუბაიში. აშენებულია 1976-1979 წ. კურიერებს კომპანია [DP World](#). მისი სიღრმე შეადგენს 17 მეტრს.სიგრძე 414 მეტრს. შემოსული გემების ტვირთამწეობა შეადგენს: 227 894 526 ტონას. პორტი შესდგება 4 საკონტეინერო სექტორისაგან.: რომელიც განკუთვნილია ტანკერებისათვის და ტვიტების გადაზიდვისათვის.

ნოვოროსიისკის საზღვაო პორტი შავი ზღვის ერთ-ერთი უდიდესი პორტი, ნავმისადგომის ხაზის სიგრძე 8,3 კმ-ს აღწევს. საზღვაო პორტი მდებარეობს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ზღვის წყალი. ყინულის გარეშე რაც მოსახერხებელია ნოვოროსიისკის ყურეში ნავიგაციისთვის. ნავსადგურში ნაოსნობა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება, თუმცა ის შეიძლება შეწყდეს ზამთარში, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ბორას ქარი უბერავს, რაც საფრთხეს უქმნის გემებს. ნოვოროსიისკის ყურე ხელმისაწვდომია გემებისთვის 19.0 მ-მდე ნაკადით, ხოლო პორტის შიდა წყლის ფართობი 12.5 მ-მდეა. ჩატვირთვის ტერმინალების გასწვრივ არსებული სიღრმეები (8,4-დან 15,6 მ-მდე) შესაძლებელს ხდის ტანკერების მიღებას 250 000 ტონამდე.

ფოთის პორტი. ფოთის პორტი დამაკავშირებელი რგოლია ტვირთების გადაზიდვისას თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ევროპიდან – შუა აზიის ქვეყნებსა და ავღანეთს შორის.2008 წ. ფოთის პორტის აქციების 51% და პორტის მართვის უფლება 49-წლიანი ვადით არაბულმა კომპანია RAK Investment Authority-მ (RAKIA, UAE) შეიძინა. მოგვიანებით კომპანიამ პორტის აქციების დარჩენილი წილიც იყიდა და აქციების 100%-იანი პაკეტის მფლობელი გახდა. აღნიშნული გარიგების ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება საქართველოს მხრიდან -ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასა და განვითარებას,„არაბი ინვესტორების მიერ გაცხადებული გრანდიოზული გეგმების მიუხედავად, 2011 წლის აპრილში RAKIA-მ ფოთის პორტის აქციების 80% დანიურ გიგანტს AP Moller-Maersk Group-ის შვილობილ APM Terminals-ს მიჰყიდა და პორტის მართვიდან გავიდა.

ყულევის პორტი – შპს „შავი ზღვის ტერმინალი“. ყულევის ტერმინალის მშენებლობა 2000 წელს დაიწყო, მაგრამ ორი წლის შემდეგ დაფინანსების შეწყვეტის გამო შეჩერდა. მშენებლობას საქართველოს რკინიგზა და ავსტრიული კომპანია „არომავ ოილი“ აწარმოებდნენ. 2007 წლის იანვარში

ტერმინალი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია Socar-მა შეიძინა. საბოლოოდ, ყულევის ნავთობტერმინალი 2008 წლის 16 მაისს გაიხსნა. „სოკარმა“ დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში 400 მილიონამდე დოლარის ინვესტირება განახორციელა. 2010 წლის ივლისიდან ყულევის პორტმა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა დაიწყო. 2012 წლის ივლისში ყულევის ნავთობტერმინალით შესაძლებელი გახდა პროპილენის გადასატვირთი ახალი კომპლექსის მშენებლობით, ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი.

ბათუმის პორტი. დღეისათვის პორტის ტვირთბრუნვის 80-90% ნავთობ პროდუქტებისა და ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებაზე მოდის. პორტი ახორციელებს სატვირთო ოპერაციებს და გემების ნავმისადგომებს 24 საათის განმავლობაში. პორტის ინფრასტრუქტურა მოიცავს ნავმისადგომებს, საწყობებს, გადატვირთვის მექანიზმებს, შიდა საპორტო გზებსა და რკინიგზას, სარემონტო მაღაზიებს, სატრანსპორტო საშუალებებს და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებს. პორტის ფლოტი მოიცავს 12 გემს, მათ შორის ექვსი ბუქსირით და 100 ტონიანი მცურავი აძწე. აქ არის 13 პორტალური აძწე 40 ტონამდე აძწე ტევადობით, 29 ერთეული აღჭურვილობა 1,5-დან 10 ტონამდე აძწევით, 37 გრაბანი, 3 მობილური ბუნკერის ერთეული, 11 სატვირთო მაგიდა.

საერთაშორისო და შავის ზღვისპირა პორტები

ცხრილი 4.2

ტერმინალი	მდებარეობა	DWT 1000ტ.	გამტარობა მლტ /წ.	სიღრმე მეტრი	მფლობელი
ბათუმი	საქართველო	6+0-80000	15	11.1	KazTrans.
სუფსა	საქართველო	129-150000	7.2	17.5	საქართვე
ყულევი	საქართველო	100000	10	14	Socar
ფოთი	საქართველო	15000	3.5	10.3	Petronas
ანაკლია პრ.	საქართველო			18	ჩინეთი
ნოვორასისკი	რუსეთი	399	125	8,4-15.	რუსეთი
ჯეიჰანი	ხმელთაშუა ზღვა	300	50	16,8	თურქეთი
ირანის	სპარსეთის ყურე.	300	-	42 - 115	ირანი
აქტაუ	კასპის ზღვა	70	39	4,9-5.	ყაზახეთი
ოდესა	შავი ზღვა	100	25	6-13.	უკრაინა
ტრიესტი	ადრიატიკის ზღვა	280	-	9 10	იტალია
გდანსკი	ბალტიის ზღვა.	300	-	14.2- 15.	პოლონეთი
ბუტინგე	ბალტიის ზღვა.	150	-	14-16.8	ლიტვა

(ლიტ.5. გოჩიტაშვილი თ. ნავთობისა და გაზის მოპოვება, ტრანსპორტირება, გადამამუშავება და გამოყენება. თბილისი. 2024)

4.4. საქართველოს საერთაშორისო პერსპექტიული პროექტები.

სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსი აშენდება. ინვესტორი ქართულ-ირანული კომპანია GEOPARS-ია, რომელსაც პროექტის განსახორციელებლად, სოფელ სუფსაში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გადაეცა. პრივატიზაციის ხელშეკრულება GEOPARS-სა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდა.



სურ. 4.5. სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსი აშენდება (პროექტი)

პროექტი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს, პეტროქიმის საწარმოსა და ლოჯისტიკური ცენტრისაგან.


ნავთობგადამამუშავებელი საწარმო ითვალისწინებს სატრანზიტო ნავთობის მოპოვებას, მომზადებას გადამამუშავებისათვის, შემდეგ გაწმენდილი ნავთობის გამოხდას რისთვისაც აუცილებელია სახდელი აპარატები როგორცაა 1. ატმოსფერულ მილოვანი ნავთობის ფრაქციული გამოხდისათვის, რის შედეგადაც მიიღება საწვავი ფრაქციები (იხ. ნახ 4.6.) და კატალიზური კრეკინგის დანადგარი, რომელიც ითვალისწინებს ნავთობის მძიმე ფრაქციებიდან დამატებითი რაოდენობა ნათელი ნ/პროდუქტების, ბენზინის და დიზელის საწვავის მიღებას. (იხ. ნახ. 4.7.) კრეკინგი მიმდინარეობს

რადიკალური მექანიზმით. ძლიერი გახურებისას ქიმიური ბმები სუსტდება და რომელიმე მათგანი წყდება თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით.

არსებობს კრეკინგის ორი სახეობა: თერმული და კატალიზური. თერმული კრეკინგის დროს საწვავი ფრაქციის გამოსავლიანობა შეადგენს 25-30%-ს, ხოლო კატალიზური კრეკინგის დროს 50%-ს.

განსხვავებით თერმული პროცესებისაგან აქ ხდება კატალიზატორის გამოყენება, ბუნებრივი და სინთეზური ალუმოსილიკატების სახით, რომელთა მთავარ თვისებას აქტივობა წარმოადგენს. კატალიზურ კრეკინგს ატარებენ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე (450-500°C) ალუმოსილიკატების კატალიზატორის გამოყენებით.

თერმულ კრეკინგთან შედარებით კატალიზური კრეკინგი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რასაც თან მოსდევს კრეკინგის პროდუქტების იზომერიზაცია, ხოლო ალკანები ნაკლები რაოდენობით წარმოიქმნება. განშტოებული ნახშირწყალბადების წარმოქმნა ზრდის ბენზინის ფრაქციის დეტონაციურ სტაბილურობას. [ლიტ.9. მამულაიშვილი ნ. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოების, შენახვის და სატრანზიტო გადაზიდვის ტექნოლოგიები, გამომცემლობა: უნივერსალი 2018 წ.]




სურ. 4.6. ნავთობის სახდელი თანამედროვე დანადგარი, საწვავი ფრაქციების მიღებისათვის.

მიღებული პროდუქტებია:

1. აირები; 2. ბენზინის ფრაქცია [$d=0.720-0.770$ გ/სმ³];
3. მსუბუქი გაზოილი; 4. მძიმე გაზოილი [$d=1.04$ გ/სმ³];

ნედლეულად გამოყენებულია: მძიმე გაზოილი, ვაკუუმური გამოხდის მსუბუქი ფრაქციები.



ნახ. 4.7. კატალიზური კრეკინგის თანამედროვე დანადგარის ტექნოლოგიური სქემა..

დანადგარი შედგება: 1. რეაქტორი; 2. რეგენერატორი; 3. კოლექტორი;

4. სარექტივიკაციო სვეტი; 5. ორთქლის გენერატორი; 6. ელექტროფილტრი.

I - ჰოდროგაზმენდის ვაკუუმური გაზოილი; II - რეაქციის პროდუქტები;

III - ნახშირწყალბადოვანი გაზი; IV- ბენზინი; V- 180-350°C; VI- 350-420°C; VII- 420°C.

დანადგარი მუშაობს იგივე პრინციპით და მწარმოებლურობა ბევრად მაღალია ვიდრე ნობელის დროინდელი კრეკინგის დანადგარი. ნახ. 1.11.


დანადგარის ტექნოლოგიური რეჟიმი

რეაქტორში	
ტემპერატურა, °C	450-510
წნევა, მგპასკალი	0,15-0,20
მიწოდებული ნედლეულის მოცულობითი სიჩქარე სთ ⁻¹	1,2-3,0
კატალიზატორის ცირკულაციის ჯერადობა	2-10
რეგენერატორში	
ტემპერატურა, °C	620-630
წნევა, მგპასკალი	0,2-0,3

ანაკლიის პორტი-საუკუნის პროექტი

შავი ზღვისპირეთში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ღრმაწყლოვანი პორტი არ აქვს, ამიტომ, ამჟამად ქვეყნის პორტებში შავ ზღვაში დატვირთული გემების დაახლოებით 65% ვერ შემოდის. შემუშავებული იქნა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის 50-წლიანი გენერალური გეგმამ რომელიც ითვალისწინებდა განვითარების ერთიან ხედვას, - ეკონომიკური გავლენის შეფასებას, საინვესტიციო მოცულობას, ტვირთბრუნვის მოლოდინებს, და განვითარების ფაზებს. გეგმა სულ 9 ფაზად იყოფა, რომლის მიხედვით, შესაძლებელია ანაკლიის პორტმა 50 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა 60 მილიარდი აშშ დოლარით გაზარდოს.

საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევებით შავი ზღვის სანაპიროზე საუკეთესო ადგილად ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისთვის, ანაკლიაში დაახლოებით 340 ჰა. მიწის ფართობი შეირჩა. დღევანდელი მოცემულობით, საქართველოში საკონტეინერო და ნაყარი ტვირთების ბაზარს ბათუმის და ფოთის პორტები ემსახურება. ფოთის პორტის წილი საკონტეინერო ბაზარზე დაახლოებით 83%-ია, რაც ნიშნავს რომ ძირითადად ერთი პორტი ფუნქციონირებს ამ მიმართულებით. ფოთის პორტის სიღრმე 8,4 მეტრია, რაც დღევანდელი სტანდარტებიდან გამომდინარე საკმაოდ დაბალია და ქვეყანას დიდი გემების მიღების საშუალებას არ აძლევს.



სურ. 4.8. ანაკლიის პორტის ტექნიკური პარამეტრები

მაქსიმალური ტევადობის გემი, რომელიც შეიძლება დღეს ფოთის პორტში შემოვიდეს არის 1500 კონტეინერი. (თითო კონტეინერი 21 ფუტი ტევადობისაა) რაც ყველაზე მცირე მოცულობაა დღეს არსებულ გემებს შორის. თანამედროვე სტანდარტებით გემების მაქსიმალური მოცულობა 21 000 კონტეინერია. შავ ზღვაში ამ მოცულობის გემები არ დაცურავენ, მაგრამ აქ არსებული გემების ნახევარზე მეტი 10 000 კონტეინერის ტევადობისაა. საქართველოში კი 7-8 ჯერ ნაკლები ტევადობის გემების მომსახურებაა შესაძლებელი.

საქართველოში ტვირთი გემით, რომ შემოვიდეს. დიდი მოცულობის გემი ჯერ სტამბულში შედის, სადაც ტვირთი პატარა გემებზე გადანაწილდება და შემდეგ ეს პატარა გემები მოდიან ფოთის და ბათუმის პორტებში. ეს პროცედურა, რა თქმა უნდა, დროში იწელება და გადაზიდვის ღირებულებაც იზრდება, რაც ბიზნესს ხელს უშლის. ანაკლიის პორტის სიღრმე იქნება 16 მეტრი, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია ფოთის პორტზე და ჩვენ შეგვეძლება მოვემსახუროთ ნებისმიერ გემს, რომელიც შავ ზღვაში იმოდრავებს. ეს ქართულ სატრანსპორტო კომპანიებს მისცემს საშუალებას, რომ 30%-ით იაფად გადაზიდონ ერთი კონტეინერი (ერთ კონტეინერზე დანახოგი 160 USD შეადგენს), რაც ნიშნავს რომ საქართველოს კორიდორით საზღვაო გადაზიდვები უფრო იაფი გახდება. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდება გადაზიდვის დრო.

ანაკლიის პორტის საშუალებით საქართველო შეძლებს მიიღოს ყველაზე დიდი, პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემები, რაც პორტის კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად გაზრდის. გარდა ამისა, ანაკლიის პორტი "ერთი სარტყელი - ერთი გზის" ინიციატივის ფარგლებში შესაძლოა გახდეს ევრაზიის სამრეწველო და მიწოდების ჯაჭვების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რაც გააუმჯობესებს რეგიონში ტრანსპორტირების ეფექტურობას და გაზრდის საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას.

მთავრობის მიერ გაცხადებული ინფორმაციით, ანაკლიის პორტის სიღრმე (20,5 მეტრი) შესაძლებელს გახდის პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემების მიღებას. პორტის გამტარუნარიანობა, მთავრობის გათვლებით, წელიწადში 100 მლნ ტონა იქნება.. ანაკლიის პროექტი ითვალისწინებს 32 ნავმისადგომის აგებას. პროექტის ღირებულება 2,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

(ლიტ. <https://forbes.ge/anakliis-porti-da-misi-pe/>)

თავი 5. სატრანზიტო ნავთობის გადაზიდვის ტექნოლოგიები

5.1. სარკინიგზო გადაზიდვის თანამედროვე ტექნოლოგიები

საქართველოში ანჟამად ფუნქციონირებს შემდეგი ნავთობტერმინალები: ბათუმის, სუფსის, ყულევის და ფოთის. საქართველოს პორტების ტვირთბრუნვა 2021 წლისთვის საშუალოდ შეადგენს: ფოთის პორტი - 6.3 მილიონი ტონა, ყულევის ტერმინალი - 1.6 მილიონი ტონა, ბათუმის საზღვაო ნავსადგური - 5.6 მილიონი ტონა, სუფსის საზღვაო ტერმინალი - 4.1 მილიონი ტონა,

ბათუმის ნავთობტერმინალი სპეციალიზირებულია ნედლი ნავთობის და პრაქტიკულად ყველა სახის ნავთობპროდუქტების, დიზელის საწვავის, ბენზინის, მაზუტის და ნედლი ნავთობის გადაზიდვებზე. ნავთობტერმინალის ძირითადი უპირატესობაა სხვადასხვა სახეობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვა და გადატვირთვა. ტერმინალს შეუძლია გადატვირთოს 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ბათუმის ნავთობტერმინალს ნავთობი მიეწოდება ვაგონ-ცისტერნებში საქართველოს რკინიგზის მეშვეობით, რომლის დაცლა ხორციელდება თანამედროვე სარკინიგზო ესტაკადებზე. ესტაკადა აღჭურვილია გათბობის მრავალსაფეხურიანი სისტემით მძიმე და ბლანტი ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისათვის. ტერმინალის ყოველი სარკინიგზო ესტაკადა აღჭურვილია ელექტრონული რეგისტრაციის სისტემით, რომელიც აფიქსირებს პროდუქტის დაცლის მონაცემებს. (ლიტ.9. მამულაიშვილი ნ. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოების, შენახვის და სატრანზიტო გადაზიდვის ტექნოლოგიები, გამომცემლობა: უნივერსალი, 2018 წ.)

ნავთობტერმინალში სატრანზიტო ნავთობი შემოდის ვაგონ-ცისტერნების მეშვეობით, სამარშრუტო შემადგენლობით. ვაგონცისტერნების რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 36-ს. ვაგონცისტერნების მოცულობა 55მ³, სიგრძე არის 12.2მ. ვაგონ-ცისტერნების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.1 (ლიტ. 50. Антипов В.Н. Бахмат Г.Б.и др. Хранение нефти и нефтепродуктов, Учебное пособие, изд. Нефть и газ РГУ нефти и газа им. Губкина И.М. Москва. 2003г.)

ბათუმის ნავთობტერმინალი (ზნტ) ასრულებს ერთდროულად რამდენიმე სატრანზიტო და გამანაწილებელ სამუშაოებს. იგი მოიცავს ძირითადად შემდეგ ცალკეულ ობიექტს როგორცაა: სარკინიგზო ესტაკადა; სარეზერვუარო პარკი; სატუმბო სადგური; ცენტრალური ლაბორატორია; სხვადასხვა

დამხმარე და მიმწოდებელი ობიექტები, როგორცაა წყლის, ორთქლის და ელექტროენერჯის მიმწოდებელი ბლოკი და ბევრი სხვა. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და ტექნოლოგიური დანადგარებით.

ოთხღობიანი ვაგონ-ცისტერნების ტექნიკური მონაცემები

ცხრილი 5.1

მაჩვენებლები	ცისტერნის ტიპი			
	ტიპი 5	8 (საბი-თუმო)	20 (ორთქლის პერანჯით)	25 : 26 : 27:
ცისტერნის მოცულობა, მ ³	55	50	50	6
ცისტერნის შიდა დიამეტრი, მ	2,6-2,8	2,6	2,6	2
ცისტერნის სიმაღლე, მ	9,6	9,6	9,6	10
ცისტერნის სიგრძე მ	12,22	12,02	12,02	12
ცისტერნის ტვირთამწეობა, ტმ	80-79	75	75,7	2
ბრუტო	50-55	50	50	
ნეტო	18,7-19,9	18,75	18,9	20

5.1.1. ბათუმის ნავთობტერმინალის სატრანზიტო მომახურება


ბათუმის ნავთობტერმინალის ძირითადი ფუნქცია არის სხვადასხვა სახეობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვის და გადატვირთვის კომფორტულობა. მას შეუძლია 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტი გადატვირთოს. ბნტ-ს ნავთობი რკინიგზის მეშვეობით მიეწოდება და სარეზერვუარო პარკებში მისი ჩასხმა სპეციალიზირებული სარკინიგზო ესტაკადების მეშვეობით ხორციელდება, ხდება ასევე უკუპროცესიც - ტვირთი მიეწოდება ტანკერთ, ვაგონ ცისტერნებში ჩასხმა და რეზერვუარებში ჩამოსხმა. ტერმინალზე არის 7 მოქმედი ნავთობჩამოსხმელი სარკინიგზო ესტაკადა, მათი მეშვეობით შესაძლებელია დღე-ღამეში 482-ზე მეტი ან ,ერთდროულად, 204 ვაგონ-ცისტერნის დაცლა.

ბნტ-ს ესტაკადები მილსადენების სისტემებით დაკავშირებულია სხვადასხვა სარეზერვუარო პარკთან., ეს ფაქტი ტერმინალის საექსპლუატაციო მოქნილობას უზრუნველყოფს.ტერმინალს გააჩნია სარკინიგზო ესტაკადა, რომელიც აღჭურვილია მრავალსაფეხურიანი გათბობის სისტემით, ბლანტი და მძიმე ნავთობპროდუქტებისთვის. სარკინიგზო ესტაკადები აღჭურვილია ელექტრონული რეგისტრაციის სისტემით, რომელიც პროდუქტის დაცლის ეგ ბნტს ნავთობი და ნავთობპროდუქტები ინახება და გროვდება სარეზერვუარო პარკებში. დღეს-დღეისობით ბნტ-ზე განთავსე-

ბულია 5 სარეზერვუარო პარკი, ისინი აერთიანებენ 135 რეზერვუარს სრული საერთო 597 ათას მ³ მოცულობით.

სარეზერვუარო პარკებში: „კაპრემუმი“,ნათელი პროდუქტების ტერმინალი, სადაც ინახავენ ნედლ ნავთობს და ნავთობპროდუქტებს.

სარეზერვუარო პარკი „კაპრემუმი“ შედგება 21 რეზერვუარისგან, მათი საერთო მოცულობა შეადგენს 190000მ³. ძირითად ტერიტორიაზე განთავსებულია 8 რეზერვუარი, რომელთა საერთო მოცულობა 37000 მ³-ია. ამავე ტერიტორიაზე განლაგებული 2 სარეზერვუარო პარკი, საავიაციო ნავთის, დიზელის საწვავისა და მაზუტის შენახვისთვის , მისი საერთო მოცულობა არის 261900 მ³.



სურ. 5.1. მუქი ნავთობპროდუქტების ჩამოსხმის ტენოლოგიური სქემა.

- 1 - ჩამოსასხმელი მოწყობილობა; 2 - გადამტანი მილი; 3 - ორთქლის პერანგი;
- 4 - კოლექტორი ორთქლის მარაგით. 5 - სახურავი; 6 - მიწისქვეშა რეზერვუარი;
- 7 - ტუნზო; 8 - რეზერვუარი.

ნახ. 5.1. ნაჩვენებია ბლანტი ნავთობპროდუქტების ჩამოსხმის ტექნოლოგიური სქემა. მაღალი სიბლანტის მქონე ნავთობპროდუქტების ჩამოსხმა ხდება სპეციალურ დანადგარზე, რომელიც აღჭურვილია ორთქლის პერანგით.

საქვებე სისტემა. გამოიყენება ორთქლის წარმოქმნისა და მუქი ნავთობპროდუქტების შეთბობისთვის. ბნტს, ძირითადი უპირატესობა არის სხვადასხვა სახეობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვის და გადატვირთვის კომფორტულობა. ძირითად ტერიტორიაზე განლაგებული 2 სარეზერვუარო პარკი, საავიაციო ნავთის, დიზელის საწვავისა და მაზუტის შენახვისთვის მისი საერთო მოცულობა გახლავთ 261900 მ³. ბნტ-ს ტერიტორიაზე, განლაგებულია, ასევე, საიმპორტო გადატვირთვის კომპლექსი „ნავთობზაზა“.საქართველოში ერთადერთი ტერმინალია , რომელიც აწარ-

მოებს ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან თხევადი, ნახშირწყალბადოვანი აირის ტრანზიტს.

ნავთობპროდუქტის რაოდენობის აღრიცხვა რეზერვუარებში.

სითხის რაოდენობის განსაზღვრისათვის, ცილინდრული რეზერვუარში ბრტყელი ფსკერით ნავთობის და ნავთობპროდუქტისათვის იყენებენ ცხრილებს, რომელშიც მოცემულია K კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა. K კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.2.

ნავთობპროდუქტის რაოდენობის აღრიცხვა

ცხრილი 5.2

ფარდობა h/d	კოეფიციენტი K	ფარდობა h/d	კოეფიციენტი K	ფარდობა h/d	კოეფიციენტი K	ფარდობა h/d	კოეფიციენტი K
0,01	0,0017	0,26	0,2066	0,51	0,5127	0,76	0,8154
0,02	0,0048	0,27	0,2178	0,52	0,5255	0,77	0,8252
0,03	0,0087	0,28	0,2292	0,53	0,5382	0,78	0,8367
0,04	0,0134	0,29	0,2407	0,54	0,5509	0,79	0,8473
0,05	0,0187	0,30	0,2523	0,55	0,5636	0,80	0,8576
0,06	0,0245	0,31	0,2640	0,56	0,5762	0,81	0,8677
0,07	0,0308	0,32	0,2759*	0,57	0,5888	0,82	0,8776
0,08	0,0375	0,33	0,2878	0,58	0,6014	0,83	0,8873
0,09	0,0496	0,34	0,2998	0,59	0,6140	0,84	0,8967
0,10	0,0520	0,35	0,3119	0,60	0,6265	0,85	0,9054
0,11	0,0599	0,36	0,3241	0,61	0,6389	0,86	0,9149
0,12	0,0680	0,37	0,3364	0,62	0,6513	0,87	0,9236
0,13	0,0764	0,38	0,3487	0,63	0,6616	0,88	0,9320
0,14	0,0851	0,39	0,3611	0,64	0,6759	0,89	0,9401
0,15	0,0941	0,40	0,3735	0,65	0,6882	0,90	0,9480
0,16	0,1033	0,41	0,3860	0,66	0,7002	0,91	0,9554
0,17	0,1127	0,42	0,3986	0,67	0,7122	0,92	0,9625
0,18	0,1224	0,43	0,4120	0,68	0,7241	0,93	0,9692
0,19	0,1323	0,44	0,4238	0,69	0,7360	0,94	0,9755
0,20	0,1424	0,45	0,4364	0,70	0,7477	0,95	0,9813
0,21	0,1527	0,46	0,4411	0,71	0,7543	0,96	0,9866
0,22	0,1631	0,47	0,4618	0,72	0,7708	0,97	0,9919
0,23	0,1738	0,48	0,4745	0,73	0,7822	0,98	0,9952
0,24	0,1846	0,49	0,4873	0,74	0,7934	0,99	0,9983
0,25	0,1955	0,50	0,5000	0,75	0,8045	1,00	1,0000

სითხის დონეს რეზერვუარში ანუ სიმაღლეს აღნიშნავენ H -ით, ხოლო დიამეტრს D-თი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების ფარდობით H/D, მიღებულ სიდიდის შესაბამისი მნიშვნელობით ვპოულობთ ცხრილში K კოეფიციენტის რიცხვით მნიშვნელობას. რომლის მნიშვნელობის შეტანით

ფორმულაში, ვგებულობთ ნავთობის მოცულობით რაოდენობას რეზერვუარში.

$$V_{\text{პოდ.}} = V_{\text{რეზერვ.}} \cdot k$$

რეზერვუარში პროდუქტის მოცულობის გაანგარიშება.

მაგალითი. მოცემულია: რეზერვუარის მოცულობა

$$V_{\text{რეზერვ.}} = 51,61 \text{ მ}^3\text{-ს;}$$

რეზერვუარის დიამეტრი $D = 2,9366\text{მ}$; ხოლო რეზერვუარში ნავთობის დონე ანუ $H = 1,06\text{მ}$ -ს. გავიგოთ პროდუქტის მოცულობა რეზერვუარში.

ამისათვის ვანგარიშობთ ფარდობას

$$H/D = 1.06/2.9366 = 0.3610;$$

ცხრილში 2.4 ვპოულობთ შესაბამის K კოეფიციენტის რიცხვით მნიშვნელობას $K = 0,324$, რომლის ჩასმით ფორმულაში ვგებულობთ:


$$V_{\text{პოდ.}} = V_{\text{რეზერვ.}} \cdot k;$$

$$V_{\text{პრ}} = 51,6 \cdot 0,3241 = 16,7887 \text{ მ}^3$$

(ლიტ. 47. Антипов В.Н. Бахмат Г.Б.и др. Хранение нефти и нефтепродуктов, Учебное пособие, изд. Нефть и газ РГУ нефти и газа им.Губкина И.М. Москва. 2003г.)

საზღვარგარეთ, კერძოდ დიდ ბრიტანეთის ნავთობბაზებში, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობის სრულყოფილი აღრიცხვის, ასევე დღეღამური და ოპერატიული მომსახურების მიზნით, დანერგილია ავტომატური აღრიცხვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, მყისიერად, მაღალი სიზუსტის ინფორმაციის მიღებას. სარეზერვუარო პარკს ემსახურება ფირმა: CMS;Veeder-Root; და Nordmond-ის გიდროსტატიკური სისტემა, რომლის ძირითადი მონაცემებია: სითხის დონის სიმაღლე რეზერვუარში. შემდეგ საკალიბრო ცხრილებზე დაყრდნობით ავტომატურად გამოითვლება ნ/ნავთობპროდუქტის მოცულობა. Nordmond-ის გიდროსტატიკურ სისტემას შეუძლია ერთდროულად აკონტროლოს 63 რეზერვუარი, რომლის ტევადობა შეადგენს 99999 ერთეულს და ტემპერატურა მერყეობს მინუს 10-დან პლუს 30 გრადისამდე. ავარიის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად თიშავს თვით დიაგნოსტიკის ბლოკს. რეზერვუარში სხვადასხვა სახის ბენზინის შერევის დროს ახდებ რეაგირებას სიმკვრივის ცვლილებაზე. მსხვილი სარეზერვუარო პარკის შემთხვევაში ფირმა "SCUULY UK-ს" მიერ დანერგილია ტელეგამზომი სისტემები, რომელიც მუშაობს ელექტრო გამომთვლელ მანქანებზე. ნავთობისშემოტანასტერმინალისტერიტორიაზე წარმოებს ვაგონ-ცისტერ-

ნების საშუალებით. ხოლო გატანა საზღვაო ტრანსპორტის ანუ ტანკერების საშუალებით.



სურ.5.2.სატრანზიტო ნავთობის შესანახი თანამედროვე რეზერვუარი. ცილინდრული რეზერვუარი სტაციონარული სახურავით და პონტონით.

ტერმინალს გააჩნია ესტაკადა, რომელიც აღჭურვილია მრავალსაფეხურიანი გათბობის სისტემით, ბლანტი და მძიმე ნავთობპროდუქტებისთვის. სარკინიგზო ესტაკადებზე ფუნქციონირებს ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა, რომელიც პროდუქტის დაცლის მონაცემებს აფიქსირებს. ჩამოსხმის პროცესის შემდეგ ბნტ-სს ნავთობი და ნავთობპროდუქტები ინახება და გროვდება სარეზერვუარო პარკებში. დღეს-დღეისობით ბნტ-ზე განთავსებულია 5 სარეზერვუარო პარკი და აერთიანებენ 135 რეზერვუარს

ბათუმის ნავთობ ტერმინალის (ბნტ) ტერიტორიაზე განლაგებულია ნავთობის და ნავთობპროდუქტის ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც ემსახურება სატრანზიტო ნავთობის და ნავთობპროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლების დანსაზღვრას.

5.1.2. სატრანზიტო ნავთობის ხარისხობრივი მაჩვენებლები და დანაკარგების ზღვრული ნორმები შენახვის პირობებში

სახელმწიფო სტანდარტი. ГОСТ P 51858-2002. [26.02.15]

ნავთობის ხარისხის შეფასების მიზნით ახდენენ მის დაყოფას:

1. კლასები; 2. ტიპი; 3. ჯგუფი; 4. სახეობა;

ნავთობის კლასები გოგირდის შემცველობის მიხედვით

ცხრილი 5.3.

ნავთობის კლასი	პარამეტრის დასახელება	გოგირდის მასური წილი, %	გამოცდის მეთოდი
1	მცირე გოგირდოვანი	0,60 -მდე	ГОС 1437, ГОСТ P 51947 ASTM-D 3120
2	გოგირდოვანი	0т 0,61 >> 1,80	
3	მაღალგოგირდოვანი	>> 1,81 >> 3,50	
4	ზეგოგირდოვანი	3,50-ის ზევით	

სიმკვრივის მიხედვით

ცხრილი 5.4.

პარამეტრის დასახელება	ტიპი	გამოცდის მეთოდი
ძალიან მსუბუქი	0	ASTM-D 1298
მსუბუქი	1	
საშუალო	2	
მძიმე	3	
ბიტუმოიდური	4	

მომზადების ხარისხის მიხედვით ნავთობი იყოფა:

ცხრილი 5.5

მაჩვენებლების დასახელება	ნორმა ნავთობისათვის ჯგუფები			გამოცდის მეთოდი
	1	2	3	
1 წყლის მასური წილი, %, არა უმეტესი	0,5	0,5	1,0	ГОСТ 2477 ASTM D 1193
2 ქლორიანი მარილების მასური წილი, მგ/დმ ³ , არა უმეტეს	100	300	900	ГОСТ 21534 ASTM D 4929
3 მექანიკური მინარევების მასური წილი, %, არა უმეტეს	0,05			ГОСТ 6370 ASTM –D 473
4 ნაჯერი ორთქლის წნევა, კპა (მმ ვრ. სვ.), არა უმეტეს	66,7 (500)			ГОСТ 1756, ASTM –D 473
5 ორგანული ქლორიდების მასური წილი ფრაქციებში, დუღილის ტემპერატურით 204°C, მლნ. ⁻¹ (ppm), არა უმეტეს	10	10	10	ГОСТ P 52247

გოგირდწყალბადის და მერკაპტანების მასური წილის მიხედვით

ცხრილი 5.6.

1 გოგირდწყალბადის მასური წილი, მლნ. ⁻¹ (ppm), არა უმეტეს	20	100	ГОСТ P 50802 ASTM D 3227
2 მეთილ / ეთილ მერკაპტანების მას. წილის ჯამი, მლნ. ⁻¹ (ppm), არა უმეტეს	40	100	

საწვავების და ზეთების დანაკარგების ნორმები სარკინიგზო გადაზიდვის დროს და შენახვის პირობებში.

ცხრილი 5.7

ნ/ავთობპროდუქტების დასახელება	დანაკარგების ნორმა კგ. წლის ყველა პერიოდისათვის	დანაკარგების ნორმა % წლის ყველა პერიოდისათვის
საწვავები ბენზინი, რექტიული	0.21	0.021
ნავთი, დიზელი	0.14	0/014
ყველა ზეთი . გარდა	0.07	0.007
ძრავის ზეთის და მაზუთის	0.1	0.01
ბიტუმი, საცხისი ზეთები	0.42	0.042

ბენზინის ბუნებრივი დანაკარგები შენახვის პირობებში.(აორთქლება)

ცხრილი 5.8

შესაძლო ობიექტი	დანაკარგების სიდიდე	
	კგ. წ-ში	%
ტრასპორტირების დროს.	10-12	0.4-0.5
ჩასხმა-ჩამოსხმითი ოპერაციების დროს	2-3	0.2-0.3
10 კუბ./ მ მოცულობის რეზერვუარში არა სრული შევსებისას	70	1.5
შეუღებავ რეზერვუარის დროს	65	1
არ აქვს სასუნთქი სარქველი	2000	2.5

გაწყლიანება. ყველა ნავთობპროდუქტი მეტ-ნაკლებად შეიცავს წყალს და მექანიკურ მინარევებს. მათი წარმოქმნის მიზეზი ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით მეტია დაწყლიანება ტექნოლოგიური ოპერაციების მომდინარეობის დროს. როცა საჭირო ხდება ბლანტი ნავთობპროდუქტის ჩამოსხმა ვაგონცისტერნიდან, რაც უკავშირდება წყლის ორთქლის გამოყენებას. მრავალჯერადი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნავთობპროდუქტი შენახვისას რეზერვუარის ფსკერზე გამოიყოფა წყალი და მექანიკური მინარევები. ამ პროცესებისინჰიბირების მიზნით, იყენებენ სპეციალურ მეთოდებს ,რომელიც იწვევს წყლის გამოყოფის ბლოკირებას და ხელს უშლის წყლის წვეთების დალექვას რეზერვუარის ფსკერზე. საწვავის და ზეთების წყლის შემცველობის დასაშვები ნორმები.

საწვავის და ზეთების წყლის შემცველობის დასაშვები ნორმები

ცხრილში 5.9

მაჩვენებელი	ბენზინი სათვის	დიზელი სათვის	კარბურატორის ძრავის ზეთისათვის	დიზელის ძრავის ზეთისათ.	ინდუსტრიული ზეთისათვის
მექ. მინარევების ზომა მკმ/არა უმეტესი	10	5	15	15	10
წყლის შემცველ. %	-	,0.003	კვალი	კვალი	კვალი
მექ. მინარ. შემცვე. %	--არა	-არა	0.02	0.007	
ნაცრიანობა %	არ ნორმ.	0.01	0.0005	0.003	0.005
ფაქტ. ფისების მასური წილი მკგ. 100/მლ.	7-15	30-40	არ ნორმირდება	არ ნორმირდება	არ ნორმირდება

ნავთობპროდუქტის ხარისხის აღდგენის მიზნით ახდენენ:

1. ხშირ შემთხვევაში საზღვარგარეთის ბაზებში. პარაფინური, ფისოვანი ნაერთების გამოლექვის საწინააღმდეგო ქმედების, ანუ ინჰიბირების მიზნით, ახდენენ, სპეციალური მექანიკური მომრევების გამოყენებას. (რეზერვუარის ფსკერზე ამონტაჟებენ პროპელერის ტიპის მომრევებს)

2. გარდა ამისა იყენებენ ფუნქციონალურ მისართებს, ანტიკოაგულანტის სახით, რომელიც ხელს უშლის წვრილი ნაწილაკების შეერთებას და გამსხვილებას.

3. რეზერვუარის ფსკერზე ფისოვანი და პარაფინიანი ნალექის წარმოქმნის შემცირების მიზნით, ახდენენ ნავთობპროდუქტის და ჰაერის საკონტაქტო სივრცის შემცირებას.

ნავთობპროდუქტების შენახვის დასაშვები წლიური ვადები რეზერვუარებში

ცხრილში 5.10

№	ნავთობპროდუქტების დასახელება	კლიმატური ზონები		
		ჩრდილოეთი	საშუალო	სამხრეთი
1	ბენზინი მარკით 93; 98			
1.1	მიწისზედა რეზერვუარში	3	2.5	1.2
1.2	მიწისქვეშა რეზერვუარში	3.5	3	1.7
1.3	ავტოცისტერნაში	2.5	1.2	0.6
2	რეაქტიული საწვავი, ლიგროინი, ნავთი, სამუხრუჭე სითხე	5	5	4
3	დიზელის საწვავი, მაზუთი, ტრანსმისიური ზეთი	6	6	6
4	ავიაციური, დიზელის და საავტომობილო ძრავის ზეთები	5	5	5
5	სოლიდოლი	5	5	5

ნავთობპროდუქტის ტემპერატურის ზღვრული ნორმები შენახვის პირობებში.

ცხრილი 5. 11

ნავთობპროდუქტის დასახელება	ტემპერატურული ზღვარი T° C	ფეთქებადობის ტემპერატურა T° C
ბენზინი	30	18-28
რეაქტიული საწვავი, ნავთი	40	25-50
დიზელის საწვავი გაზოტურბინის, საწ, მაზუთი	35-45	28-61
ენერგეტიკული და საავტომობილო ზეთი	60-70	125-135
პარაფინი, ბიტუმი,	120	150 ზემოთ

[ლიტ. 50. Антипов В.Н. Хранение нефти и нефтепродуктов, Учебное пособие, изд. Нефть и газ РГУ нефти и газа им. Губкина И.М. Москва. 2003г.]

სინჯის სახეობები, მათი დანიშნულება, სინჯის აღების წესი ვაგონ ცისტრენებიდან, რეზერვუარებიდან

ერთ-ერთი მთავარი ოპერაცია სატრანზიტო მომსახურეების დროს არის სინჯის აღება ვაგონ ცისტრენებიდან, და რეზერვუარებიდან. საერთაშორისო სტანდარტების: API – ASTM, ISO და ევრო სტანდარტის მიხედვით სინჯი შეიძლება იყოს:

1. სინჯი რეზერვუარის ზემო ფენიდან (Upper-sample)
2. სინჯი რეზერვუარის შუა ფენიდან (Middle-sample)
3. სინჯი რეზერვუარის ქვემო ფენიდან (Middle-sample)
4. შერეული სინჯი (composite-sample) იგი წარმოადგენს ზემო, საშუალო და ქვემო ფენიდან. აღებული სინჯების ნარევის.
5. საკონტროლო სინჯი, ეს არის საშუალო სინჯის ნაწილი, როგორც ინახება ანალიზისათვის.
6. არბიტრაჟული სინჯი, საკონტროლო სინჯი, რომელიც ინახება არბიტრაჟული ანალიზისათვის, სადაო საკითხის შემთხვევაში, ნავთობპროდუქტის ხარისხის მიმართ.
7. კაპიტანის სინჯი (Капитанская проба) იღება ნავთობპროდუქტის გემზე დატვირთვის დროს, ექსპორტზე. იგი წარმოადგენს შერეული სინჯის ნაწილს. იგი მზადდება 5 ნაწილად.
8. სინჯის აღება ჰორიზონტალური, ცილინდრული ფორმის რეზერვუარიდან წარმოებს შემდეგი წესით. იხ. ცხ. 5.9.

მითითება ჰორიზონტალური, ცილინდრული რეზერვუარიდან სინჯის აღებისათვის

ცხრილი 5.12

სითხის დონე %-ში	აღების დონე დიამეტრალურად			კომპოზიციური სინჯი თანაფარდობა		
	ზემო	შუა	ქვემო	ზემო	შუა	ქვემო
100	80	50	20	3	4	3
90	75	50	20	3	4	3
80	70	50	20	2	5	3
70		50	20		6	4
60		50	20		5	5
50		40	20		4	6
40			20			10
30			15			10
20			10			10
10			5			10

სინჯი აღება ვერტიკალური, ანუ, ცილინდრული ფორმის რეზერვუარის შემთხვევაში ხდება:

ზედა სინჯი 250 მმ-ის ქვემოდან ნავთობპროდუქტის ზედა დონე;

შუა სინჯი, იღება ნავთობპროდუქტის შუა ფენიდან;

ქვემო სინჯი, 250 მმ-ის ზემოთ რეზერვი=უარის ფსკერიდან;

შერეული სინჯი (კომპოზიტი) მზადდება შემდეგი თანაფარდობით: 1:3:1.

ГОСТ-CHГ— ის სტანდარტის მიხედვით, ხოლო თანაფარდობა 1:1:1

API-ASTM- ის სტანდარტის იხედვით. 5.2.2. (ლიტ. 13.მამულაიშვილი ნ.,

გენძეხაძე ტ., მეგრელიშვილი ზ., ხითარიშვილი თ. Some aspects of introduction

API-ASTM and ISO-9001-2000 the international standards on the Batumi terminal.

„საქართველოს ნავთობი და გაზი“ № 23, თბილისი, 2008, გვ. 50-54, 55-58.

5.2. საზღვაო გადაზიდვის თანამედროვე ტექნოლოგიები.

საზღვაო ტვირთგადაზიდვის სისტემაში შედის შემდეგი ტექნოლოგიური მოწყობილობები: მილსადენის სატვირთო და გამრეცხი სისტემა; მოქნილი შლანგები და სტენდერები; მანიფოლდები და მიმღები მილტუჩები და სატვირთო ტუმბოები სატვირთო ტუმბოები განკუთვნილია სატვირთო ტანკებიდან ან ტანკიდან ტანკში ნავთობპროდუქტების გადასატვირთად ბალასტის ჩამოსასხმელად. ტანკერზე დადგმულია ორი ურთიერთშეცვლადი ტუმბო. ამ ტუმბოების საერთო სიმძლავრე დამოკიდებულია ტანკერის დედვეიტზე და ტოლია $P=0,1 DW(4)$

(ლიტ. 3. ზოცვაძე ლ., ერაძე კ., გელაშვილი ო., სატრანსპორტო-ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები, 2011 წ.)

ძირითადად გამოიყენება ცენტრიდანული ტუმბოები. მათი მწარმოებლობა $P \geq 5000$ მ³/სთ. საპასპორტო მონაცემებში მითითებულია დამოკიდებულება ტუმბოს ძირითად პარამეტრებს შორის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმის დროს. ძირითად პარამეტრებს მიეკუთვნება: დაწნევა H , სიმძლავრე N მ.ქ.ვ. - η , მიწოდებული სითხის რაოდენობა Q .

მილსადენების სატვირთო და გამრეცხი სისტემა. იგი შესდგება შემდეგი ქვესისტემებისგან: 1.სატვირთო და გამრეცხი მილსადენების წრიული სისტემა; 2 სატვირთო და გამრეცხი მილსადენების სწორხაზოვანი სისტემა; 3.სატვირთო სისტემა გადადინების სისტემებით; 4.მილსადენების გამწმენდი სისტემა;

მოქნილი სატვირთო შლანგები გამოიყენება ტანკერის სატვირთო მაგისტრალის სანაპირო სატვირთო მაგისტრალთან შესაერთებლად. ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: გემის შლანგის ამწეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტვირთამწეობა და უნდა უზრუნველყოს სანაპირო შლანგის გამტარუნარიანობა.

სტენდერი - ლითონის სატვირთო სანაპირო მოწყობილობა რომელიც შედგება სახსრულად დაკავშირებული მილებისაგან და განკუთვნილია მათ შესაერთებლად გემის სატვირთო მაგისტრალთან (მანიფოლდთან). სტენდერის

შემადგენლობაში შედის მუდმივ ექსპლუატაციაში მყოფი შლანგი.

მანიფოლდი - მიმღები მოწყობილობა სანაპირო სატვირთო შლანგების შესაერთებლად ტანკერის სატვირთო მაგისტრალთან. მილსადენის მილტუჩების დიამეტრი რეგლამენტირებულია, მათი ზომები დამოკიდებულია ტანკერების დედვეიტის ჯგუფებზე.ამ მიზნით ტანკერები დედვეიტის მიხედვით დაყოფილია ოთხ ჯგუფად: A-DW=25 ათ. ტ. ; B-DW=25:60 ათ. ტ.; C-DW=160 ათ. ტ; D-DW=160 ათ. ტ.

ტანკერის წონით და მოცულობით მახასიათებლებს მიეკუთვნება:

წყალწყვა, დედვეიტი; გემის სუფთა ტვირთამწეობა; გემის საერთო ტვირთამწეობა; ხვედრითი ტვირთამწეობა.

ტანკერის წყალწყვა. ტანკერის წყალწყვასრული დატვირთვის დროს- გულისხმობს გემის მასას, ჩატვირთულსწყალში და გამოსახება ტონებში. ვატერლინოს ხაზის მიხედვით.

ვატერლინოს ხაზის რიცხვითი მნიშვნელობა ცვალებადია და დამოკიდებულია ტვირთის მასაზე, სეზონზე, ზღვის წყლის და ჰაერის ტემპერატურაზე, ასევე ზღვის წყლის კონცენტრაციაზე. ზაფხული სატვირთო მარკის მიხედვით, სიმკვრივის 1,025 ტ/მ³- ის დროს, დედვეიტი ტოლია:

$$D_{max}=L \cdot B \cdot H \cdot C_{\beta} \cdot d$$

სადაც: L- გემის სიგრძე, მ;

B- გემში განთავსებული ტვირთის ნეტო მასა, ტ;

H- ვატერლინის სიმაღლე გემის ფსკერიდან , მ;

C_β-გემის დატვირთვის უთანაბრობის კოეფიციენტი;

d - წყლის სიმკვრივე, ტ/მ³

გემის წყალწყვა ცარიელ მდგომარეობაში არის მისი მაქსიმალური დატვირთვის შესაძლებელი სიდიდე, ტვირთის საწვავის, წყლის, ბალასტის, ეკიპაჟის, მგზავრებისა და ბარგის გარეშე. $D_0=const$, ტ

დედვეიტი -გემის სრული ტვირთამწეობა, ჩატვირთული ვატერლინოს ხაზამდე წყალში სიმკვრივით 1,025 ტ/მ³ $DW=D_{max}-D_0$; განზომილება: ტონა/მ³

გემის სუფთა ტვირთამწეობა მიუთითებს, თუ ტვირთის მასისრა რაოდენობა შეუძლია მიიღოს გემმა მოცემულ მომენტში:

$$D_0=DW-\sum g$$

გემის საერთო ტვირთამწეობა არის ყველა სატვირთო ტანკში განთავსებული ტვირთების რაოდენობის ჯამი.

ხვედრითი ტვირთამწეობა გვიჩვენებს, თუ ტევადობის რა მოცულობა მოდის სუფთა ტვირთამწეობის ერთ ტონაზე

$$\omega=D_{st}/0,98W_{კგ/მ^3}$$

თანამედროვე ტანკერის ხვედრითი ტვირთამწეობა მერყეობს 0,71-0,78ტ/ მ³- ის ფარგლებში



სურ. 5.3. ტანკერებზე აღნიშნული ვატერლინოს ხაზი

ტანკერის მოძრაობის სიჩქარე იზომება კვანძებში. 1კვანძი= 1,852 კმ/სთ

ტანკერი ეკუთვნის გემის ტიპს, რომელიც თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტით აგებულია ან მაქსიმალურად არის მისადაგებული ნავთობ-ტვირთების გადასაზიდად. იგი კლასიფიცირდება სხვადასხვა სახით, აღნიშნული კრიტერიუმებიდან მნიშვნელოვანია ტანკერების შერჩევა დედვეიტის მიხედვით.

(ლიტ. 3. ზოცვაძე ლ., ერაძე კ., გელაშვილიო., სატრანსპორტო-ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები, 2011 წ.)

5.3. გადაზიდვის ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები.(IMO)

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) იღებს ვალდებულებას შეიმუშაოს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც ეფექტურად გაუმკლავდება საზღვაო ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა გამოწვევას.

Energy – Efficient Intergrations

ენერგოეფექტური ინტეგრაციები გულისხმობს გემის სხვადასხვა სისტემების მუშაობის გაუმჯობესებას. იგი გამოიყენება აირების ემისიებისა და საწვავის ხარჯების შესამცირებლად, რაც საშუალებას აძლევს საზღვაო კომპანიებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ თავიანთი ოპერაციების მდგრადობა და შეამცირონ ენერჯისა და საწვავის ხარჯები. მაგ: CARNOT

არის ბრიტანული „სტარტაპი“, რომელიც ქმნის ენერგოეფექტურ ძრავებს გემებისთვის. სტარტაპი ცვლის ლითონის კომპონენტებს ჩვეულებრივ ძრავებში კერამიკული ნაწილებით, რომლებიც უძლებენ მაღალ ტემპერატურას. შედეგად ხსნარს გადააქვს ენერგია, რომელიც სხვაგვარად არის საჭირო ძრავის გასაგრძელებლად, რაც ზრდის ენერგოეფექტურობას.

Robotics Technology

რობოტები ახალ მასშტაბებს მატებენ თანაედროვე სამყაროს თავისი არსებობითა და ეფექტურობით, ამავდროულად ამცირებენ ხარჯებსა და უსაფრთხოების პრობლემებს. მსოფლიოს მრავალმა ინდუსტრიამ, მათ შორის საზღვაო ინდუსტრიამაც, აღიარა რობოტების მნიშვნელობა და დაიწყო დიდი ინტერესის გამოხატვა მათი გამოყენების მიმართ. ერთ-ერთი ასეთი რობოტი, გახლავთ **Shipboard Autonomous Fire Fighting Robots (SAFFiR)**, რომელიც შექმნილია საზღვაო კვლევის ლაბორატორიის მიერ ვირჯინიის ტექნიკურ და აშშ-ს სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. SAFFiR-ის მიზანია შექმნას ადამიანზე ორიენტირებული ავტონომიური სისტემა, რომელიც ეხმარება ხანძრის ჩაქრობას ადრეულ ეტაპზე. **რობოტიკის ტექნოლოგიას** აქვს ადამიანის ერთფეროვანი, საშიში და ფიზიკურად მძიმე სამუშაო შემსუბუქების პოტენციალი. ნავსადგურების ტერმინალებში ტვირთის გადამუშავების ავტომატიზირებული სისტემები ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ ოპერაციებს, რისკებისა და ემისიების შემცირებას. მაგალითად, ავტონომიური ამწეები განლაგებულია შეერთებულ შტატებში, კანადაში, ჩინეთში, სინგაპურში, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და ყველა ძირითად პორტში. რობოტიკის ტექნოლოგიის განვითარება ასევე მიზნად ისახავს მუშახელის დეფიციტის აღმოფხვრას და საერთო პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. მომავალში რობოტული ავტომატიზაციით შესაძლებელი იქნება სამუშაო ძალის მაქსიმალურად შემცირება.

LOT-Internet of Things

IoT ინტეგრაცია ამარტივებს მდებარეობის მონაცემების მიღებას, იძლევა სხვადასხვა პარამეტრებზე თვალყურის დევნების საშუალებას, ისეთებზე, როგორცაა ემისიები, ძრავის მონაცემები და სტრუქტურული მთლიანობა. ეს გამჭვირვალობა ხელს უწყობს დაბრკოლებების სწრაფად ამოცნობას და შეფერხებების თავიდან აცილებას.

Augmented Reality (AR) ეს გახლავთ ჭკვიანი ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება მეზღვაურთა მომზადებისთვის. ის ეხმარება სტუდენტებს ისწავლონ რეალურ ცხოვრებაში გარემოს მოდიფიკაციების მეშვეობით, ხმის, ვიზუალური ელემენტების ან სხვა სენსორული სტიმულის დამატებით. AR ასევე გამოიყენება გემების შემოწმებისთვის. მაგალითად, ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, როგორცაა AR wearables დისტანციური მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური სურათების გამოყენებით ტექნიკოსის ადგილზე ფიზიკურად ყოფნის გარეშე.

Autonomous SCIPS არსებობენ თვითმობრავი მანქანები, ავტობუსები და სატვირთო მანქანები. ახლო მომავალში შეუერთდება თვითმობრავი (ავტონომური) სატვირთო გემების ფლოტები, შემდეგი თაობის ხომალდები. ისინი იმობრავებენ ეკიპაჟის წევრების გარეშე, რომლებსაც მეთაურობენ სანაპირო საოპერაციო ცენტრიდან. მათ ნავიგაციას აკონტროლებენ დეტექტორების, სენსორების, მაღალი გარჩევადობის კამერებისა და სატელიტური საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით.

Artificial Intelligence

ხელოვნურ ინტელექტს (AI) აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს გადაზიდვის ინდუსტრიის ხარისხი. AI-ზე ორიენტირებული სექტორი არის ლოჯისტიკა. ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს მარშრუტის ოპტიმიზაციას, უსაფრთხოებას, გადაწყვეტილების მიღებასა და ავტომატიზაციას. McKinsey Global Survey აჩვენებს AI-ს გამოყენების თითქმის 25%-იან ზრდას ტიპიურ ბიზნეს პროცესებში.

ხელოვნურ ინტელექტს (AI) აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს გადაზიდვის ინდუსტრიის ხარისხი. AI-ზე ორიენტირებული სექტორი არის ლოჯისტიკა. ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს მარშრუტის ოპტიმიზაციას, უსაფრთხოებას, გადაწყვეტილების მიღებასა და ავტომატიზაციას. McKinsey Global Survey აჩვენებს A-ს გამოყენების თითქმის 25%-იან ზრდას ტიპიურ ბიზნეს პროცესებში.

BLOCKCHAIN -ბლოკჩეინ.

მონაცემთა ხელით აღრიცხვის სისტემები საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და ხშირად მიდრეკილია გაყალბებისკენ. ეს იწვევს ნდობის ნაკლებობას საზღვაო კომპანიებს, გემთმფლობელებს, გემების ოპერატორებსა და პორტებს შორის, რაც აფერხებს მთლიან პროდუქტიულობას. **ბლოკჩეინზე** ინფორმაციის შენახვა უზრუნველყოფს მონაცემების უსაფრთხოებას, ტრანზაქციებისა და ფინანსური ოპერაციების ხილვადობას. სტარ-

ტაპები ავითარებენ ბლოკჩეინზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, როგორცაა ავტომატური ელექტრონული დოკუმენტაციის პლატფორმები, გადახდის დამუშავების სისტემები და ჭკვიანი კონტრაქტები, რომლებიც მორგებულია საზღვაო აპლიკაციებს. მაგ: სინგაპურის „სტარტაპი“ Marified მეზღვაურებისთვის ელექტრონულ პასპორტებს უზრუნველყოფს. სტარტაპის ბლოკჩეინზე დაფუძნებული პლატფორმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გასცენ, შეინახონ, მართონ და გადაამოწმონ დოკუმენტები. ვინაიდან დოკუმენტი ინახება ბლოკჩეინში, ის მაქსიმალურად დაცულია გაყალბებისგან. ეს გემების მართვის კომპანიებს, სასწავლო ცენტრებსა და მეზღვაურებს საშუალებას აძლევს გაზარდონ ეფექტურობა და შეამცირონ დოკუმენტების დამუშავების ხარჯები.

5.4. ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის კერების ლოკალიზაცია

მსოფლიო პრაქტიკაში ზღვაში ჩაღვრილ ნავთობის ლოკალიზაციის და შეგროვების მიზნით იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს და ძირითადად ხორციელდება ბონური ზღუდეების მეშვეობით. [4][5] მსოფლიოს მასშტაბით, ბონების დამზადების და მასში სორბენტის განთავსების სხვადასხვა ხერხი არსებობს. მაგ: უცხოელი მეცნიერების, ავტორების A. A. Консейсаო, Н.А. Самайлов, Р.Н. Хлесткин-ის მიხედვით, ნავთობსორბენტის დამზადების მიზნით გამოყენებული იყო მოზამბიკაში მზარდი მცენარის ნაყოფი და მიღებული იქნა ნავთობ სორბენტის სახელწოდებით “DULROMABSORB” (ლიტ. 61. Консейсао А. А., Самайлов Н.А., Хлесткин Р.Н., Сорбент “DULROMABSORB” журнал Химия и технология топлив и массел. №2.2007г.ст.42-48.). გარდა აღნიშნულისა შემოთავაზებულია სპეცდანიშნულების სასაქონლო სორბენტები, როგორცაა: „Лесосорб“, „Пит-Сорб“ ან „Синтапекс“ და “СТРГ”. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ეკოლოგიის სამსახურის მონაცემების მიხედვით, ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის ლოკალიზების მიზნით იყენებს ბონებს, რომლის შიგთავსიც არის პლასტიკური მასა, რომლის მეშვეობითაც ხდება ზღვაში ჩაღვრილი ნავთობპროდუქტის ლოკალიზაცია და ბონის ცურვადობის რეგულირება წყლის ზედაპირზე. 500 მეტრის სიღრმის ბონის ღირებულება დაახლოებით 10 000\$ შეადგენს. საბოლოო მასალისათვის შერჩეულია არაქსოვილური ტიპის მრავალფენოვანი მასალა, რომელიც დამზადებულია პოლიპროპილენის ბაზაზე. შიგთავსად გამოყენე-

ბულია ბამბა, რომელიც დამზადებულია ბამბის წარმოების ნარჩენებისაგან და ასევე პოლიპროპილენისაგან.

წარმოდგენილ ნაშრომში ნავთობური კერის ლოკალიზაციისთვის, გათვალისწინებულია მატ-ბონების გამოყენება, რომელიც დამზადებული იქნება საცდელი ნავთობსორბენტის „Platani“-ის ბაზაზე. აღნიშნული ნავთობსორბენტი მიღებულია, ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის „Platani“-ის ხის ნაყოფის ბაზაზე და მისი შექმნა დაკავშირებულია მინიმალურ ხარჯებთან.



სურ. 5.4 სამრეწველო ბონურიზლუდის გამოყენება ზღვაში დაღვრილი ნავთობის ლოკალიზაციის მიზნით

5.5. ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხერხი

დაღვრილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შეგროვების მიზნით არჩევენ და რეკომენდირებულია სხვადასხვა სახის ნატურალური და სინთეზური წარმოშობის, სასაქონლო სორბენტების გამოყენება. მათ შორის აღსანიშნავია სპეცდანიშნულების სასაქონლო სორბენტები, როგორცაა: „Лесосорб“, „Пит-Сорб“ ან „Синтапекс“ და “СТПГ”. (ლიტ. 7. მამულაიშვილი ნ., საქპატენტი P-5743, ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხერხი, 2013 წ.)

ზღვაში ჩაღვრილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შთანთქმის მიზნით სტატიის ავტორები გვთავაზობენ, სორბენტ „Dulromabsorb“

შესყიდვას, რომელიც ხასიათდება უნიკალური ნავთობშთანთქმელი თვისებებით. იგი დამზადებულია ხის „Sumauma“-ს

ნაყოფის ბაზაზე და იზრდება მოზამბიკაში.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ადგილობრივი რეგიონის მცენარეული ნედლეული, რომელთა შორის შერჩეული იქნა „Platan“-ის (ჭადრის) ხის ნაყოფი (სურ 5.5) ბურთულები შეიცავს ნახშირწყალბადს სიტ7. (ლიტ. 7. მამულაიშვილი ნ. საქპატენტი P-5743, ნავთობისა და ნავთობპროდუქტები-საგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხერხი, 2013 წ.



სურ. 5.5. „Platan“-ის ნაყოფი მუშა ფორმაში ბსუ-ს ნავთობის კვლევით ლაბორატორია.

გამოკვლევები ჩატარებული იქნა სხვადასხვა სიმკვრივის მქონე თხევად ნავთობპროდუქტებზე: ბენზინი- 0,730 გრ/სმ³, დიზელი- 0,820 გრ/სმ³, მობილური ზეთი „Castrol“-ლი - 0,885 და „azer“-ნავთობი- 0,796 გრ/სმ³, რომელთა საშუალებით ვახდენდით ნავთობპროდუქტების იმიტირებას ზღვის წყლის ზედაპირზე. სორბციის პროცესის დახასიათების მიზნით სისტემაში „სორბენტი-რეაგენტი“ ვახდენდით ძირითადი პარამეტრების განსაზღვრას: ნავთობშთანთქმას, წყლის შთანთქმას, ცურვადობას, გამოწურვისა და რეგენერაციის უნარს. (ლიტ. 7. მამულაიშვილი ნ. საქპატენტი P-5743, ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხერხი, 2013 წ.).

ჩატარებულმა ცდებმა, აჩვენა, რომ სორბენტის მიერ ნავთობ-შთანთქმა დამოკიდებულია ნავთობპროდუქტის სიბლანტეზე, რაც უფრო მეტია ნავთობპროდუქტის სიბლანტე მით უფრო მეტია ნავთობშთანთქმის უნარი. ის ნავთობპროდუქტები, რომლებიც ხასიათდება ნაკლები სიბლანტით

(ბენზინი და დიზელი) ადვილად აღწევენ სორბენტის ფენაში, მაგრამ არ შესწევთ სორბენტთან შეკვრის უნარი.

ამიტომ ნავთობშთანთქმა ბენზინისა და დიზელის შემთხვევაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ნავთობისა და ზეთის დროს. სორბენტის

ნავთობშთანთქმის უნარის განსაზღვრას ვაწარმოებდით არსებული მეთოდის მიხედვით. საკვლევი სორბენტის წყლის შთანთქმის უნარის განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული სორბენტი არის ჰიდროფობური და მცირე რაოდენობით შთანთქავს წყალს.

საკვლევი სორბენტი სხვა სორბენტებთან შედარებით ყოველთვის იმყოფება წყლის ზედაპირზე და ხასიათდება მაღალი ცურვადობით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ნავთობშთანთქმის პროცესი მიმდინარეობს მომენტალურად, მორევის და დაყოვნების გარეშე. ჩვენს მიერ ასევე, შესწავლილ იქნა საკვლევი სორბენტის ნავთობშთანთქმა გამოწურვისა და რეგენერაციის შემდეგ. გამოკვლევებმა გვიჩვენა რომ ჩვენი სორბენტი გამოწურვისა და რეგენერაციის შემდეგ ხასიათდება ნავთობშთანთქმის უნარით. მიღებული შედეგები სორბენტის გამოწურვისა და რეგენერაციის შემდეგ (ცხრ. 5.9.).

საკვლევი სორბენტის სორბციის შედეგები გამოწურვისა და რეგენერაციის შემდეგ

ცხრილი 5.13

ნ/პროდუქტის დასახელება	დაღვრილი ნ/პროდუქტის წონითი რაოდენობა გრამებში	გამოყენებული სორბენტის წონითი რაოდენობა გრამებში	შთანთქმული ნ/პროდუქტის რაოდენობა გრამებში 1-ლი გამოწურვის შემდეგ	შთანთქმული ნ/პროდუქტის რაოდენობა გრამებში მე-2 გამოწურვის შემდეგ
მოტორული ზეთი	10.34-12,0	0.8	8.0 -10	7.0--9.0
Castrol 15w-40	33.35-45,0	2.0	32,5- 43.5	30.0-40.1
ნავთობი„Azer-trans“	7.66-9,0	0.8	7.0-8,0	6.04-7,0
	23.18-25.0	2.0	22.0-24.0	20.1-22.5

სორბენტ-Platan-ის უპირატესობა სხვა სორბენტებთან შედარებით:

1. იაფია, არ არის საჭირო სხვა ქვენიდან შემოტანა, რაც დაკავშირებულია საექსპორტო ხარჯებთან.

2. მისი დამუშავების ტექნოლოგია მარტივია “Suasamas”-ს ნაყოფთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებს ნაყოფიდან ბოჭკოვანი ნაწილის გამოყოფას.
3. მოიპოვება საქართველოში.
4. ადვილად ექვემდებარება რეგენერაციას.

განსხვავებით სორბენტ CTPF (сорбент термо расщипленный графитвый). რომლის დამზადების ტექნოლოგია შემუშავებულია “Енергогаз”ის მიერ. მისი მიღების ტექნოლოგია ითვალისწინებს გრაფიტის გამოწვას მაღალ ტემპერატურაზე 300-400°C. სორბენტის რეგენერაციისას გამოყენებულია ექსტრაქციის და თერმული გამოხდის მეთოდი (ნავთობიანი სორბენტის გამოხდა ან ექსტრაგირება ორგანული გამხსნელებით), რაც დაკავშირებულია დამატებით ენერგეტიკულ ხარჯეფთან და ექსტრაგენტების შეძენასთან.

სამრეწველო ნავთობსორბენტების მახასიათებლები

ცხრილი 5.14

სორბენტის დასახელება	წარმოშობა	ნავთობ შთანთმის უნარი გრ/ 1გრ-ზე	ცურვადობა დღე-ღამე	ნავთობ-შთანთქმა რეგენერაციის შემდეგ გრ.	სორბენტის სიმკრივე გ/სმ ³	1კგ სორბენტი ს ფასი
Platan	მცენარეული ქართული	25-26	200-ზე მეტი	30-32		1 ლარი
CTPF	გრაფიტი რუსული	60-80	100-ზე მეტი	--		1დოლარზე მეტი
DULROMA BSORB'	მცენარეული მოზამბიკი	18-19	--	21-22		20 ცენტი
Турбопол	რუსული სინთეზური პოლიმერი	40	100	---	12-33კგ/მ ³	1დოლარზე მეტი

ჩატარებული ცდებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილია 'Platani-is ნაყოფის სორბციული თვისებები, რომ მას გააჩნია კონკრეტული უპირატესობა სხვა სორბენტებთან შედარებით. იგი საინტერესოა თავისი თვისებებით და წარმოადგენს სიახლეს, კონკურენტუნარიანია და ეფექტური.

კვლევის შედეგები მოხსენიებული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე, რომი, იტალია 2015 წ.: (ლიტ. 67. Мамулаишвили Н.Д. Баладзе Д.А.

Хитаршвили Т.Д. Нефтяное загрязнение морской воды и методы его устранения с применением сорбента на основе растительного сырья. Международный журнал экспериментального образования. ISSN1996-3947; РИНЦ 0.221; №2.2015г. ст.75-77)

5.6. სორბციული ბალიშები და მათი გამოყენება ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის შეგროვების მიზნით

ზღვაში ჩაღვრილ ნავთობს მსოფლიოს მასშტაბით ლოკალიზაციას უკეთებენ ბონების მეშვეობით. ბონებში სორბენტის განთავსების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ბონური ზღუდის ერთი მესამედი საზღვაო ინსპექციის ნორმების გათვალისწინებით უნდა იყოს ჩაშვებული წყლის ზედაპირის ქვემოთ, რაც ითვალისწინებს დაღვრილი ნავთობის სრულყოფილ ლოკალიზებას. ბონური ზღუდეების ექსპლუატაცია ხდება ხანგრძლივი დროით. 500 მეტრის სიგრძის ბონური ზღუდის ღირებულება დაახლოებით 10000 \$ შეადგენს. დაღვრილი ნავთობის ლოკალიზების გარდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოპერაციას, ლოკალიზებული ნავთობის ამოღება წარმოადგენს. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ეკოლოგიის სამსახურის მიერ გამოყენებული მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის ამოღებას მოსახერხებელია, მაგრამ გააჩნია რიგი ნაკლოვანება. მუშაობს მხოლოდ ელექტროდენის გამოყენებით.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ეკოლოგიის სამსახურში ამჟამად გამოყენებულია მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის ამოღებას სპეციალური აპარატურით. აღნიშნული ტექნიკური მოწყობილობა, ძირითად შედგება ნავთობმსრუტავი მბრუნავი დოლებისაგან, დრეკადი შლანგისა და საქაჩი ტუმბოსაგან, რომლის მუშაობა საჭიროებს ელექტროენერგიის გამოყენებას და დაკავშილებულია ელექტროენერგეტიკული ხარჯების ზრდასთან.

წარმოდგენილი ნაშრომი, ითვალისწინებს საცდელი მატ-ბონების დამზადებას და მის გამოყენებას ძნელად მისადგომი ნავთობური კერების ლიქვიდაციისათვის. საცდელი მატ-ბონი დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულის, ჭადრის ხის, (ლათ. სახელწ. Platanus) ნაყოფის ბაზაზე, რომლის შექმნა მარტივია და დაკავშირებულია მინიმალურ ხარჯებთან. პლატები და კვლევის შედეგები მოცემულია ნაშრომში.



სურ. 5.6. ზღვაში დაღვრილი ნავთობის ამომღები მოწყობილობა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გამოგონება P-5743, განკუთვნილია ნავთობიანი კერის როგორც ლოკალიზაციისათვის, ასევე დაღვრილი ნავთობის ამოღებისათვის. საცდელი მატ-ბონი, თავისი, ტექნიკური და გაბარიტული ზომებიდან გამომდინარე საშუალებას იძლევა ამოღებული იქნას დაღვრილი ნავთობი, ძნელად მისადგომი ადგილებიდანაც, რაც ხშირად არაა შესაძლებელი სხვა სამრეწველო ბონების გამოყენების დროს. ასევე აღსანიშნავია საცდელი მატ-ბონის საექსპლუატაციო თვისებები. იგი მუშაობს ნებისმიერი კონცენტრაციის და ტემპერატურის მქონე წყლის ზედაპირზე. მისი სორბციული ტევადობა მაღალია და აქვს რეგენერაციის უნარი. ნავთობს შთანთქავს მომენტალურად და ხასიათდება წლის ზედაპირზე ხანგრძლივი ცურვადობის უნარით. საცდელი მატ-ბონი დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე და არ საჭიროებს ნედლეულის შემოტანას.



სურ. 5.7. სორბციული ბალიში დაღვრილი ნავთობის ამოღებისათვის

საცდელი ბონური ბალიშების დამზადებისას გათვალისწინებული იქნა უკვე აპრობირებული მატ-ბონების დამზადების გამოცდილება, ბათუმის საზღვაო სანაოსნოს ეკოლოგიის სამსახურის მონაცემებით 500მ³ დაღვრილი ნავთობის რაოდენობა ზღვაში საშუალოდ იკავებს 1,5 ჰექტარს. ანუ 150 000მ². აღნიშნული ფართობის ლოკალიზაციისათვის და შთანთქმისათვის საცდელი სორბენტის გამოყენების შემთხვევაში საჭირო იქნება 70- 80კგ. სორბენტის რაოდენობა. წარმოდგენილი მატ-ბონი გათვალისწინებულია, როგორც დიდმაშტაბური ტერიტორიის, ასევე ძნელად მისადგომი ნავ-თობური კერების ლიქვიდაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ტექნოლოგია განსხვავებით სხვებისაგან, ექსპლუატაციის დროს არ საჭიროებს დამატებით აპარატურას, ელექტროენერგიას და გააჩნია განსხვავებული ექსპლუ-ატაციური თვისე-ბები. კერძოდ, იგი ხასიათდება ჰიდროფობური თვისებებით, რაც გულისხ-მობს, რომ დაღვრილი ნავთობის დროს, წყლის ზედაპირიდან ამოაქვს ნავთობი და არა წყალი.

საცდელი სორბციული (ბალიშების) ტექნიკური პარამეტრები

ცხრილი 5.15

მახასიათბლების დასახელება	განზომილება	მნიშვნელობის სიდიდე
დიამეტრი	სმ.	7.5
სიგრძე	სმ.	5.5
წონა	გრ.	2.04
სორბციული ტევადობა	მლ.	28
ტემპერატურული რეჟიმი	T- ⁰ C	10 < 20 > 30
ცურვადობის ხანგრძლივობა	სთ.	ხანგრძლივი დროით
შთანთქმის სიჩქარე	წმ.	მომენტალურად 2-5 წმ.

ცხრილში 5.12. წარმოდგენილია საცდელი სორბციული „ბალიშის“ ტექნიკური და საექსპლუატაციო პარამეტრები.


ამ ეტაპისათვის, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ეკოლოგიური სამსახურის მიერ, მოწონებულია საცდელი სორბციული „ბალიშების“ ექსპ-ლუატაციური თვისებები, და გაცემულია წერილობითი რეკომენდაცია. გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საცდელი მატ-ბონები წარდგე-ნილია, საქართველოს შავი ზღვის ეკოლოგიური დაცვის კონვენციის ინსპექციის ლაბორატორიაში, გამოცდისა და შემდგომი დანერგვის მიზნით.

(ლიტ.11 მამულაიშვილი ნ., ართმელაძე ა., ვარშალომიძე ზ., სორბციული „ბალიშები“, ზღვაში ჩაღვრილი ნ/ნავთობპროდუქტების შეგროვების მიზნით. ბათუმი საზღვაო აკადემია 2016 წ. გვ. 71-74.).

თავი 6. ნავთობის მოპოვების და საბადოს დამუშავების ტექნოლოგიები

6.1. ნავთობის მოპოვების ტრადიციული მეთოდები.

ნავთობის მოპოვება მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ხორციელდება ორი მეთოდით: 1. ნავთობის მოპოვების ბუნებრივი რეჟიმები და 2. ნავთობის მოპოვების მექანიკური მეთოდები. მოპოვების ბუნებრივი მეთოდი გულისხმობს ნავთობის ამოღებას მიწის წიაღიდან საკუთარი წნევის ხარჯზე. მას იყენებენ ახლად აღმოჩენილი საბადოს ექსპლუატაციისას. როცა ფენის წნევა მაღალია, და სანგრევის წნევა საკმარისია სითხის ჰიდოსტატიკური წნევის დასაძლევად. რათა სითხე ამოვიდეს ჭის პირზე. თუ სითხის სვეტის წნევა, რომლითაც შევსებულია ჭაბურღილი პირამდე ნაკლებია ფენის წნევაზე მაშინ სითხე გადმოდის მიწის ზედაპირზე და მას ფანტანირება ეწოდება. ნავთობის შადრევნირება ხდება საკუთარი გაზის ენერჯის ხარჯზე.




სურ. 6.1. ჭაბურღილის შადრევნირების ტექნოლოგიური სქემა

1-ფანტანური არმატურა 2-შტუცერი; 3-სეპარატორი; 4-სამილე დეტალი ;
5-საექსპლუატაციო მილი; 6-სატუმბო საკომპრესორო მილი; 7-ღია მილი

ნახ.6.1. ნაჩვენებია ჭაბურღილის შადრევნირების ტექნოლოგიური სქე-
მა. მიწის წიაღიდან ამოსული ნავთობი, სს მილით (6), მიეწოდება ფანტანურ
არმატურას (1), შემდეგ კი შტუცერის (2) გავლით სეპარატორს (3), სადაც
ხდება აირისა და სითხის განცალკავება. ჭაბურღილის ექსპლუატაციის
ძირითად მოწყობილობა.

ფანტანური არმატურა წარმოადგენს ჭაბურღილის ექსპლუატაციის
ძირითად მოწყობილობას, რომელსაც გააჩნია მრავალფუნქციური დანიშნუ-
ლება: ნავთობის მოპოვების პროცესების მართვა და რეგულირება; ჰერმეტი-
ზაცია მილგარე სივრცესა და სს მილებს შორის; ასევე აირსითხის ნარევის
მიწოდება გამზომ მოწყობილობებში. არმატურის გამოსასვლელ ხაზზე
მოთავსებულია შტუცერი (2).

ფანტანური ექსპლუატაციის აუცილებელი პირობაა ფანტანირების
წნევის შენარჩუნება. ფანტანირების წნევა თავის მხრივ დამოკიდებულია
შტუცერის დიამეტრზე. რაც მეტია შტუცერის დიამეტრი მით მეტია ჭა-
ბურღილის დებიტი აირის მოპოვების დროს. ხოლო ნავთობის შემთხვევაში
პირიქით. ჭის პირზე წნევის მომატება უკავშირდება სს მილში და გადამცემ
ხაზებზე, ასფალტ ფისოვანი პარაფინური ნადების და მექანიკური მი-
ნარევის წარმოქმნას..



სურ. 6.2. ტექნოლოგიური მრუდეები ფანტანური ექსპლუატაციის დროს.

d - შტუცერის დიამეტრი; 1 - P_c -სანგრევის წნევა, მპა;

2 Γ_0 - გაზის ფაქტორი, m^3/m^3 ; 3 - Q -, $m^3/დღ$;

4 - ΔP -დეპრესია, მპა; 5 - Π -სილის შემცველობა, კგ/ m^3 ;

6 - n - წყლის შემცველობა მოპოვებულ პროდუქციაში %.


(სურ. 4.5). ჭაბურღილის ოპტიმალური რეჟიმში მუშაობის დროს, წნევათა სხვაობა (დეპრესია) ფენის წნევასა და სანგრევის წნევა შორის მაღალია და ნავთობის დებიტი აღწევს მაქსიმუმს.

საბადოს ექსპლუატაციის მექანიკური მეთოდები.

საბადოს ექსპლუატაციის მექანიკურ მეთოდებს ეკუთვნის: გაზლიფტური ექსპლუატაცია და ექსპლუატაცია სიღრმული ტუმბოების გამოყენებით.

გაზლიფტური ექსპლუატაცია წარმოადგენს ფანტანური ექსპლუატაციის გაგრძელებას. როცა ფენის წნევა მცირდება იმდენად, რომ შეუძლებელია ნავთობის ამოღება. საჭიროა დამატებითი ენერგია, რისთვისაც იყენებენ მაღალი წნევის გაზს, შეკუმშული გაზის სახით. რაც იწვევს გაზის და ფენის სითხის ნარევის სიმკრივის შემცირებას. საბოლოოდ მცირდება სანგრევის ზონის წნევა, რაც უზრუნველყოფს გაზსითხური ნაკადის ამოწვევას ჭაბურღილში. ნახ.6.4. მუშა აგენტის სახით გაზლიფტური ექსპლუატაციის დროს გამოყენებულია მეთანი (CH_4), რომელიც კომპრესორის მეშვეობით მიეწოდება საექსპლუატაციო მილის სივრცეს და შეერევა სანგრევის ზონაში არსებულ ნავთობს. წარმოქმნება გაზირებული ნავთობი, რომელიც ამოდის ჭის პირზე. ჭაბურღილის გაზლიფტური ექსპლუატაცია ტარდება უწყვეტ ან პერიოდულ რეჟიმში; კომპრესორის გამოყენებით ან კომპრესორის გარეშე.

სიღრმული ტუმბოები. საბადოს ექსპლუატაცია სიღრმული ტუმბოების გამოყენებით. ითვალისწინებს ჭაბურღილის ექსპლუატაციას გარე ძალოვანი წყაროების (დამატებითი ენერჯის) გამოყენებით, მიეკუთვნება ნავთობის მოპოვების მექანიკურ მეთოდებს. რომელიც ითვალისწინებს შტანგური ტუმბოსა და ელექტროცენტრიდანული ტუმბოების გამოყენებას. შტანგური ტუმბოები. შტანგური ტუმბოების მოწყობილობა ნაჩვენებია ნახ 6.3. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა სითხის დონე სსმ-ში ძალიან დაბალია. ძირითად მექანიკურ ნაწილს წარმოადგენს დაზგა-საქანელა, (10) რომელიც იდგმება ჭის პირთან ახლოს. იგი მოძრაობს ღერძის ირგვლივ ზემოთ და ქვემოთ მასზე მიმაგრებულია ტროსი (9), რომელიც დამაგრებულია შტანგაზე. ზემოთ მოძრაობისას იღება კლაპანი (5) და ივსება ნავთობით. ქვემოთ მოძრაობისას მე-5 კლაპანი იხურება და მე-7 კლაპანით ამოდის ზემოთ. მას იყენებენ ძირითადად ნარჩენი ნავთობის ამოღების დროს. (ლიტ. 62. Коршак А.А. Шамазов А.Е. Уфа. 2005г.)



სურ. 6.3. ნავთობის მოპოვება სიღრმული შტანგიანი ტუმბოს გამოყენებით

1. პროდუქტიული ფენა; 2. ჭაბურღილის სვეტის პერფორირებული მონკვეთი;
3. გარე სვეტი; 4. ამომავალი ნავთობის სადაწნეო მილი; 5. შემნოვი სარქველი;
6. პლუნჟერი (მყინთავა); 7. მიწოდების სარქველი; 8. შტანგა (ძელაკიანი);
9. ტროსი. 10- დაზგა-საქანელა.

შტანგიანი სიღრმული ტუმბო უზრუნველყოფს სითხის ამოღებას ჭაბურღილის ფსკერიდან 99%-ით. ნავთობის მაღალი სიბლანტის დროს (100 მპა.წმ.), ასევე გოგირდწყალბადის მაღალი შემცველობის დროს. ფენის წყლის მაღალი მინერალიზაციის $M=10$ გრ/ლ.; ასევე, მაღალი ტემპერატურის პირობებში $T=130^{\circ}C$; დაზგა-საქანელა; წარმოადგენს ძირითად (ინდივიდუალურ) მოწყობილობას, რომლის აპრობირებული მოდელის მარკები მოცემულია ცხრილში 6.1.

სატუმბო-საკომპრესორო მილის (სსმ) ტექნიკური მახასიათებლები.

ცხრილი 6.1

პორობითი დიამეტრი. სმ	48	60	73	89	102	114
კედლის სისქე. სმ.	4	5	5.5	6.5	6.5	7
შიდა დიამეტრი სმ.	40	50	68	76	89	100

(ლიტ. 73. **Мановян А.К.** Технология первичной переработки нефти и природного газа .Учебное пособие для вузов.2-е изд. “Химия”, 2001-568ст)

დაზგა-საქანელას ტიპები და ტექნიკური მახასიათებლები.

ცხრილი 6.2

დაზგა საქანელას ტიპი	ნომინირებული დატვირთვა ჭის პირზე.	ჭის პირის შტოკის სიგრძე..	ბალანსირის ბრუნვის რიცხვი წმ.	ამძრავის სიმძლავრე	წონა კგ.
СКБ80-3-400	80	1.3-3	1.8-12.7	15-30	12000
СКБ8-3-4000	80	1.4-3	4.5-11.2	22-30	11900
ПФ8-3-400	80	1.6-3	4.5-11.2	22-30	11600
ОР4-2000	80	1.2-3	5-12	20- 30	11700
ОР4-2001	80	1.2-3	2-8	22-33	12060
ПНШ-60-25	80	0.9-2	1.36-8.33	7.5-18.5	8450
ПНШ-80-3-40	80	1.2-3	4.3-12	18.5-22	12400

(ლიტ. 93. Шуров В.И., М. Недра 1983г.)

6.2. ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

დღეს ყველაზე პროგრესულია და ეფექტური ის მეთოდები რაც დაკავშირებულია ხელოვნურ ინტელექტთან, და რობოტულ ტექნიკასთან. რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ წარმოების ხარჯების შემცირებას, არამედ, საბადოს ექსპლუატაციის ნებისმიერ ეტაპზე მარაგების რეალურ დონეზე შეფასებას.

რთულად ასათვისებელი საბადოებიდან ნავთობის მოპოვების ინოვაციური ტექნოლოგიები ითვალისწინებს შემდეგი ინოვაციური მეთოდების გამოყენებას: 1. თბური მეთოდები, რომელიც ეყრდნობა ნავთობის მოდინებას და გადაადგილებას ცხელი წყლის და წყლის ორთქლის გამოყენებით. 2 .პროდუქტიულ ფენაში, აირის ან ჰაერის ნაკადის ჩაიჭირხვნას,მუშა წნევის გაზრდის მიზნით. 3.ქიმიური ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ნავთობის მოდინება და გადაადგილება ნავთობიან ფენაში, მჟავებით, ტუტეებით ან პოლიმერული ხსნარებით შეყვანით. 4. ფიზიკური მეთოდები, რომლებიც, გულიცხმობს ფენის დამუშავებას მაგნიტური, ულტრაბერითი და კავიტაციური მეთოდების გამოყენებით. ასევე მოიცავს ჰორიზონტალური ჭაბურღილების ბურღვას, რომელიც ფართოდ გავრცელდა 2010-იან წლებში. ნავთობის წარმოების ეფექტურობა ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებისას არის 29%,-ია ციფრული (აღჭურვილი ადგილობრივი ავტომატიზაციით) 38 %, ხოლო საბადოებისთვის კიბერეტიკის ელემენტების გამოყენებით ეს მაჩვენებელი 47 %. აღწევს.

(ლიტ. <https://rg.ru/2023/04/24/stavka-na-intellekt.html>)

მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკამ უკვე აჩვენა ციფრული სფეროს ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა. ისინი უზრუნველყოფენ გაზისა და ნავთობის აღდგენითი მარაგების ზრდას მინიმუმ 10 პროცენტით, ჭაბურღილების მუშაობის დროის შემცირებას 50 ენტით და საოპერაციო ხარჯების შემცირებას 10-25 პროცენტით.

დიგიტალიზაცია მოითხოვს კიბერწარმოების ელემენტების უფრო აქტიურ გამოყენებას, ინდუსტრიული ინტერნეტისა და ვირტუალური რეალობის გამოყენებას ნახშირწყალბადების წარმოების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ყველა ეტაპზე.

დაბალდებიტთან ჭაბურღილებში ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციის მიზნით შემოთავაზებულია ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელშიც განხილულია, ჭაბურღილის ნავთობიანი ფენის და სანგრევისპირა ზონის დამუშავების ეფექტური ტექნოლოგიები:

1. პროდუქტიულ ფენზე ფიზიკური მეთოდებით ზემოქმედება, გულისხმობს პროდუქტიულ ფენის დამუშავებას ულტრაბგერითი და კავიტაციური ძალის ზემოქმედებით. ასევე პროდუქტიულ ფენზე მაგნიტური ველის ზეოქმედებას. რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ნავთობის მოდინების სიჩქარეს და რაოდენობას.


2. საბადოს დამუშავების რეაგენტული მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტიული ფენის დამუშავებას ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების (ზან-ების) და პოლიმერული ხსნარების გამოყენებით, ნავთობის ინტენსიფიკაციის მეთოდები ითვალისწინებს ფენის სანგრევისპირა ზონაში ფოროვანი არხების და ნაპრალების გაწმენდას, ქანის ფილტრაციული თვისებების აღდგენის მიზნით, ფენზე ზემოქმედების მეთოდები 3 ჯგუფად იყოფა: ქიმიური, მექანიკური და თბური მეთოდები.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია, ჭაბურღილის ნავთობიანი ფენის და სანგრევისპირა ზონის დამუშავების ეფექტური ტექნოლოგიები, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას: 1. პროდუქტიულ ფენზე ფიზიკური მეთოდებით ზემოქმედება, გულისხმობს პროდუქტიულ ფენის დამუშავებას ულტრაბგერითი და კავიტაციური ძალის ზემოქმედებით. ასევე პროდუქტიულ ფენზე მაგნიტური ველის ზეოქმედებას. რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ნავთობის მოდინების სიჩქარეს და რაოდენობას. 2. საბადოს დამუშავების რეაგენტული მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტიული ფენის დამუშავებას

ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების(ზან-ების) და პოლიმერული ხსნარების გამოყენებით, ნავთობის ინტენსიფიკაციის მეთოდები ითვალს-წინებს ფენის სანგრევისპირა ზონაში ფოროვანი არხების და ნაპრალების გაწმენდას, ქანის ფილტრაციული თვისებების აღდგენის მიზნით.

6.3. საბადოს ულტრაბგერითი და კავიტაციური დამუშავება.

ნავთობსარეწაო მრეწველობის მთავარ ამოცანა სწავთობის და გაზის მაქსიმალური ამოღების ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმების შემუშავება წამოადგენს. აპრობირებული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს არსებული მარაგების მხოლოდ 25-50%-ით ათვისებას. საერთაშორისო კორპორაციის, კერძოდ ნავთობკომპანია «Гидросервис-2000»-მეორ შემუშავებული იქნა ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელიც ითვალისწინებს ჰიდროდინამიური კავიტაციური რეჟიმების გამოყენებას. მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული და როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ჭაბურღილის დებიტის შემცირება, დაკავშირებული იყო კოლმიტაციის პროდუქტების წარმოქმნასთან.



სურ. 6.4. კავიტაციური გენერატორის გამოყენება ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციის მიზნით

ფენის ფორების მთლიანად ან ნაწილობრივ გაჭეკვას სხვადასხვა მექანიკური მინარეგებით, ასფალტფისოვანი პარაფინური ნადებით და მინერალური მარილებით კოლმატაცია ეწოდება. კოლმატაციის შედეგად მუშა ჭაბურღილის დებიტი მცირდება. რაც იწვევს მილიონობით ტონა პროდუქტის აუთვისებლობას. პრობლემის ნავთობ კომპანიების მიერ შემუშავებული

იქნა ნავთობიანი ფენის დამუშავების ისეთი მეთოდები როგორცაა: ჭაბურღილის რეაგენტული; აკუსტიკური; ქიმიურ-იმპულსური და პლაზმურ-იმპულსური დამუშავება.

ულტრაბგერითი დამუშავების შემდეგ სითხის სიბლანტე და ზედაპირული დაჭიმულობა მცირდება. ხოლო სითბოს მიმოცვლის სიჩქარე მატულობს. ულტრაბგერითი დამუშავება ასევე ზრდის დიფუზიის პროცესის სიჩქარეს.


ასევე დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული ულტრაბგერითი, ელექტრო იმპულსური რკალური შედუღების მეთოდი, რომელიც უკავშირდება მაღალი სიხშირის იმპულსური დენის 50-დან -200 კჰერცამდე, ზემოქმედებას და იწვევს სანგრევისპირა ზონიდან კოლმატაციის პროდუქტების 100%-ით ლიქვიდაციას.

მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში. ჭაბურღილში პროდუქციული ჰორიზონტის სიღრმე ზე შეჰყავთ კავიტაციური გენერატორი,(სურ. 2.8.) რომლის მეშვეობით ხორციელდება პროდუქტიულ ფენაზე დინამიური წნევის სიდიდის რეგულირება.წნევის იმპულსური ცვალებადობის სიდიდე იცვლება არა სწორხაზობრივად, არამედ იმპულსური დარტყმებით. იმპულსების ხანგრძლივობა შეადგენს 2-3 მიკროწამს; ხოლო სიხშირე 700-12000 ჰერცს. იმპულსების გავრცელების ზონა აღწევს 50 მეტრს.რაც განაპირობებს ფენის ლოკალურ ჰიდროგახლეჩას. წნევის იმპულსური ცვალებადობის ზემოქმედების შედეგად ფენში წარმოიქმნება ახალი ნაპრალები, ხოლო ფილტრადიციული არხები თავისუფლდება მექანიკური მინარევებისაგან, კოლოიდური ნაწილაკებისაგან, მარილებისაგან, რაც იწვევს ფენის შეღწევადობის აღდგენას. უმჯობესდება ფლუიდების მოდინება და მცირდება სანგრევისპირა ზონის გაწყლიანება. კავიტაციურ რეჟიმის უზრუნველყოფა ხდება მაღალი წნევის ჰიდროდინამიური დანადგარის მეშვეობით. იგი მუშაობს ფენის სითხის ბაზაზე, რომელსაც ემატება ნახშირწყალბადოვანი დანამატები პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. კავიტაციის რეჟიმში ხასიათდება რიგი უპირატესობით ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. კერძოდ:-ჰიდროდინამიური კავიტაციის რეჟიმის დროს ფენის წნევის სიდიდე 2.5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სტატიკური ჰიდრო გარღვევისას. ჭაბურღილის დამუშავების ხანგრძლივობა შეადგენს 6 სთ-ს. – ჭაბურღლის სიღრმე აღწევს 4000 მეტრს; საიმედო და იაფი ტექნოლოგიური მოწყობილობა. ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 24 თვე.

6.4. პროდუქტიული ფენის CO₂ ით დამუშავების შედეგები

ნავთობგაცემის ამაღლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ხერხად ითვლება ფენში ნახშირბადის დიოქსიდის ჩაჭირვება. საბადოს ნავთობგაცემის კოეფიციენტის ამაღლების მიზნით.

ნავთობის და გაზის მოპოვების დროს მიზანშეწონილია საწყისი ფენის წნევის სიდიდის შენარჩუნება. ფენის წნევის გაზრდის მიზნით ახდენენ ფენში გაზის ჩაჭირვებას: ეს მეთოდი ეფექტურად გამოიყენება როგორც დაბალი ასევე მაღალი სიმკვრივის ნავთობის მოპოვების დროს. ნახშირორჟანგი ნავთობში უფრო კარგად იხსნება, ვიდრე წყალში (4-6 ჯერ უკეთ).



სურ. 6.5. გაზის ხსნადობის იზოთერმები ნავთობში სხვადასხვა წნევის და T=50°C -ის დროს.

როგორც გრაფიკიდან ჩანს ყველაზე მაღალი გაზის ხსნადობის კოეფიციენტი; გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობა გაზი გაიხსნა ერთეულ მოცულობა სითხეში. მოცემულ წნევაზე და ტემპერატურაზე. წნევის გაზრდით გაზის ხსნადობა მატულობს, ხოლო ტემპერატურის მომატებით გაზის ხსნადობა მცირდება. იმ წნევას როცა გაზი მთლიანად იხსნება სითხეში (ე.ი. გადადის თხევად მდგომარეობაში) გაჯერების წნევა ეწოდება. თუ ფენის წნევა ნაკლებია გაჯერების წნევაზე ეს ნიშნავს, რომ ნაწილი გაზისა დარჩენილია თავისუფალ მდგომარეობაში და იმყოფება გაზის ქუდის მდგომარეობაში. თუ ფენის წნევა მეტია გაჯერების წნევაზე, ამბობენ, რომ გაზი მთლიანად

არის გახსნილი ნავთობში. CO₂-ის ნავთობში გახსნისას, ნავთობის სიმკვრივე მცირდება, ხოლო მოცულობა იზრდება 1.5-1.7-ჯერ. (ლიტ. 9. მამულაიშვილი ნ. ხითარიშვილი თ. „ნავთობის და გაზის პროდუქციულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები“. მონოგრაფია, თბილისი, უნივერსალი 2022 წ.)

ნავთობის მოცულობის ზრდა, ასევე ნავთობის სიმკვრივის შემცირება და წყლის სიმკვრივის ზრდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განაპირობებს აღნიშნული მეთოდის გამოყენების ეფექტურობას ნავთობ-სარეწაო ტექნოლოგიაში.

როგორც ცხრილიდან ჩანს CO₂- ნაკადი მნიშვნელოვნად ამცირებს ნავთობის საწყის სიბლანტეს ფენის პირობებში.

ჩასაჭირხნი გაზი ყოველთვის შეიცავს ტენს, როგორც თხევად ასევე ორთქლის ფაზაში. გაზის ტენსიმცველობა მნიშვნელოვანი საკითხია და განაპირობებს გაზის მოპოვების, შეგროვების და მომზადების ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობას, ტენის მოცილების მიზნით აუცილებელია მისი გამოშრობა.

ნავთობის დინამური სიბლანტის ცვლილების კვლევის შედეგები ფენის პირობებში CO₂-ის ნაკადის ზემოქმედების დროს.

ცხრილი 6.3

ნავთობის ჭაბურღილი	წნევა მ.პა	ტემპერა ტურა °C	CO ₂ -ის კონცენ. %	სიბლანტე მ.პა/წმ.
ნავთობი CO ₂ -ის გარეშე	0,1	25.7	0	330.9
ნავთობი CO ₂ -ის შეყვანის შემდეგ	12.9	25.7	20 40	76.9 35.2
ნავთობი CO ₂ -ის გარეშე	0.1	46	0 0	218
ნავთობი CO ₂ -ის შეყვანის შემდეგ	15.9	46	20 40	55.6 12.4

6.5. პროდუქტიული ფენის დამუშავების რეაგენტული მეთოდები

საბადოს დამუშავების რეაგენტული მეთოდები გულისხმობს ნავთობიანი ფენის დამუშავების მეთოდების შერჩევას და კომპლექსური სამუშაოების ჩატარებას, რომელიც მიმართული იქნება ქანის კოლექტორის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესების მიმართ, როგორცაა: ფორიანობა, შეღწევადობა და ნაპრალოვნება. ნავთობგაცემა უშუალოდ არის დაკავშირებული ფლუიდების და ქანის კოლექტორულ თვისებებზე ასევე ნარჩენი ნავთობის ქიმიურ შედგენილობაზე.

პროდუქტიული ფენის მჟავური დამუშავება, როგორც კარბონატული ასევე ტერიგენური ქანების შემთხვევაში. უზრუნველყოფს სამთო ქანების გახსნას და გადაჰყავს ის ხსნად ფაზაში. კერძოდ,

1. კარბონატული ქანებისათვის საბაზისო ხსნარების სახით გამოიყენება: HCl და HF, მმარმჟავა და ჭიანჭველმჟავას ხსნარები. კირქვის და დოლომიტის დამუშავების დროს მარილმჟავას ხსნარით მიიღება:




კალციუმის და მაგნიუმის ხსნადი მარილები.





სურ. 6.6. ტერიგენური ქანის მჟავური დამუშავება.

2. ტერიგენური ქანებისათვის: ალევრიტების, ქვიშის

მჟავური დამუშავება გულისხმობს მარილმჟავას და ფტორ მჟავას ხსნარის, (HF + HCl-ის ნარევის) გამოყენებას ქვიშა თიხის ნარევის დაშლისათვის






ტერიგენური ქაზნებისათვის საბაზისო მონაცემები ითვალისწინებს შემდეგი რეცეპტურის გამოყენებას:

6.5.1. ფენის დამუშავება ტუტე და ქაფწარმომქნელი ხსნარებით

მჟავური დამუშავების შემდეგ ქანის კოლექტორების გამორეცხვის მიზნით ახდენენ სანგრევის ზონის გაწმენდას, ქიმიური რეაგენტების შეყვანით.

აღნიშნული ტექნოლოგია გამოიყენება მჟავური დამუშავების შემდეგ, ჭაბურღილის ამორეცხვის და ასფალტვისოვანი ნადების წარმოქმნის ინჰიბირების მიზნით. ასევე ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციის მიზნით. მისი განხორციელებისათვის ჭაბურღილს მიეწოდება კომპოზიციური ხსნარები როგორცაა: 1. მჟავა-ზან-ის კომპოზიციური ხსნარი და 2. ქაფ-მარილოვანი წყალხსნარი, რომლებიც წარმოიქმნის ჭაბურღილში აზოტის გაზს და მიიღება ქაფგაზიანი სითხე (1კგ. ხსნარიდან მიიღება 250 ლიტრი გაზი) რეაქცია ეგზოთერმულია და გამოიყოფა დიდი რაოდენობით სითბო. დაახლოებით 4300 კჯ/კგ. დეპრესირებული ჭაბურღილის სივრციდან და სატუმბო-საკომპრესორო მილიდან (პოზ. 1).



სურ. 6.7. გაზქაფიანი ნარევის გამოყენება ნავთობის მოდინების მიზნით.

პოზ. 1. ჭაბურღილი საჭიროებს დამუშავებას.

პოზ. 2. კომპოზიციური ხსნარების ერთროული ჩაჭირბვნა.


პოზ. 3. ქაფგაზიანი სითხის წარმოქმნა და გადმოსვლა მილგარე

პოზ. 4. ჭაბურღილში წნევათა სხვაობის, დეპრესიის შექმნა და ნავთობის მოდინება.

6.5.2. ფენის დამუშავება ზან-ის და პოლიმერული ხსნარებით

სამთო ქანების მოლეკულური ბუნებიდან გამომდინე ,ქანის ზედაპირი ერთროულად შესაძლებელია იყოს ჰიდროფილური და ჰიდროფობურიც. ამ შემთხვევაში ქანის ზედაპირი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას, მოდინების პროცესების რეგულირების და ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

ჰიდროფილური ქანის შემთხვევაში, წყალი ქანის ზედაპირზე წარმოქმნის ჰიდრატულ ადსორბციულ აფსკს. ხოლო ნავთობს, რომელიც იმყოფება ფოროვანი სივრცის სიღრმეში არ შესწევს გადაადგილების უნარი. ამისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს წყალში ხსნადი ზან-ის წყალხსნარები, როგორცაა: ანიონაქტიური ზანისწყალხსნარები ,კერძოდ ალკილსულფატები - ანუ მაღალმოლეკულური სპირტების გოგირდმჟავა ნაერთები. **ზან-ის მოლეკულა შედგება** ნახშირწყალბადოვანი ჯაჭვისაგან, რომლის თავი არის პოლარული ნაწილი (ჰიდროფილური), ხოლომეორეხლო არაპოლარული და ხასიათდებაჰიდროფობური თვისებებით. იხ. ნახ.3.9..




სურ. 6.8. ზანების (ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების) მოლეკულის სტრუქტურული შედგენილობა. (a)-- არაიონოგენური, (b) ანიონური; (c) კატიონური; (d) ამფოტერული ზანები.

წყლის გადაადგილებას ქანის სიღრმეში განაპირობებს კაპილარული წნევა. კაპილარული წნევის სიდიდის შემცირება შესაძლებელია ფაზათა შორის (ნავთობი/წყალი) გამყოფ ზედაპირზე ზედაპირული დაჭიმულობის შემცირებით. შერჩეული ზანის წყალხსნარების ბაზაზე შესაძლებელია ამ

პროცესების რეგულირება. ამ დროს ეფექტურია ნავთობში ხსნადი არაიონოგენური ზანების გამოყენება. რადგან მათ უნარი აქვთ შეამცირონ არა მარტო ზედაპირული დაჭიმულობა არამედ მოახდინონ ქანის ჰიდროფილირება და ხელი შეუწყონ ქანის ნავთობით დასველებას. ნავთობშედლწევადობა ამ დროს იზრდება 2-ჯერ. ვიდრე ზანის ხსნარის გარეშე. ასფალტფისოვანი ნაერთები, რომლებიც ადსორბირდებიან ფაზათა შორის გამყოფ ზედაპირზე, გავლენას ახდენენ ზედაპირის ჰიდროფობირებაზე. პროცესის მიმდინარეობა უკავშირდება ქანის ზედაპირზე წყლის არხების დაბლოკვას და წყლის შედლწევადობის შემცირებას. ამასთან შესაძლებელია ქანის ფორების გაჭეკვა. ამ დროს მიზანშეწონილია სანგრევის ზონის დამუშავება წყალში ხსნადი ზან-ებით. რაც იწვევს ქანის ზედაპირის ჰიდროფილურობას და დასველების პროცესების გაუმჯობესებას.

კომპოზიციური ხსნარი დამზადებულია: მარილოვანი წყალ-სპირტის და ზან-ის ხსნარის კომპოზიტის ბაზაზე. მისი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები მოცემულია ცხრილში 5.1. ასევე სანგრევის ზონის მჟავის ხსნარით დამუშავების დროს ადგილი აქვს კოროზიას. მისი თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია სანგრევის ზონის დამუშავება კათიონაქტიური ზანების გამოყენებით. როგორცაა კატაპინ A.




სურ. 6.9. კატაპინ A.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფენის წყალს უფრო მეტია ქვს ნავთობ გამოდევნის უნარი, ვიდრე ზედაპირულ წყლებს. სითხეების და მათ შორის ფენის წყლის დასველების უნარი ფენის ზონებში შესაძლებელია დანამატების გამოყენებით, რომელიც ცნობილია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით, "ზან"-ების გამოყენებით. ზანების წყალში შეყვანისას იზრდება წყლით დასველების თვისებები. მცირდება წყლის ზედაპირული დაჭიმულობა ნავთობის სასაზღვრო ზედაპირზე და იზრდება ნავთობის გამოდევნის კოეფიციენტი.

არაიონოგენური ზანების აქტივობის მატარებელია წყალში არადისოცირებული ნეიტრალური მოლეკულები. მათი სინთეზი ხდება ეთილენის დაჟანგვით სპირტებთან; თიოლებთან, ამინებთან და ალკილფენოლებთან,

რის შედეგადაც მიიღება: ოქსიეთილირებული ცხიმოვანი სპირტები, მჟავები; ამინები; და თიოლები.[7]



სურ. 6.10. ზედაპირული დაჭიმულობის იზოთერმები არაინოგენური "ზან-ის წყალხსნარებისათვის. ფაზათა შორის გამყოფ ზედაპირზე.
1 – OII-10; 2 – OII-20; 3 – OII-45; 4 – OII-7; 5 – KAYΦ14.


როგორც გრაფიკიდან (ნახ. 5.16.) ჩანს, ზანის ხსნარის კონცენტრაციის გაზრდით ხსნარის ზედაპირული დაჭიმულობა თავდაპირველად 4-ჯერ მცირდება, კონცენტრაციის შემდგომი ზრდა არ იწვევს ცვლილებას და რჩება უცვლელი.[37]

საბადოს დამუშავება პოლიმერული ხსნარების გამოყენებით.

პოლიმერული ხსნარები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნავთობ-გაცემაზე და განსაზღვრავს მის ეფექტურობას. სამრეწველო პოლიმერები ძირითადად 2 სახისაა. სინთეზური პოლიაკრილამიდები და ბუნებრივი ბიოპოლიმერები. როგორცაა ემულსანები, რიტინი, ქსანტანი და სხვა. ფენის წყალზე პოლიმერის ხსნარის დამატებისას მისი ფილტრაციის სიჩქარე წყალთან შედარებით კლებულობს (ნახ. 2.), რაც იმით აიხსნება, რომ პოლიმერის დამატებისას წყლის სიბლანტე იზრდება და მისი გადაადგილების სიჩქარე ფენში მცირდება. როგორც ცნობილია, წყლის სიმკვრივე მეტია ნავთობის სიმკვრივეზე. ხოლო სიბლანტე ნაკლებია ნავთობის სიბლანტეზე. იმისათვის რომ გავზარდოთ წყლის სიბლანტე, ამისათვის წყალს უმატებენ მაღალმოლეკულურ პოლიმერებს, რომელსაც უნარი აქვთ შეამცირონ წყლის

გადაადგილების უნარი დაშესაბამისად გაზარდონ ნავთობგადაცემა. იმისათვის რომ გაზარდოთ წყლის სიბლანტე, ამისათვის წყალს უმატებენ მაღალმოლეკულურ პოლიმერებს, რომელსაც უნარი აქვთშეამცირონ წყლის გადაადგილების უნარი და შესაბამისად გაზარდონ ნავთობგადაცემა. წყლის სიბლანტის გაზრდის მიზნით დანამატების სახით გამოიყენება: ჰიდროლიზური პოლიაკრილამიდი, ასევე ფისები და ბიოპოლიმერები,

მირითადი პარამეტრი, რომელიც გავლენას ახდენს ნავთობგაცემაზე, ფენის პოლიმერული დამუშავების დროს არის პოლიმერული ხსნარის სიბლანტე. ჩატარებული ცდების საფუძველზე დადგინდა, რომ პოლიაკრილამიდის ხსნარის კონცენტრაციის გაზრდით, მისი სიბლანტე იზრდება (სურ.5.9.).



სურ. 6.11. ფენის ფილტრაციის სიჩქარის ცვლილება ფენის მოდელის პოლიმერული ხსნარით დამუშავების დროს. [36]

1. ფენის წყლის დროს; 2. დამატებული პოლიმერის დროს.

პოლიმერის ხსნარი, რომლის კონცენტრაცია იცვლება 0,05-0,7%-ით, წყლის სიბლანტეს ზრდის 10-20-ჯერ. რაც იწვევს წყლის ნაკადი ბლოკირებას დანავთობის დებეტის გაზრდას 12-13%-ით. ჩატარებული ცდების საფუძველზე დადგინდა, რომ საბადოების უმრავლესობა სადაც გამოყენებული იყო პოლიმერული ხსნარები, ნავთობგაცემის გაზრდის ეფექტურობა მიღწეული უქნა პოლიმერული ხსნარის სიბლანტის გაზრდით. ბუნებრივი პოლიმერები, რომელიც დამზადებულია მიკროორგანიზმების ბაზაზე, ხასიათდება უკეთესი თვისებებით, ვიდრე პოლიაკრილური პოლიმერები. ისინი მდგრადია დაშლის მიმართ, წყალში ადვილად იხსნება

(ასევე მარილიან წყალშიც) და ეკონომიურადაც იაფია. პოლიმერების გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შემდეგ ფაქტორებზე: რაც უფრო მეტია პოლიმერის მოლეკულური წონა და კონცენტრაცია ხსნარებში, მით მეტია პოლიმერის ხსნარის სტაბილურობა. რაც უფრო მაღალია ფენის წყლის მინერალიზაცია, მით მეტი პოლიმერია საჭირო პოლიმერული ხსნარის მოსამზადებლად.

პოლიმერული ხსნარის მომზადებისათვის სიბლანტით 30 მკა.წმ წყლის მარილიანობის შემცველობით 800 კკმ, საჭირო პოლიმერის რაოდენობა შეადგენს 887 მგ/ლიტრზე, ხოლო $C = 20000$ კკმ-ის დროს, საჭირო გახდა 2310 მგ/ლ. რაც 3-ჯერ აღემატება საწყისს მონაცემებს.

ზედაპირული დაჭიმულობის შემცირება ასევე შესაძლებელია აპრობირებული მეთოდების ჩართვით. მილგარე სივრციდან ნახშირორჟანგის ჩაჭირხვნით, რაც იწვევს ნავთობის ნაკადის სიბლანტის შემცირებას და ხელს უწყობს ნავთობის გამოდევნას.

საბადო "მარმულ" რომელიც, ომანში მდებარეობს მოპოვებულია საბადოს მარაგის მხოლოდ 15 %. ნავთობის დებიტის გაზრდის მიზნით ნავთობკომპანია **"PDO"** -ს მიერ შემუშავებული იქნა გაწყლიანების სისტემა. მაგრამ ნავთობის სიბლანტე იმდენად მაღალი იყო, რომ არ მოხერხდა. ფენის წყლით მისი გამოძევება კოლექტორებიდან.

თვდაპირველად წყალს აცლიან მინარევებს და შემდეგ მასში შეჰყავთ პოლიაკრილამიდი. პოლიმერიანი ხსნარის ჩაჭირხვნით კოლექტორებში მაღალი წნევის პირობებში, რაოდენობით 100000 ბარელი დღელამეში მიღწეული იქნა დადებითი შედეგები. დებიტი გაიზარდა 8000 ბარელით დღე-ღამეში.

ანალოგიური სამუშაოები იქნა ჩატარებული ზან-იანი ხსნარების გამოყენების დროს. მათი გამოყენებისას მცირდება ზედაპირული დაჭიმულობა წყალ-ნავთობიანი კონტაქტის ზედაპირზე და იზრდება ნავთობგაცემა, ნავთობ -კომპანია „Shell” ი მიერ შემოთავაზებული იქნა, კომპოზიციური ნარევი. (ზან-ის და ტუტის ხსნარის) აპრობირებული იქნა ახალი პოლიმერული ხსნარი რომლის სიმკვრივე შეადგენდა 1500-2000 კკმ, ხოლო სიბლანტე 400-5000 მკა.წმ. შესაძლებელი გახდა იგივე სიბლანტის მქონე (400-500 მკა.წმ) ნავთობის ამოღება

6.6. სირთულეები ნავთობის მოპოვების დროს და მათი ლიკვიდაცია.

განხილულია, საქართველოში ნავთობის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი ლიკვიდაციის თანამედროვე მეთოდები. განხილულია, საქართველოში ძველი საბადოების დამუშავების და კვლევის ინოვაციური ტექნოლოგიები საბადოს დებიტის და ნავთობგაცემის ამალღების მიზნით. მონოგრაფიაში განხილულია ავტორის და მკვლევართა ჯგუფის მიერ შემუშავებული არა ერთი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან აღსანიშნავია სამეცნიერო ნაშრომი: საექსპლუატაციო მილში „ასევე სატუმბო-საკომპრესოპრო მილში წარმოქმნილი ასფალტფისოვანი პარაფინური ნადების გახსნა, საკვლევი ნანო-ტექნოლოგიური სითხის გამოყენებით.

საქართველოში ჭაბურღილების უმრავლესობა მუშაობს მოპოვების ტემპის შემცირებით, კოლექტორული თვისებების გაუარესებით, რაც აიხსნება ნავთობის შემადგენლობაში მყოფი მძიმე კომპონენტების: ფისების, ასფალტენების და პარაფინების წარმოქმნით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ასეთი ჭაბურღილების ამოქმედება, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნას ტექნოლოგიური სითხეების გამოყენებით.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსგავსი ტექნოლოგიური სითხეების გამოყენება 25-30%-ით ზრდის რეანიმაციაში მყოფი ჭაბურღილის მწარმოებლურობას. უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონალური დანიშნულების ტექნოლოგიური სითხეების დამზადება საქართველოში არ ხდება და ძირითადად ექსპლუატაციაში დომინირებს იმპორტული წარმოების ტექნოლოგიური სითხეები. ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიური ინტერესებიდან გამომდინარე მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალები ითვალისწინებს ფუნქციონალური დანიშნულების ტექნოლოგიური სითხეების გამოყენებას, რაც პერსპექტივაში უზრუნველყოფს რეპრესირებული ჭაბურღილების ამოქმედებას და დებიტის გაზრდას.

6.6.1. მილსადენში წარმოქმნილი მარილოვანი ნადები

ჭაბურღილის სატუმბო-საკომპრესორე მილში (სს მილი), რომელიც მიეკუთვნება მიწისქვეშა მოწყობილობას, შეიმჩნევა ზოგიერთ საბადოზე მარილოვანი ნალექების წარმოქმნა. მარილოვანი წარმონაქმნის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს გიფსი. ფენში წყლის ნაკადის მიწოდებისას იგი

ერევა ფენში არსებულ ფენის წყალს, რეცხავს მასში არსებულ მინერალურ მარილებს და ილექება სანგრევის პირა ზონაში. ამ დროს ადგილი აქვს ქიმიურ შეუთავსებულობას, რომლის შედეგად ხსნარში არსებული მარილები გამოიყოფა ნალექის სახით.

ნალექის სტრუქტურა და შედგენილობა სხვადასხვა საბადოსათვის სხვადასხვანაირია, ამიტომ მასთან ბრძოლის მეთოდებიც განსხვავებულია და ინდივიდუალური. ძირითადი მეთოდი მარილოვანი წარმონაქმნების წინააღმდეგ არის ქიმიური ექსტრაგენტები ანუ გამხსნელები. გარდა აღნიშნულისა მარილოვანი წარმონაქმნის ლიკვიდაციისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის ქიმიურ იზიბიტორებს, ანუ ქიმიურ დანამატებს, რომლებიც მიღებულია ფოსფორორგანული ნაერთების ბაზაზე.



სურ. 6.12. სატუმბო-საკომპრესორო მილსადენში წარმოქმნილი მარილოვანი ნადები

ინჰიბიტორები შეჰყავთ ნავთობის ნაკადში დოზების დაცვით, კერძოდ 1მ^3 ფენოვან სითხეს ჭირდება რამდენიმე გრამი ინჰიბიტორი. ინჰიბიტორისმოქმედების მექანიზმი გულისხმობს კალციუმის იონების ბლოკირებას ხსნარში, რათა მან არ წარმოქმნას ნალექი წარმოქმნილი ნალექები ხშირ შემთხვევაში ლიკვიდირებული უნდა იქნას კაუსტიკური სოდის და ტუტოვანი ხსნარების გამოყენებით. ამ დროს წარმოიქმნება კალციუმის ჰიდროქსიდი, რომელიც ადვილად იშლება მარილმჟავას ზემოქმედებით. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს მარილოვანი ნალექების ინჰიბირებას ფენის პირობებში. მინერალური ნადების წარმოქმნა ხდება სატუმბო-საკომპრესორო და გადაამცემ მილებში. ასევე მილსადენებში, ნავთობის ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს. მინერალური ნივთიე-

რებები გვხდება გიფსის ($\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$), და თაბაშირის (CaSO_4), სახით. აგრეთვე კირქვის სახით (CaCO_3). ნატრიუმის ქლორიდის სახით ნადების წარმოქმნა დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: ფენის წყლის მინერალიზაციასთან. სულფატური წყლების გამოყენებასთან, ქიმიური რეაგენტების გამოყენებასთან და სხვადასხვა ჰორიზონტის წყლების შერევასთან. მინერალური ნალექის ლიკვიდაციის მიზნით მენავთობების მიერ შემოთავაზებული იქნა ნალექის წარმოქმნის საწინააღმდეგო ინჰიბიტორების გამოყენება. ნალექის წარმოქმნის საწინააღმდეგო მექანიზმის გამოყენების მიხედვით ინჰიბიტორები იყოფა შემდეგ რეაგენტებად:

1. ზღვრული მოქმედების საწინააღმდეგო რეაგენტები;
2. ხელატების წარმოქმნის საწინააღმდეგო რეაგენტები;
3. კომპლექსწარმოქმნის საწინააღმდეგო რეაგენტები;

ზღვრული მოქმედების რეაგენტების ზემოქმედების მექანიზმი გულისხმობს წარმოქმნილი კრისტალის ზედაპირის ჰიდროფილიზაციას. რაც ხელს უშლის კრისტალის შემდგომ ზრდას. ასევე წვრილი კრისტალების ერთმანეთთან მიწებებას და მათ ასოცირებას.

ხელატებისა და კომპლექსწარმოქმნილი ინჰიბიტორების გამოყენების - შემთხვევაში ინჰიბიტორებს უნარი აქვთ შეიერთონ კალციუმის, ბარიუმის და რკინის კათიონები. ასევე არ დაუშვან ამ იონების შეერთება სულფატების და კარბონატების იონებთან . რათა ხელი შეუშალონ CaSO_4 და CaCO_3 -ს ნალექის წარმოქმნას.


ხელატები შეიცავს ცენტრალურ კომპლექსწარმოქმნელ მეტალის იონს, რომლის ირგვლივ კოორდინირებულია ლიგანდური ნაერთები. მაგ. ეთილენდიამინტეტრამარმჟავა. მინერალური ნალექის წარმოქმნის ერთ-ერთი ეფექტურ ინჰიბიტორს რეაგენტი, **ანტისკალანტები**, მარკით „**Vitec 3000-5000**“, წარმოადგენს. ინჰიბიტორი ხელს უშლის ნალექის გამოყოფას წყახსნარიდან.

6.6.2. პარაფინის წარმოქმნის პირობები და ინჰიბირების მეთოდები..

ჭაბურღილის ექსპლუატაციის ხანგრძლივობასთან ერთად ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრები, ტემპერატურა და წნევა, იცვლება და იწვევს ნავთობიანი ფენის ფაზური წონასწორობის ცვლილებას. ამ დროს თერმოდინამიკურ წონასწორობაში მყოფი ნავთობი განიცდის რღვევას, რის შედეგადაც გამოიყოფა გაზები, ასევე საცხისი კონსისტენციის მქონე ნივ-

თიერებები, როგორცაა: პარაფინი, ფისები და ასფალტენები. ნავთობის ნახშირწყალბადოვანი სტრუქტურიდან გამომდინარე პარაფინის წვრილი ნაწილაკები ეწეება ერთმანეთს და ფისებისა და ასფალტენების თანაობისას წარმოქმნის სსმ-ის კედლებზე მკვრივ პლასტიკური კონსისტენციის მქონე ნადებს, რაც იწვევს მილის დიამეტრის შემცირებას და ხელს უშლის ნავთობის ნაკადის მოძრაობას მილში. იმ ტემპერატურას, რომელზედაც წარმოიშობა პარაფინის მყარი ნაწილაკები, **კრისტალიზაციის** ტემპერატურა ეწოდება. კრისტალიზაციის ტემპერატურის მნიშვნელობა მერყეობს $T=15-35^{\circ}\text{C}$ -ის დიაპაზონში და ნავთობის სახეობიდან გამომდინარე იცვლება. იმ ტემპერატურას, რომელზედაც პარაფინი დნება, **დნობის** ტემპერატურა ეწოდება. პარაფინის დნობის ტემპერატურა შეადგენს $T=27-77^{\circ}\text{C}$, ხოლო ცერეზინების შემთხვევაში დნობის ტემპერატურა იცვლება $T=65-88^{\circ}\text{C}$ -ის დიაპაზონში.

პარაფინის ნადების სისქე სატუმბ საექსპლუატაციო მილის (სსმ-)ის შიგნით კედლებზე იზრდება სანგრევის ზოლიდან ჭის პირამდე. ზოგიერთ სარეწაო უბანზე ნადების წარმოქმნა აღინიშნება ჭის პირიდან 300-400 მ-ზე, ნადების სისქე ხშირ შემთხვევაში ტოლი არის 50 მმ-ის.



სურ. 6.14. პარაფინური ნადების სისქის განაწილება გაზის მილსადენში კვეთის დიამეტრი ($d=530$ მმ).

გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძზე აღნიშნულია მილის კვეთის ფიქსირებული წერტილები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე გამოყოფილი პარაფინის რაოდენობა. რომელიც იცვლება 3-დან 28მმ-მდე.

პარაფინური ნადების სისქის განსაზღვრა მაგისტრალურ მილსადენში შესაძლებელი გახდა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. პატენტი

№ 22576510. რომელიც ითვალისწინებს ნავთობის და გაზის მილსადენში წარმოქმნილი პარაფინის ნადების სისქის განსაზღვრას გამზომი ხელსაწყო "Epoch-III" მეშვეობით. პარაფინის ნადების სისქის გაზომვის მიზნით მილსადენზე მიჰყავთ აკუსტიკური ენერჯია და აკვირდებიან რხევების ცვლილებას, როგორც პარაფინიან ასევე უპარაფინო მილსადენის შემთხვევაში. მიღებულ მონაცემებს ადარებენ და ადგენენ პარაფინის რაოდენობას მილის კვეთის სხვადასხვა წერტილში. [38].

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები პარაფინის წარმოქმნის საწინაარმდეგო ღონისძიებების, ქიმიური რეაგენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მეთოდი ემყარება მილის ზედაპირის ჰიდროფილიზაციას, რის შედეგადაც წარმოიქმნება თხელი დამცველი ფენა რაც ხელს უშლის პარაფინის კრისტალების ზრდას და ნადების წარმოქმნას მილში. ქიმიური რეაგენტების სახით გამოიყენება, როგორც წყალში ხსნადი ასევე ნავთობში ხსნადი ზანები. წყალში ხსნადი ზანები ხელს უწყობს მილის ზედაპირის დასველებას. ისეთი ზანი როგორცაა კატაპინ A მკვეთრად ზრდის ზედაპირის ჰიდროფილურობას და ამცირებს პარაფინის წარმოქმნის ინტენსივობას. მაგრამ რეაგენტების სიძვირის გამო მათი ფართო გამოყენება სარეწაო პრაქტიკაში შეზღუდულია.

თბური მეთოდები. პარაფინის მოშორების მიზნით, თბური მეთოდების შერჩევის დროს იყენებენ პარაგენერატორულ დანადგარებს. ოთქლის ხარჯი ამ დროს შეადგენს 1ტ/სთ-ში. $T = 310^{\circ}\text{C}$. თბური აგენტები გამოიყენება, როგორც ფანტანურ მილებზე, ასევე მანიფოლდის და გადამცემ ხაზებზე. საქაჩი ტუმბოს აგრეგატის სახით გამოიყენება: 1AДП-4-150; ცხელი ნავთობის ნაკადის ხარჯი ამ დროს შეადგენს 4 დმ³/წმ-ში. მიწოდების შემთხვევაში $T = 150^{\circ}\text{C}$. $P = 20$ მპა;


პარაფინის გათხევადების მეთოდები. ნავთობმრეწველობაში ნავთობის მოპოვების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი ჭაბურღილში ჩაშვებული სატუმბ-საკომპრესორო მილების (სსმ) კედლებზე პარაფინის დალექვაა, რაც დროთა განმავლობაში ამცირებს ნავთობის მოპოვებას და საბოლოოდ მთლიანად ბინდავს მილშიგა სივრცეს. ამ პრობლემასთან ბრძოლის რამდენიმე მეთოდი არსებობს:

1. მექანიკური დამუშავება, როდესაც სპეციალური ხელსაწყო (საფხეკის) მილებში ჩაშვებით ხდება მისი შიგთავსის გაწმენდა.

2. ქიმიური დამუშავება, რომელიც გულისხმობს ჭაბურღილში ქიმიური რეაგენტების ჩაჭირხვნას, ნავთობის მოდინების მიზნით; 3. ფენის და სს

მიღების ცხელი ნავთობით დამუშავება, რომლის დროსაც ხდება ჭაბურღილის ამორეცხვა გაცხელებული ნავთობით მიღებზე დალექილი პარაფინის მოსაცილებლად და ცხელი ნავთობის ფენში ჩატუმბვა; 4.წყლის ორთქლის გამოყენება სპეციალური ორთქლის წარმომქმნელი მანქანით;5.პარაფინის მოცილება სპეციალური ელექტროგამაცხელებელი კაბელების გამოყენებით რაც ითვალისწინებს კაბელის მიმაგრებას სს მიღებზე და ჭაბურღილში ჩაშვებას, რაც ხელს უშლის ფენიდან ზედაპირისკენ მოძრავი სითხის გაცივებას და, შესაბამისად, პარაფინის გამოყოფის საშუალებას.

ჯინდალ-პეტროლუმ” ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა ინვესტიცია, სატუმბ-საკომპრესორო მიღებზე სპეციალური ელექტროკაბელის და ჭის პირზე ციფრული ელექტროდანადგარის დასამონტაჟებლად. აღნიშნული მეთოდი საქართველოში პირველად გამოიყენა და დაინერგა ინოვაციის სახით. აღნიშნული კომპანიის სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული თელეთის ##60, 39 და 63 ჭაბურღილებში. ამ ტექნოლოგიის დანერგვამდე აღნიშნულ ჭაბურღილებში პარაფინთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად გარკვეული პერიოდულობით საჭირო ხდებოდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, (ორთქლის წარმომქმნელი მანქანის ან საფხეკის გამოყენებით), ზოგიერთ შემთხვევაში ჭაბურღილის გაჩერება ხდებოდა მიმდინარე შეკეთების ჩასატარებლად. რაც გარკვეულწილად იწვევდა ჯამური მოპოვების შემცირებას და დაკავშირებული იყო დამატებით ხარჯებთან. [39]; [40];



სურ. 6.15. ჭაბურღილში ჩაშვებული ელექტროკაბელი

1. სს მილი
2. საყრდენი მილი;
3. პარაფინური ნადები;
4. გადამცემი მილი;
5. გამაცხელებელი კაბელი;
6. მიწის ზედაპირი;
7. მილგარე სივრცე;
8. ნავთობის დინამიური დონე; T_1 და T_2 ტემპერატურა სსმილში და გარე მილში

აღნიშნული სისტემის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ციფრული ელექტრო დანადგარი გამართულ ელექტროენერჯიას აწვდის საკომპრესორო მილებზე მიმაგრებულ კაბელს, რომელიც ცხელდება 88°C , რაც იმავდროულად იწვევს ნავთობის გაცხელებას ჭაბურღილში და ჭის პირზე ამოსული ნავთობი აღწევს 45°C ტემპერატურას. ეს ტემპერატურა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ აღარ მოხდეს ჭაბურღილში (სს მილებში) პარაფინის გამოყოფა და კედლებზე გამოლექვა. გარე მოწყობილობა უზრუნველყოფს ელექტროკაბელის გამართულ მუშაობას, მის ყველანაირ დაცვას (გადახურება, მოკლე ჩართვა), არეგულირებს ტემპერატურას, მუშაობის რეჟიმს და ა.შ.


სილის საცობების ლიკვიდაცია. ჭაბურღილის ექსპლუატაციის დროს, ჭაბურღილის ფსკერზე, ნავთობის ნაკადის დაბალი სიჩქარით მოძრაობისას წარმოიქმნება სილის საცობები, კერძოდ სანგრევის ზონასა და სს მილებს შორის. აღნიშნული სილის საცობები ხელს უშლის ნავთობის ნაკადის ფანტანირებას, ამიტომ მენავთობეების მიერ შემუშავებული იქნა სილის საცობების ლიკვიდაციის მეთოდები, როგორცაა ჭაბურღილის პერიოდული გარეცხვა. გარეცხვა ხორციელდება სატუმბე აგრეგატის გამოყენებით. იგი ითვალისწინებს წყლის ნაკადის მიწოდებას მაღალი წნევით, რომელიც ერევა სილის საცობს და წნევის საშუალებით ამოდის ზემოთ.

6.6.3. ნანოსითხეები და ნანო ხსნარები. მათი გამოყენება მილსადენში წარმოქმნილი ნადების ლიკვიდაციის მიზნით.

ნავთობური ნადების მოცილების მიზნით შემოთავაზებულია ტექნოლოგიური სითხეები, მათ შორის ნანოსითხეები. ნანოსითხე მომზადდა დაბალი სიბლანტის მქონე ნავთობური ზეთის ბაზაზე, ორგანული გამხსნელის, სხვადასხვა კლასის ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების (სურფაქტანტების) და ტუტე ლითონის მარილების ნარევის დამატებით

ნანოსითხე შეიცავს ნანოხსნარს, რომელიც დამზადებულია ტუტე ლითონის მარილების,, კერძოდ $\text{Na}_3\text{PO}_4=13700\text{ppm}$, $\text{KCl}=950\text{ppm}$ და $\text{CaCl}_2=241\text{ppm}$ მარილის ხსნარით. აღნიშნული ნანოხსნარების კონცენტრაციის დადგენა ხდებოდა იაპონური ხელსაწყოს, ICPE-9820 სპექტრომეტრის (პლაზმის ატომური ხელსაწყოს) გამოყენებით. ექსპერიმენტები ჩატარდა უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის ნავთობის ლაბორატორიისა და ბსუ-ს მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის

ნახ.6.16. ნაჩვენებია სატუმბო საკომპრესორო მილსადენში წარმოქმნილი ასფალტ ფისოვანი ნადები,რომელიც ხელს უშლის ნავთობის ნაკადის გადაადგილებას მილში.ტექნოლოგიური სითხის მიწოდების შემდეგ ნადების სიბლანტე მცირდება და ადვილად გადაადგილდება მილსადენში, მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, (დანართი 3.)



სურ. 6.16. ზან-ის ხსნარის ზემოქმედება მილსადენში წარმოქმნილ ნადებზე. 1. ჭაბურღილის 1 ნავთობის რეზერვუარი, 2. კოლონები, 3. მილები, 4. ტუმბო, 5. ნავთობიანი ნადები, 6. რეაგენტის მიწოდება, 7. სატუმბი, 8. მოცულობა გამხსნელისთვის, 9-10. მოცულობა ნარჩენებისთვის

ასფალტფისოვან-პარაფინური ნადები წარმოადგენს შავი ფერის, სქელ საცხისებრი კონსისტენციის მქონე მრავალკომპონენტთან კომპოზიციურ მასას. ასფხ ნადების წარმოქმნა უკავშირდება ჭაბურღილის ექსპლუატაციისას,ტემპერატურის და ნაკადის წნევის შემცირებას. ასევე ირღვევა სისტემის წონაწორობა, რაც იწვევს თანმხლები აირის სეპარაციას და ნავთობში არსებული პარაფინების, ფისებისა და ასფალტენების გამოყოფას ნალექის სახით.

ასფხ ნადები რთულ მრავალკომპონენტის სისტემაა ,რომელიც შესდგება: პარაფინები და ცერეზინები 60%-ი, ასფალტენები 20%-ი; ფისები- 35%; მექანიკური მინარევი 5%; ფენის წყალი 20%-ი;

ასფზ ნადების შედგენილობა გავლენას ახდენს ჭაბურღილის მუშაობის რეჟიმზე. დადგენილია, რომ ჭაბურღილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ასფზ ნადებში ასფალტენების და ფისების შემცველობა მცირდება, ხოლო პარაფინების შემცველობა იზრდება.



სურ. 6.17. სს მილში წარმოქმნილი ასფალტ ფისოვან პარაფინური ნადები.

პარაფინი წარმოადგენს მაღალი რიგის ნაჯერი რიგის ნახშირწყალბადებს $C_{16}H_{34}$ - $C_{64}H_{130}$. ფენის პირობებში არის თხევადი. ტემპერატურის შემცირებით მყარდება. მყარი პარაფინები შესდგება $C_{17}H_{36}$ პარაფინებისაგან და $C_{71}H_{144}$ ცერეზინისაგან. პარაფინი იხსნება პენტანში,ჰექსანში,ჰეპტანში. პარაფინის შემცველობის მიხედვით ნავთობი კლასიფიცირდება:მცირე პარაფინური 1.5%; პარაფინური1.5–დან 6%–მდე; მაღალპარაფინური–6 % -ზე მეტი;

ფისები. წარმოადგენს პოლიციკლურ ნართებს რომელის შემადგენლობაში შედის ჰეტეროატომები. იგი ხასიათდება ნახევარად თხევადი კონსისტენციით და მაღალი ხსნადობით ნავთობური დისტილატების მიმართ,ასევე იხსნება ბენზოლში, ქლოროფორმში, გოგირდნახშირბადში და მჟავა-ტუტის ხსნარში.

ასფალტენები ეკუთვნის რთული აგებულების მაკრომოლეკულურ ჰეტეროციკლურ ნაერთებს (ნახ.5.0.) იგი ხასიათდება ზედაპირულად აქტიური თვისებებით (8-ჯერ უფრო აქტიურია ვიდრე ფისები.) და მაღალი სიმკრევიით ($d>1$). ასფალტენები ნავთობში არსებობს კოლოიდური სუსპენზიის სახით პოლარულ ფისებთან ერთად.

ნავთობის ზედაპირული სინჯების ანალიზის შედეგები №42 ; №49 ; №59;ჭაბ

ცხრილი 6.6.

ჭაბურდ.№	42				49		59	67
ნავთობის მოდი- ნების ინტერვალი მ.	3552- 3532	3551- 3532	3042- 3048	3551- 3532	3087- 3050	3087- 3050	2808 2895	3155 3095
ალეზის თარიღი		10.09 1975	14.03 1979		20.02 1974		7.02 1979	7.02 1979
წყების ჰორიზონტი	V	V	LI	V	LI	II	I	LII
ნავთობის სიმკვრივე გ/სმ ³	0.931	-	0.889	0.931	0.889	0.889	-	0.907
ბენზოლური ფისე- ბის შემცველობა %	14.8	13.3	13.14	13.36	10.3	9.4	12.33	14.67
სპირტულ ბენზო- ლური ფისების შემცველობა %	8.5	7.66	4.68	7.66	8.7	8.7	5.9	8.13
გოგირდის შემცველობა %	0.74	0.74	-	0.74	0.2	-	-	0.36
პარაფინების შემცველობა %	1.12	1.12	-	1.12	6.33	-	6.9	8.98
ასფალტენების შემცველობა %	11.0	9.98	9.73	9.98	5.6	5.9	5.68	3.88

(ლიტ.27.ხითარიშვილი თ., დისერტაცია: “სუფსის საბადოს დაბალდებიტანი ჭაბურდილების დამუშავება, ზან-ის კომპოზიციური ხსნარით, ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციის მიზნით 2017წ.თბ.)

როგორც ცხრილიდან ჩანს ფისების და ასფალტენების მაღალი შემცველობით გამოირჩევა №42 ჭაბურდილი. (შრომის უბანის საბადო) ხოლო პარაფინის მაღალი შემცველობით №49; №59; №67; ჭაბურდილი. ჭაბურდილის ხანგრძლივი ექსპლუატაციისას, სატუმბო საკომპრესორო და გადამცემი მილების შიდა ზედაპირზე, წარმოქმნილი ნადები იწვევს პროდუქციული ნაკადის დენადობის შემცირებას და მილების გაჭეკვას.

6.7. ნარჩენი ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაცია ტექნოლოგიური სითხეების გამოყენებით

ანოტაცია, ნავთობსარეწაო დარგის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას, ნარჩენი ნავთობის მაქსიმალური ათვისება წარმოადგენს. რადგან ნარჩენი ნავთობის რაოდენობა საკმაოდ მაღალია და მისი მოცულობა მთელი


მსოფლიო მარაგის 55-75% აღწევს. ნაშრომი ითვალისწინებს ფუნქციონალური დანიშნულების მქონე ტექნოლოგიური სითხეების გამოყენების შესაძლებლობას ნარჩენი ნავთობის ამოღების მიზნით.

შემოთავაზებულია რეგენირებული, დაბალი სიბლანტის ნავთობური და პოლიმერული ემულსიის ბაზაზე, “ზან“-ის შემცველი კომპოზიციური ნარევის გამოყენება, პროდუქტიული ფენის ნავთობგაცემის ამაღლების მიზნით. ნაშრომი არ ითვალისწინებს ტექნოლოგიური სითხეების ნავთობსარეწაო გამოცდას. თუმცა შესაძლებელია, გამოკვლეულ ჭაბურღილზე სადაც ცნობილია მისი მწარმოებლურობა, ფენის წნევა, ფენის სიმაღლე და ასევე ფენის ნავთობის და წყლის კომპონენტური შედგენილობა, გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები ტექნოლოგიური სითხის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ნავთობსაბადოების უმრავლესობა, რომლებიც იმყოფება დამუშავების გვიან სტადიაზე, ხასიათდება ნავთობის მოპოვების ტემპის შემცირებით, ასევე, ფენის სანგრევისპირა ზონის კოლექტორული თვისებების გაუარესებით, რაც აიხსნება ნავთობის შემადგენლობაში მყოფი მძიმე კომპონენტების: ფისების, ასფალტენების და პარაფინების წარმოქმნით. ამასთან დაკავშირებით, ბევრ ქვეყანაში, ასევე საქართველოში ძველ საბადოებზე, (სუფსის, შრომისუბნის, თელეთის და სხვა) მომპოვებელი ჭაბურღილების უმრავლესობა, მუშაობს მისი პოტენციური შესაძლებლობის ბევრად შემცირებულ ფორმატში. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ასეთი ჭაბურღილების ამოქმედება, რაც შესაძლებელია ნავთობსარეწაო ტექნიკისა და ფუნქციონალური დანიშნულების ტექნოლოგიური სითხეების გამოყენებით.

ნავთობის ეფექტური მოდინების გამოწვევის მიზნით გერმანული ნავთობ კომპანიის Shell Chemicals-ის მიერ შემოთავაზებულია სპეციალური ზან-ის ხსნარების გამოყენება სახელწოდებით “Enordet,” რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციას კაპილარული და ადსორბციული პროცესების რეგულირებით.

მსოფლიოში აღნიშნული მიმართულებით ბევრი კომპანია მუშაობს, რომელთა მიერ შემუშავებულია არა ერთი ფუნქციური დანიშნულების ტექნოლოგიური სითხეები. თანამედროვე ეტაპზე ნავთობსარეწაო ქიმიის და ტექნოლოგიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს:



სურ. 6.18. ნავთობის მოპოვების ტემპის ცვლილება საბადოს დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ, წლების მიხედვით. 1. ნავთობის; 2. გაწყლიანების; 3. სითხის

ჭაბურღილის გაწყლიანების ტემპის შემცირების მიზნით, იყენებენ წყალმშთანთქმელი-საიზოლაციო პოლიმერულ მასალებს, ფხვნილებს და სითხეებს. ნახ.1. ნაჩვენებია საბადოს დამუშავება პოლიაკრილამიდის ხსნარით. ტექნოლოგიური სითხე წყალთან წარმოქმნის ბლანტ მასას, რომელიც ბლოკავს წყლის ნაკადის გადაადგილებას ფენაში და ხელს უწყობს ნავთობის ნაკადის ტემპის ზრდას.

1. კომპოზიციური მასალებისა და ქიმიური დანამატების ბაზაზე, ტექნოლოგიური სითხეების დამზადება და გამოყენება ნარჩენი ნავთობის მოპოვების და მოდინების სტიმულირების მიზნით.

2. პარაფინული და ასფალტ-ფისოვან-პარაფინური ნადების ასევე მარილმემცვლელი ნალექების ლიკვიდაცია, მათი წარმოქმნის საწინააღმდეგო გარემო პირობების შექმნა;

3. ქანის კოლექტორული და ფილტრაციული თვისებების რეგულირება ჰიდროფობიზატორების და დამატენიანებელი სითხეების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ტექნოლოგიური სითხეების გამოყენება ქანის კოლექტორული თვისებების გაუმჯობესების მიზნით.

პროდუქტიულ ფენაში ნავთობგაცემის კოეფიციენტის ამაღლების არა ერთი მეთოდი არსებობს, ნავთობსარეწაო პრაქტიკაში ძირითადად გამოყენებულია: თბური, აირადი, ქიმიური, ჰიდროდინამიური და ფიზიკური მეთოდები. საბადოს პროდუქტიული ფენის დამუშავება ყველაზე ეფექტურია ქიმიური რეაგენტებით დამუშავების დროს და შეადგენს 25-35%-ს. (ლიტ. 69. მამულაიშვილი. ნ.დ. სალიმოვა ნ.ა. ხიტარიშვილი თ. დ. "Исследование динамики процесса капиллярного смачивания кварцевого

песка нефть в присутствии исследуемых ПАВ” .ж. «European Applied Sciences» ISSN 2195-2183; №3.г. Штутгарт Германия.2013 г.

პროდუქტიული ფენის დამუშავების რეაგენტული მეთოდები უშუალოდ არის დაკავშირებული გამოყენებული რეაგენტების ე.წ. ტექნოლოგიური სითხეების სახეობაზე და თვისებებზე. ტექნოლოგიური სითხეები დანიშნულების მიხედვით გავლენას ახდენს ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე როგორცაა: ქანის დასველების სტიმულირება; ქანის ზედაპირული დაჭიმულობის შემცირება; ნავთობის მოდინება, ფენის გაწყლიანება და ჰიდროფობიზაცია. პარაფინური ,ასფალტფისოვან-პარაფინური ნადების და მარილშემცველი ნალექის ლიქვიდაცია. და ბევრი სხვა.

ეს საკითხები შეიძლება გადაწყვეტილი იქნას, ფენის სანგრევისპირა ზონაში, ეფექტური ტექნოლოგიური სითხეების და ტექნოლოგიური რეჟიმების გამოყენებით რაც უზრუნველყოფს ნავთობიანი ფენის კოლექტორული თვისებების აღდგენას და ნავთობის დებიტის ზრდას. **(ლიტ. 9. მამულაიშვილი ნ. ხითარიშვილი თ.** „ნავთობის და გაზის პროდუქციულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები“. მონოგრაფია, თბილისი, უნივერსალი 2022 წ.)

ტექნოლოგიური სითხეების გამოყენება ნავთობიან ფენაში უზრუნველყოფს პროდუქტიული ფენის ფილტრაციის სიჩქარის ზრდას, ასევე ქანის ფორებში და ნაპრალებში წარმოქმნილილი მარილოვანი და ასფალტფისოვანი ნადების გამორეცხვას და კოლექტორული თვისებების აღდგენას,

საკვლევი ტექნოლოგიური სითხეების დამზადება გათვალისწინებულია ნავთობური და პოლიმერული ემულსიების ბაზაზე. ქიმიური რეაგენტების და დანამატების გამოყენებით. შერჩეულია დაბალი სიბლანტის მქონე რეგენირირებული ძრავის ზეთი, დანამატები: ზედაპირულად აქტიური ნივთიერების (ზან-ის) ხსნარები. ჩატარებულია წინასწარი გამოკვლევები და ნაჩხენებია საკვლევი სითხის გამოყენების ეფექტურობა.


კვლევის საწყისი ეტაპი ითვალისწინებს სატუმბო-საკომპრესორო მილსადენის სისტემაში ასფალტფისოვანი ნადების წარმოქმნის მიზეზების შესწავლას, ნალექის კომპონენტური და რაოდენობრივი შედგენილობის დადგენას. მათი ფორმირების პირობებზე მოქმედი ფაქტორების კვლევას.

ასფალტ ფისოვან პარაფინური ნადების წარმოქმნას ადგილი აქვს: საექსპლუატაციო მილში (ნავთობის მოპოვების დროს), ნავთობის მაგისტრალურ მილსადენებში და ასევე სატუმბო-საკომპრესორო მილში. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ნადების წარმოქმნა უკავშირდება

მილსადენის გამწმენდი სითხე. შემოთავაზებულია ასფზ ნადების ლიკვიდაციის ექსტრაქციული მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მილსადენში ნაკადის თავისუფალ გადაადგილებას გამრეცხი ტექნოლოგიური სითხის გამოყენებით.

საკვლევი სითხე დამზადებულია დაბალი სიბლანტის მქონე ნავთობური ზეთის ბაზაზე და შეიცავს: ძრავის რეგენირებული ზეთის (ნამუშევარი და შემდეგ აღდგენილი ზეთის) განსაზღვრულ რაოდენობას. დანამატის სახით. შერჩეულია დემულგატორის (ზან-ის) ხსნარი. მათი შერევის შედეგად მიიღება ერთგვაროვანი ზეთოვანი სითხე, ემულსია, რომელიც შესდგება დისპერსული ფაზისაგან 10-15% და დისპერსული არესაგან 80-85 %. ცდების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი სითხე ამცირებს ასფალტ-ფისოვანი ნადების სიბლანტეს, მათ ზედაპირულ დაჭიმულობას და იწვევს სითხის დენადობის ზრდას მილსადენში.

დამატენიანებელი ტექნოლოგიური სითხე. ამ მიმართულებით ჩვენს მიერ შემუშავებულია ქანის ზედაპირის დამატენიანებელი სითხე, რომელიც დამზადებულია ნავთობური ემულსიის და ზანის კომპოზიციური ხსნარის ბაზაზე. იგი უზრუნველყოფს არა მარტო ქანის დასველებას, არამედ ასტიმულირებს კაპილარული დასველების სიჩქარის ზრდას. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ზან-ები) მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქანის ჰიდროფობური კოლექტორის დასველების პროცესის დინამიკაზე, რაც საბოლოოდ განაპირობებს ნავთობგაცემის ამაღლებას.




